

იური მეჩითოვი ექიმზე მეტი გელა

მასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს, მაგრამ ისე მოხდა, რომ მისი პაციენტი ვერ გავხდი – ჯანმრთელი ცხოვრების წესით ვცხოვრობ, თორემ ზუსტად ვიცი, „მის საქმეში“ გელა მუხამაღვრია პირველი მისამართია, იგი ექიმზე მეტია. ერთხელ ხუმრობით მითხრა, იურა, ადამიანის ორგანოთა შორის უმთავრესი მაინც ისაა, რასაც მე ვემსახურები. ხალხმა ჭამის კულტურა ისწავლა, მაგრამ მონელების კულტურა და ტრ...ის პატივისცემა – ვერა, სანამ ძაან არ გაუჭირდებათ, ექიმთან არ მიდიანო... საქართველოშიც ხომ ასე იტყვიან – თუ „ერთი ადგილი“ არა გაქვს, ვერაფერს გააკეთებო, ანუ გელა მართალია, „ის ადგილი“ ყოფილა მთლად მთავარი.

გელა დიდი ენერჯის, დიდი სიყვარულის პატრონია, ხალისიანი და ყურადღებიანი... უუუუჰ, ექსპრომტი მასპინძლობაც მაგარი იცის – ნიგოზი და შავი ღვინო, კარგი კონიაკიც სულ აქვს სტუმრისთვის, ავადმყოფისთვის კი – ხელები, თითები, გონება, გამოცდილება, მისი საქმე ღვთაებრივია – ტკივილებს ხსნის.

ახლა ჩემი პროფესიით ვიტყვი – გელა ფოტოგრაფისთვის არაჩვეულებრივად მომზადებული ადამიანია, უყვარს პოზირება, არტისტულია. მის სამუშაო ოთახს უფრო სახელოსნოს დავარქმევდი, ვიდრე კაბინეტს, ამ „სახელოსნოში“ კი როგორც მუზეუმში, ისე ექსპონატებით აქვს გამოფენილი ნახატები, ფოტოები, კარიკატურები, ქანდაკებები, ყველაფერი, რაც მის საქმიანობასთან პირდაპირ თუ ირიბად არის დაკავშირებული, ესაა სრულიად განსხვავებული გარემო, განსხვავებულია გელაც მთელი თავისი ნატურით, არსით, მოღვაწეობით, საქმიანობით, მიხვრა-მოხვრით, სტუმარ-მასპინძლობით, ექიმობით და ექიმობაზე მეტით.

პროფესორი ბადურ მოსიძე როცა „კაცს“ აღარ სჭირდება „კაცური“

მე ახლა ვწერ ადამიანზე, რომელმაც ძნელი და საინტერესო გზა გაიარა, სანამ პროფესიონალი ექიმის ავტორიტეტს დაიმკვიდრებდა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ექიმი ჯერ სრულყოფილად დაეუფლა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და მერე მთელი ნამოღვაწარი ერთი კონკრეტული დარგის განვითარებას მიუძღვნა. გელა მუხაშავერია კოლოპროქტოლოგიაში ზოგადი ქირურგიიდან მოვიდა. სწორედ ამიტომაც მისი საექიმო მოღვაწეობა ასე წარმატებული, ხოლო მისი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაციები – პროფესიონალის ინტერესებისა და მუხლჩაუხრელი პრაქტიკული მუშაობის ჯამური შედეგი. თავის საქმეზე შეყვარებული კაცის ჰობიც პროფესიულ ელფერს ატარებს – ბატონ გელას „საჯდომების“ უნიკალური კოლექცია აქვს და ბევრი სხვადასხვა სუვენირი, ფოტო თუ ნაბატი ამ ორგანოს ეძღვნება. მრავალ ექსპონატს შორის დაგამახსოვრდებათ „ქართული ჩეჩმა“ ძია მიხთი, რომელსაც გაჭირვებისგან სახეზე აწერია, რომ მამა-შვილი მუხაშავერიების პაციენტიცაა...

გელას უფროსი შვილი გია მამის საქმის ღირსეული გამგრძელებელია. ჩემო გელა, ვაღიარებ, რომ „ის ურჩევნია მამულსაო“ თქვენს მამაშვილობაზეცაა ნათქვამი... კაცი ზნეობრივი და მორალური ღირებულებებით იცნობა და ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შეხება გელა მუხაშავერიას „ზნეობრივ კოდექსთან“, მისი დახასიათებისთვის ეპითეტების ძებნა არ გაუჭირდება. მასზე საუბრისას სიტყვა „კაცს“ აღარ სჭირდება დამატება „კაცური“. სიტყვა „კოლორიტი“ ხშირი ხმარებისაგან ცოტათი გაცვდა, მაგრამ ეს სიტყვა გელა მუხაშავერიასთვის ზედგამოჭრილია, თუკი „კოლორიტი“ მართლაც გამორჩეულს, ქალაქის ფერს, შნოს, ლაზათს და ხასიათს ნიშნავს.

გიზო ნიშნიანიძე კაცი ჩემი სასალმეთიდან

კაი გამარჯობა შენი, გელა მუხაშავრია!

კაცს რომ გვარში მუხა „უშრიალეზს“, იმას რა ნააქცევს?! ღმერთმა ნუ ქნას – შენი თავი... ჩვენზე უფრო დაგვეჭირებოდეს – შენით გვიდგას სული!

არიან ადამიანები, რომლებიც პირველი მისალმებისთანავე გამოგესალმებიან და მერე აღარც გინდა მათკენ გახედვა, ერთხელ ჩამოართმევ ხელს და „უკანვე დაუბრუნებ...“ ისეთებიც არიან, რომელსაც თვალს ვერ მოსწყვეტ, რომ გული არ დაგწყდეს მასთან თუნდაც დროებით განშორებით! არიან ადამიანები, რომლებსაც სანამ არ შეხვდები, ვერ ნახავ და არიან ისეთებიც, რომლებიც უნახავად შენთან არიან.

აღარც კი მახსოვს როდის შეგხვდი და, მით უმეტეს, როდის დაგშორდი, მახსოვხარ თუ არ მახსოვხარ – სულ შენთან ვარ და ჩემთან მეგულები.

ძმა ხარ! არა დედით, არა მამით... დედაქალაქით, თბილისელობით! ბედთან ერთად იმასაც ტრ...ი უნდა – შენისთანა პატრონი გყავდეს, რომ მიქელ-გაბრიელს აქ არაფერი შეეშალოს და სიკვდილ-სიცოცხლემ რამე ცოდვა არ ჩაადენინოს! გელას კარგადმყოფობის, ანუ დაბადების დღე – მისი ავადმყოფების გადარჩენის დღეც არის და დღესასწაულიც.

„...ადამიანო, ვნუხვარ, რომ საკუთარ თავს გვერდიდან ვერ უყურებო!“ – იზიარებდა ადამიანის მნუხარებას და შედიოდა მის მდგომარეობაში არისტოტელე.

„შეიცან თავი შენით!“ – ანერია დელფოს ტაძარს.

ჰოდა, შენც აიღე და ჩვენი თვალით შემოხედე შენს თავს.

ჩვენი გული შენი გულით ფეთქავს!

გვერდიდანაც და პირდაპირაც, შეგვიძლია, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: ცნობილი ექიმი ხარ, პროქტოლოგი, უტირაჟო კაცი, შენი საქმის დიდოსტატი! არავის არ ჰგავხარ... საკუთარი თავის გარდა!

მაგრამ მე თუ მკითხავ, მაინც ვაჟას „კაი ყმის“ თარგზე ხარ მოჭრილი!

კარგ ყმად ვინა ვსთქვათ ვაჟებო? – კითხულობდა თვითონ კაი ყმა და თვითონვე სცემდა პასუხს!

ვინა და ვინაც!...

„თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,

ზედ ქორებულად ფრინავდეს.

სიცხეში სიოდ დაჰბეროს,
 დაათბოს, როცა ჰყინავდეს...
 სწორ ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,
 ცდუნება არა სძირავდეს.
 აი, ვინაა კაი ყმა,
 მოსაგონარი ქუბითა!
 არა თქვენ, სადიაცენო,
 რო ძროხებივით სძლებითა...
 არ იცით, დასწნდით რისათა,
 ან რისათვისა ჰკვდებითა!“

სადლა არიან კაი ყმები?! ისე იცვლება დროც და ადამიანიც, ასე მგონია, კაცს სწორი ნაწლავიც აღარ შერჩა სწორად და ბრმა ნაწლავიც აღარაა ბრმა, ვერ ხედავდეს, ადამიანები რა დღეში არიან – ამ ცოდვით სავსე წუთისოფელს „რა ზნე სჭირსა“!

ლათინები ამბობდნენ: გახსოვდეს სიკვდილიო!

მე ვამბობ: სიკვდილამდე გახსოვდეთ იმედი, რომელსაც გელა მუხაშავრია ჰქვია! და ბოლოს, ჩვენი ძმობისა და სიცოცხლის ვალში, ლექსპრომტად დარჩეს ეს კატრენი:

ყოფნა-არყოფნის ბურუსში
 სულით-ხორცს უნდა აქსოვდე!
 ჰოდა, გახსოვდეს, სიკვდილი,
 რომე სიცოცხლეს ახსოვდე!

ჩვენს ძმას და პირის ზიარებას გელა მუხაშავრიას – მისი ძმისა და პირის ზიარების გიჟო ნიშნინიძისგან.

P.S. „პაემანი ვერაზე“ რომ ვაჩუქე... ნაჩუქარს კბილი არ გაესინჯება, მაგრამ მომწერა: ერთი ნიგნი, გინდ გიჩუქებია, გინდა – არა. სამი ეგზემპლარია საჭირო: ერთი სახლისთვის, მეორე – გზაში და მესამე – სამსახურშიო!

... რა მაგის პასუხია და როცა გავიგე, რომ თბილისის პირველი საკრებულოს თავმჯდომარედ გინეკოლოგი აირჩიეს, მე პროტესტი განეაცხადე: გელა მუხაშავრია, ანუ პროქტოლოგი უნდა აგერჩიათ, რადგან საქმე იქითკენ, ანუ ტრ...ისკენ მიდის-მეთქი!

**Доктор медицинских наук, профессор
В. Л. Ривкин, Член международной академии
колопроктологии,**

Энтузиаст проктологии

Бурное, можно сказать, революционное развитие медицины в последние годы, основано не только на технических новациях, но и на энтузиазме передовых медиков, быстро воспринимающих прогрессивные идеи и становящихся их адаптами.

К таким врачам с полным основанием можно отнести доктора Г. А. Мухашавриа. Можно без всякой натяжки говорить, что он основал в Грузии проктологию как отдельную медицинскую специальность, необходимую для огромного контингента больных. По специальным методам обследования, по распространенности проктологических нозологий проктология примерно равна гинекологии или урологии. Огромный контингент больных — от геморроя до полипов и рака прямой кишки — имеет теперь своего врача и в Грузии заслуга в этом, безусловно принадлежит Г.А. Мухашавриа. Опытный хирург-практик, он внес определенный вклад и в теорию и лечение многих проктологических заболеваний, в том числе и геморроя — одного из самых распространенных заболеваний человека. Книги и статьи Г. А. Мухашавриа известны специалистам, а я лично знаю Гелу Акакиевича, всегда с удовольствием воспринимаю его суждения, основанные на его большом опыте.

Работа Г. А. Мухашавриа и его учеников способствует развитию в Грузии современной проктологии.

2011 г. Июнь.

მსოფლიო ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში გურამ სალარაძე ბედნიერი ჭირისუფალი

კარგა ხნის წინ, დაახლოებით გასული საუკუნის 90-იანი წლები იყო, პურის ქარხნის დირექტორი ვიყავი. მძიმე პერიოდი იყო ქვეყანაში – საშინელი რიგები პურზე... აღარ მინდა არასასიამოვნო წარსულის მოგონებებით დაგამძიმოთ. ერთ დღეს სამსახურში მოხუცი კაცი მოვიდა, ცოლ-შვილიც ახლდა. მივიღე, მოვუსმინე. აფხაზეთიდან დევნილი ოჯახი იყო, არ ვიცი საიდან გაიგეს, რომ გელა მუხაშავერიას მეგობარი ვიყავი და მთხოვეს, მასთან მეშუამდგომლა. მაშინვე დავურეკე გელას – რაზეა საუბარი, სასწრაფოდ მომიყვანეო, მიპასუხა და მივედი. დანვრილებით გამოკითხა პაციენტი, გასინჯა და საკმაოდ მძიმე დიაგნოზი დასვა, ერთადერთი გამოსავალი ოპერაცია იყო. ვთქვი, რომ ამ ოპერაციას მე დავაფინანსებდი. გელა მომიბრუნდა და მითხრა: გურამ, ეს ადამიანი დევნილი და გაჭირვებული შენტვის თუ არის, მე რა, უცხო ვარ ამ ქვეყნისთვის? ესენი ჩემი მიწა-წყლის შვილები არიან და მეც მტკივა მაგათი სატკივარი, მეც განვიცდი მაგათ ბედ-იღბალს, მე და შენ კი ძმები ვართო... მივხვდი, სათქმელიც არაფერი დამრჩა... გელამ ბოლომდე მიხედა, მოუარა და უჭირისუფლა იმ ოჯახს, ოპერაცია და შემდგომი მკურნალობა კარგა ხანს გაგრძელდა. ღვთის მადლით, ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა. მე არ დამავინწყდება იმ ოჯახის გახარებული სახეები გამომშვიდობებისას, მაგრამ არ დამავინწყდება იმათზე უფრო გახარებული, ბედნიერი ჭირისუფალი – გელა მუხაშავერია. მე ეს ერთი შემთხვევა გავიხსენე, თორემ ვინ იცის, რამდენი ასეთი აქვს გაკეთებული. საერთოდაც, გელა მუხაშავერია ჭირისუფლობაში შემჩნეული კაცია და ბედნიერებაა, როცა ეს ჭირისუფლობა ხშირად ლბინისუფლობაში გადადის, როცა პაციენტი გულწრფელად ეუბნება – გამადლობთ, გელა ექიმო!

გელა მუხაშავერიაზე ბევრის გახსენება შემიძლია, მაგრამ ესაა ის უმთავრესი, რაც მას ასე გამოარჩევს სხვებისაგან, რაც ალამაზებს მას, ჩვენს სამეგობროს და მის გარემოს... ღმერთმა ასეთი კაცების იმედი არ მოაკლოს ჩემს ქვეყანას.

იეკო საყვარელიძე რად მიყვარხარ?

არ შეიძლება არ გიყვარდეს კაცი, რომელზეც ამბობენ: დასტაქრობაში ნახე, ვინ არის, სიყვარულში, მეგობრობაში ნახე, ვინ არის, ავლაბრის ერთგულებაში ნახე, ვინ არის, აბა, თბილისის განთიადის ვარსკვლავთან შეხვედრისას ნახე, ვინ არის, მაინც როგორ უყვარს ეს რვაჯერ დაქცეული თბილისი, კაცოოო...! ორთაქალის ბაღში გაშლილ სუფრასთან ნახე, ვინ არის, აბა, ჩოგბურთის სიყვარულში ნახე, ვინ არის... საოცარია, კაცი ამდენ საქმეს ასწრებდეს და „გელა“ ერთხელ არ ჰქონდეს გაკეთებული. ვისაც გელა მუხამაგვიასთან ერთად ცხოვრების გზაზე უვლია, მას უკან მოხედვის არ ეშინია. აი, ამიტომაც მიყვარხარ, ჩემო გელა!

თამაზ სეფერთელაძე პრიმა

არიან ადამიანები, რომლებთანაც ისეთი წარსული გაკავშირებს, რომ ერთმანეთის უნახავად რამდენი დღეც არ უნდა გავიდეს, მაინც ერთად ხართ, ნებისმიერ დროს – დღე თუ ღამე, გაქვს უფლება კარზე დაუკაკუნო და არც თვითონ გაიკვირვებს შენს სტუმრობას. ჩემთვის ერთ-ერთი ასეთი სახლის კარი ავლაბარშია და ამ სახლის მასპინძელი ჩემი გელა მუხამაგვიანია.

სამოცდაათიანი წლები იყო რომ გავიცანი და ამ სახლშიც პირველი მოსვლისთანავე, ისე დაიხვედნენ, თითქოს დიდი ხნით ადრე მიცნობდნენ და მელოდნენ. მერე ვსუმრობდით, რამდენი საერთო გვექონია ჩემს დედასაც თამარი ერქვა და გელას დედასაც, მამაჩემიც აკაკი იყო და გელაც „აკაკიჩი“, ბებიაჩემიც დოლიძის ქალი იყო და გელასიც. მერე მართლაც დავახლოვდით – გელა ჩემი ქორწილის მეფეა და ნათელმირონი გახდა. გელას არაჩვეულებრივი ანდამატი აქვს, სულ გინვეს და გიზიდავს მისი თუხთუხი, უანგარო და უღალატო გული. თუ დაგჭირდა, ბოლომდე შენს გვერდითაა. მახსოვს ავადმყოფ მამაჩემს არ მოშორებია, უვლიდა და წამლის მიტანის უფლებასაც არ მაძლევდა, მეუბნებოდა: რაც მე შემოძლია, მე უნდა გავუკეთოო. გელა გამორჩეული ბუნების კაცია, იგი ყველასთვის ცოცხლობს, ყველასთვის იხარავს ფიზიკურად, სულიერად, ფინანსურად. არანორმალური კაცია ერთგულებაში, სიყვარულში. მე უხასიათო და უგუნებო გელა არ მიწახავს, იმიტომ კი არა რომ სულ ემნიარულება, უბრალოდ, თავისი ნუხილის სხეებისთვის მოხვევა არ იცის და რომ დაგინახავს, სახე უნათდება. თუკი არსებობს პრიმა ხელოვნებაში, გელა მუხამაგვიანია პრიმა თავის საქმეში. ადამიანებთან ურთიერთობაში და მეგობრობაში.

გივი სიხარულიძე ჩემი ქალაქის ჯილა

გელა მუხამავრია ჩემთვის ჩემი თაობის თბილისელი ბიჭების მაჯისცემაა, ჩემი ქალაქის მესაიდუმლე და კაცობის სიმბოლოა. კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება გალესილი სამართებლის პირზე დადიოდა. ძალიან ძნელია ცხოვრობდე თბილისში და ჯილობა (გამორჩეულობა) გერგოს. იგი თავისი საქმის დიდოსტატია, რასაც დასტაქრობა ქვია. მე იშვიათად მინახავს კაცი, რომელშიც პროფესიონალიზმი, სული და არაჩვეულებრივად კაცური თვისებები აგრერიგად იყოს ერთმანეთთან შერწყმული.

ეს ის ბიჭია, რომელმაც მთელ საქართველოს თავი შეაყვარა, რომელიც სხვისი დარდით ცხოვრობს, სხვისი სიხარულით ბედნიერია და კაცი, რომელიც შოულობს აბაზს და მანეთს ხარჯავს... აფერუმ მის გამჩენს ამ ქვეყანაზე! ვფიქრობ, მის გაჩენაში მარტო მშობლებს არ მიუღიათ მონაწილეობა, მის დაბადებას ანგელოზთა დასი ესწრებოდა...

ულალატო, ერთგული და ჩემი ქალაქის ჯილაა გელა მუხამავრია.

1997 წელს გივი სიხარულიძემ თავისი პირველი წიგნი „ცირუნია“ მეგობარს აჩუქა წარწერით: „ჩემს პირველ ოპონენტს და სულისჩამბერს, ხან ცისარტყელასავით ლამაზს და მშვიდს, ხან კი აბობოქრებული ზღვის ტალღას, ჩვენი ყოფის პროტესტს – გელა მუხამავრიას!“

პროფესორი გურამ ტატიშვილი სიტყვა მეგობარზე

გელა მუხაშავერია ჩემთვის ქართველი კაცის ისტორიულად ჩამოყალიბებული ყველა დადებითი თვისების და ტრადიციის მატარებელი ადამიანის ქვეყნობის მატარებელია. მასში ერთნაირად არის გათავისებებული პიროვნული ღირსება, პატიოსნება, ვაჟკაცობა, ოჯახისა და მეგობრისადმი ერთგულება, საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა.

გელა მუხაშავერია მახსოვს ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან, რადგან ჩვენ ვცხოვრობდით ერთ უბანში (ავლაბარში) და ის სწავლობდა საშუალო სკოლაში ჩემს ძმასა და ბიძაშვილებთან ერთად.

მასთან საქმიანი ურთიერთობა დაიწყო გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან. ამ დროს გელა მუშაობდა ქალაქის მე-9 საავადმყოფოში, პროფესორ ოთარ მამამთავრიშვილის კლინიკაში და იმ დროისთვის უკვე ითვლებოდა ქალაქში ცნობილ ექიმ-პროქტოლოგად.

1981 წელს, ჩემი რესპუბლიკის მთავარ ქირურგად მუშაობის პერიოდში, თბილისში ჩამოვიდა პროქტოლოგიის საკავშირო ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ვ. ფიოდოროვი. ის ადგილზე გაეცნო რესპუბლიკის პროქტოლოგიური სამსახურის საქმიანობას და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან, ბატონ გელა ლეჟავასთან გამართულ თათბირზე უარყოფითად შეაფასა ქირურგიის ამ დარგის მესვეურთა საქმიანობა.

დავგვეგმეთ რამდენიმე ღონისძიება. მივიჩნევდი, რომ საჭირო იყო ამ სამსახურის ხელმძღვანელობაში ახალი სახეების წარმოჩენა. კერძოდ, ცენტრალურ რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში გაიხსნა დიდი, 40-საწლიანი პროქტოლოგიური განყოფილება, რომლის ხელმძღვანელადაც, ჩემი რეკომენდაციით, დაინიშნა ბატონი გელა მუხაშავერია, რადგან მას მაშინ უკვე ჰქონდა კარგი სპეციალისტის და წესიერი პიროვნების რეპუტაცია. ეს განყოფილება უნდა გამხდარიყო რესპუბლიკაში პროქტოლოგიური სამსახურის საორგანიზაციო-მეთოდური ცენტრი. ამ პერიოდიდან დაიწყო ჩემი და გელა მუხაშავერიას მჭიდრო სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც შემდეგ ახლო მეგობრობაში გადაიზარდა. ერთი წლის მანძილზე შევძელით საქართველოში რეგიონალური პროქტოლოგიური განყოფილებების გახსნა და მათი დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით.

ერთი წლის შემდეგ, აკადემიკოს ვ. ფიოდოროვს მეორედ მოუხდა თბილისში ჩამოსვლა ერთ-ერთი მსხვილი პარტიული ფუნქციონერის ოპერაციულ მკურნალობასთან დაკავშირებით. ის გაოცებული დარჩა პროქტოლოგიურ სამსახურში მომხდარი პოზიტიური ცვლილებებით

და მას შემდეგ აკადემიკოს ფიოდოროვსა და ჩემს შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა, მე ამირჩიეს პროქტოლოგთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრად და ხშირად მიხდებოდა მათ ყრილობებში და გამგეობების პლენუმების მუშაობაში მონაწილეობა. ვ. ფიოდოროვი საკავშირო ღონისძიებებზე ყოველთვის აცხადებდა: „ჩადით საქართველოში და ნახეთ, როგორ უნდა მუშაობაო“.

მინდა გავიხსენო გელა მუხაშავრიასთან ერთად სამეცნიერო მივლინებები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში: მოსკოვი, ვოლგოგრადი, დონეცკი, ტულა და სხვა. გელა მუხაშავრია აღმოჩნდა შესანიშნავი პარტნიორი ასეთ დროს. ეს ენამახვილი, მუდამ ოპტიმისტურად განწყობილი ადამიანი, ყოველთვის აღტაცებას იწვევდა საზოგადოებაში. გელას შარმი და მომხიბვლელობა ერთნაირად ვლინდება როგორც კლინიკაში მძიმე ავადმყოფის ბედის გადანყვებისას, ისე მეგობრების წრეში, სუფრასთან მოლხენის დროს.

თუ არ ვცდები 1983 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ აკრძალა ალკოჰოლური სასმელების მოხმარება, თბილისში ტარდებოდა პროქტოლოგთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის პლენუმი, სადაც ჩამოსული იყო საბჭოთა კავშირის ამ დარგში მოღვაწე ყველა წამყვანი სპეციალისტი აკადემიკოს ვ. ფიოდოროვის ხელმძღვანელობით, იყვნენ უცხოელი სტუმრებიც.

როგორც ყოველთვის, დასკვნითი სამეცნიერო სხდომის შემდეგ გაიმართა მეგობრული ბანკეტი ახლად აშენებულ რიტუალების სასახლეში.

ჩემი თვალთ მქონდა ნანახი, მშრალი კანონის დროს რუსეთში, როცა სუფრაზე ალკოჰოლიანი სასმელი არ ჩანდა, ბანკეტის მონაწილეები ცალ-ცალკე გადიოდნენ სხვა ოთახში ალკოჰოლის სათანადო დოზის მისაღებად. ჩვენც ხომ ასე არ მოვიქცევოდით, ამიტომ, გელა მუხაშავრიასთან ერთად მივმართეთ ასეთ ხერხს: სუფრას მე ვუძღვებოდი. ჩემს მაგიდასთან ისხდნენ აკადემიკოსი ვ. ფიოდოროვი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. ეს ღონისძიება ტარდებოდა ოქტომბერში, როდესაც საქართველოში გაჩაღებულია რთველი. გელა მუხაშავრია მოვიდა ჩემთან და რუსულად ხმამაღლა მითხრა: „ბატონო გურამ, ახლა ჩამოიტანეს კახეთიდან ახლად დაწურული ყურძნის წვენი, ხომ არ შეიძლება ის შემოვიტანოთო სუფრაზე“. მე სტუმრებს ვკითხე: „ხომ არავის აუკრძალა ახლად დაწურული ყურძნის წვენი?“ ისინი დამეთანხმნენ და სუფრაზე გაჩნდა კარგად დაძველებული ტყვიასავით მაგარი კახური ღვინო, რომელსაც სიამოვნებით სვამდნენ სტუმრები და ერთმანეთის გასაგონად გაიძახოდნენ – რა გემრიელი ყოფილა ახალდაწურული ყურძნის წვენიო.

რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს პროექტოლოგიურმა განყოფილებამ გელა მუხაშავერიას ხელმძღვანელობით ბევრი იშრომა რესპუბლიკაში ამ დარგის განვითარებისათვის. ის პრაქტიკულ მუშაობას კარგად ათავსებდა სამეცნიერო საქმიანობასთან, რასაც მოჰყვა მის მიერ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვა. უკვე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ქალბატონ მაია ქარაბაკთან ერთად შეადგინა და გამოსცა სახელმძღვანელო პროექტოლოგიაში. ამ ხნის მანძილზე მან არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა და მოგვანოდა პროექტოლოგიური დაავადებების მკურნალობის ორიგინალური მეთოდები.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩემი უაღრესად დადებითი შთაბეჭდილება და შეიძლება ითქვას, გაცემაც, გელა მუხაშავერიას ხელმძღვანელობით ამ ცოტა ხნის წინ ჩატარებული ჩვენი ქვეყნის პროექტოლოგთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის გამო, რომელზეც დაფუძნდა საქართველოს პროექტოლოგთა ასოციაცია. ჩემი გაცემა და აღტაცება აიხსნება იმით, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები არცთუ ისე ხშირად ტარდება და ამ ფონზე ბატონმა გელამ შეძლო საქართველოში მომუშავე ყველა ქირურგი-პროექტოლოგის თავმოყრა, შეკრება. მისცა მათ საშუალება, მოესმინათ საინტერესო მოხსენებები და გასცნობოდნენ დარგის უახლეს მიღწევებს.

როცა ამ სტრიქონებს ვწერდი, გამახსენდა ნოდარ დუმბაძის სიტყვები: „ადამიანი ფრესკა არ არის, რომელიც ერთი სიბრტყიდან აღიქმება, იგი უფრო სკულპტურულ პორტრეტს ჰგავს, რომლის დანახვაც ყველა პოზიციიდან არის შესაძლებელი“ და გელა მუხაშავერია დავინახე სრულიად განსხვავებული პოზიციიდან. ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე თავდაუზოგავი შრომის და საქმეში მაღალი პროფესიონალიზმის ფონზე მან სრულიად განსხვავებული, არაორდინარული პიროვნული ღირსებებით შეძლო მოეპოვებინა თბილისის კოლორიტის სტატუსი. ეს ქართული ფენომენია, მისი არც დებულება არსებობს და ვერც ვერანაირი კონკურსით, ან ბრძანებულებით მოიპოვებთ.

უბრალოდ, უნდა იყო თბილისის კოლორიტი, ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

პროფესორი ოთარ ურუშაძე ყველასთვის საკუთარი

გელა მუხამაერიაზე რამე რომ დანერო, ერთდროულად ძალიან ადვილიცაა და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ მხოლოდ უნდა ჩამოაყალიბო ყველაფერი, რაც ვაჟკაც თბილისელს ახასიათებს და როგორც ქალაქში იტყვიან, თავი ქუდში გაქვს. ამავდროულად, გელა იმდენად არ ვდებ სტერეოტიპებში, რომ თუ ამ გზით ნახვედი, შეიძლება „შარშიც გაეხვიო“.

ამიტომ შევეცდები ძალიან მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ის თვისებები, რაც ჩემი ხედვით, „აკაკიჩს“ ყველაზე მეტად ახასიათებს.

ვალდებული ვარ ხაზგასმით აღვნიშნო გელას ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება – მისი ხელგაშლილობა და უშურველობა.

ხელგაშლილობას მარტო მატერიალური თვალსაზრისით ნუ გაიგებთ (თუმცა ამაში ერთბიროვნული ლიდერია). იგი უადრესად ხელგაშლილია მხარშიდგომაში, სიყვარულსა და სიბოძის გაცემაში.

გელას ყველაზე მეტად გამძაფრებული აქვს მეგობრობის გრძნობა. გაუმართლა და მას კვლავ უკან უბრუნდება ის მეგობრული სიტუბო და სიკეთე. „აკაკიჩის“ მეგობრები სხვადასხვა ასაკის, სოციალური მდგომარეობის და აღმსარებლობის ხალხია. მათ ყველას საკუთარი გელა ჰყავთ და ყველა დარწმუნებულია, რომ გელას ის გამოირჩეულად უყვარს.

გულით ხარობს შვილებითა და შვილიშვილებით, ხარობს მათი ნარმატებებითა და წინსვლით. გელა მათთვის ყოველთვის იქნება მხნე და ენერგიული ადამიანი, ისინი ბედნიერნი იქნებიან, თუ გელას ცხოვრების მაგალითზე ისწავლიან და ეზიარებიან სიკეთის კეთებას.

გელამ დიდი ამაგი დასდო ქართულ სამედიცინო მეცნიერებას, შექმნა და ნარმატებით ხელმძღვანელობს პროქტოლოგიის ცენტრს, რომელიც ქვეყანაში დარგის უპირობო ლიდერია. ცენტრს, რომლის სამუშაო პრინციპია ახალგაზრდების დახმარება და ხელშეწყობა, თავისი სამეცნიერო შრომებითა და უნიკალური ოპერაციებით კარგად იცნობენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

გელა „აკაკიჩი“ მაღალპროფესიულ თვისებებთან ერთად დიდი, ადამიანური თვისებებითაა დაჯილდოებული. ხშირად, როცა რაიმე გადწვევითი მიღება მჭირდება, ვფიქრობ, თუ რას მოიმოქმედებდა ამ დროს „აკაკიჩი“, იგი ჩემთვის ზნესრული, კაცურკაცობის მაგალითია.

და ახლა, როდესაც ამ ნაწერს გადავხედე, ვფიქრობ, რალაც ძალიან იდეალურად ხომ არ წარმოვაჩინე, მაგრამ ვინც მას კარგად იცნობს, ნამდვილად დამეთანხმება, რომ არაფერს ვაზვიადებ... გელა „აკაკიჩი“ ყველასთვის საუკეთესო მაგალითია იმისიც, თუ როგორ უნდა იცხოვრო და იმუშაო.

გეიდარ ფალავანდიშვილი კაცი

კარგად მახსოვს, გელა ფიზკულტურის ინსტიტუტის სიახლოვეს გავიცანი, 19-20 წლის იქნებოდა, საინტერესო გარეგნობით იქცევდა ყურადღებას – კისერზე ჩამოშვებული დიდი, გრუზა თმებით. ვინრო შარვლითა და უცნაური მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით, „ჯაგები-ბუგებს“ რომ ვეძახდით. დაკუნთული მკლავები ჰქონდა, ეტყობოდა, ჰანტილებსაც „აკაჩავებდა“. მამაჩემი ალექსანდრე ფალავანდიშვილი იმ დროს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი იყო, გელას დედა, ქალბატონი თამარ კახიძე კი ამავე ინსტიტუტის დოცენტი, საერთო ენა ჩვენც მალე გამოვნახეთ. გელა კარგი სტუდენტი იყო და როგორც ვიცი, მამაჩემი და ცნობილი ექიმი დავით მამამთავრიშვილი დაეხმარნენ დიდი სურვილის ასრულებაში – გელა სამედიცინო ინსტიტუტში გადაიყვანეს.

გელა ავლარელი გახლავთ. ზურნა-დუდუკის ჰანგზე გაზრდილს, ხაშების, მწვადების, ხინკლების ოხშივართ გაშლილი სუფრების მოყვარულს ხშირად თავი მუშტი-კრივშიც გამოუცდია, მაგრამ ამ „ჯაგებიან“ ყმანვილს აღმოაჩნდა დიდი მონდომება და სურვილი დაუფლებოდა ექიმის პროფესიას. ექიმობამ მას საყოველთაო სიყვარული, სახელი და პატივისცემა მოუტანა. გელა სამედიცინო სფეროში არჩეული საქმის სიყვარულთან ერთად თავისი ადამიანური თვისებებითა და ურთიერთობებით დამკვიდრდა. პირველად 1991-93 წლებში ვნახე მის კაბინეტთან გაკრული წარწერა, სოციალურად დაუცველ, უსახსრო და შეჭირვებულ ადამიანებს ოპერაციების უსასყიდლოდ გაკეთებას სთავაზობდა და ამით ადამიანურ და ეკონომიკურ თანადგომას ჰპირდებოდა.

ჩემი თაობისათვის გელაზე კარგი ექიმი-პროქტოლოგი ჩვენ არ გვეგულება და ყველა მას აკითხავს. ხანდახან გელა ხუმრობს: „ბიჭო, სუფრაზე ვიყავი და ათი კაციდან ექვსი ჩემი პაციენტი იყო“.

სამოცდაათიანი წლებიდან მე და გელა ბევრ სხვა ახლობელთან ერთად ჩოგბურთის კლუბში გავერთიანდით ყოფილ „დინამოს კორტე-ბზე“. ეს იყო სიმწვანეში ჩაფლული მოედნები თავისი ინფრასტრუქტურით. აქ უამრავი ადამიანი ვარჯიშობდა და კაჟდებოდა. ეს იყო ჩვენი თაობის ბიჭების თავშეყრის საყვარელი ადგილი, სადაც ბევრი დავმეგობრდით ოჯახებით, შვილებით. გელა ამ მეგობრობაშიც კვლავ ყველაზე გამორჩეული პიროვნებაა – ხალისიანი, მხნე, ერთგული, ქველმოქმედი... გელა კაცია!

პროფესორი მაია ქარაბაკი მთავარი ღირებულებების მასწავლებელი

ამბობენ, ქართველებს ლიდერობა უყვართ. გელა მუხაშავერიასთან საქმე პირიქითაა, მას პირველობა არასდროს აინტერესებს... ბატონ გელას თითქმის ორი ათეული წელია ვიცნობ. იგი თავისი ცხოვრების წესის, თუ დადებითი თვისებების გამო სულ ადამიანების გარემოცვაშია და უანგაროდ გასცემს სიტბოს, სიკეთეს, გულისხმიერებას. ხშირად მისგან მოვლიან რჩევას, დახმარებას, თანადგომას და ისიც არავის ტოვებს უწყურადღებოდ.

არ მინდა ამ წერილმა მეთოდური რეკომენდაციების სახე მიიღოს, მაგრამ ვფიქრობ, ამას მაინც ვერ ავცდები. მედიცინაში, განსაკუთრებით ქირურგიაში, იშვიათად იხარჯებიან იმისთვის, რომ მაღალპროფესიული კადრები აღზარდონ. ასეთ პოზიციაზე მხოლოდ ის ადამიანები დგანან, რომლებიც ბუნებით ალტრუისტები არიან და თვითონაც მაღალი რანგის სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ. ბატონი გელა მუხაშავერია მასწავლებლობაშიც გამორჩეული ნიჭითაა დაჯილდოებული. იგი პროფესიული ზრდისთვის თანაბარ პირობებს უქმნის სხვადასხვა შესაძლებლობის და ნიჭის ადამიანს. მოსწავლეების მხრიდან სიზარმაცის ან განათლების არასაკმარისი დონის გამოვლენის შემთხვევაშიც ის დიდხანს არ კარგავს ენთუზიაზმს. პროფესიონალური და პიროვნული ზრდისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია პაციენტისადმი, თანამშრომლებისადმი გელა მუხაშავერიას დამოკიდებულების შესწავლა. ის სიმართლეს არასდროს ალაპაჯებს, მით უმეტეს – არ მაღავეს. ყველაზე მნიშვნელოვან პოზიციად მიიჩნევს შენიშვნის, შეცდომის საჯაროდ განხილვას და ხშირად სიმართლეს სახალხოდ ამბობს. მისთვის არ არსებობს პატარა და დიდი შეცდომა; ზოგს შეიძლება მოეჩვენოს, რომ იგი შენიშვნებს ხშირად იძლევა და საყვედურობს, მაგრამ ასე არ არის, უბრალოდ – გელა მუხაშავერიას არაკომპეტენტურობის მისხალიც არ გამოეპარება... თუმცა, მისი მთავარი თვისება მაინც ადამიანების საუკეთესო კუთხით დანახვა და მათი შრომის დაფასებაა. უმნიშვნელო სამუშაოც არასდროს რჩება შეუმჩნეველი. ის ხშირად ახმოვანებს საკუთარი ცხოვრების მთავარ პრინციპს – ადამიანი შეიძლება მხოლოდ დედასთან იყოს ვალში, სხვასთან – არავისთან. მის გვერდით მუშაობის მრავალწლიანმა ურთიერთობამ დამარწმუნა, რამდენად თავისუფალს და თავდაჯერებულს ხდის ადამიანს გარშემომყოფებზე ზრუნვა, ყველა ვითარებაში სიმართლის თქმისა და დაცვის უნარი, ღვთის რიდი და შიში ნებისმიერი გადანწყვტილების მიღებისას. „ – გახსოვდეთ, რომ ხართ შუამავალი ღმერთსა და პაციენტს შორის, რომ ნებისმიერ თქვენს მოქ-

მედებას უზენაესი ხედავს. მოქეციტ პაციენტს ისე, როგორც ოჯახის წევრს მოქეციტოდით“, – ვფიქრობ, გელა მუხაშავერიას ამ სიტყვების გათავისების შემთხვევაში ექიმის კარიერა წარმატებული იქნება, ის შინაგანად თავისუფალი ხდება და თავმოყვარეობასაც ვერავინ შეუღახავს. გელა მუხაშავერიას ფული და მატერიალური მდგომარეობა არასოდეს დაუყენებია ადამიანურ ურთიერთობებზე მაღლა. ერთხელ უახლოეს მეგობარს უთქვამს, გელა, მაინტერესებს, ფული ასე ვინ შეგაძულაო? ბევრჯერ ვარ მომსწრე, უმწეო პაციენტს მატერიალურადაც დახმარებია, მისი გაჭირვება რომ დაუნახავს.

ბატონ გელასგან (მე მას უფრო აკაკიჩს ვეძახი) როგორც ექიმმა, ვისწავლე წინდახედულება, სიფრთხილე, რეალური სურათის ანალიზი – ეს უცილებელი პირობაა ნებისმიერი საქმის დასაწყებად. იგი არასოდეს დაგეგმავს ოპერაციას, თუ კარგად არ გათვალა ყველაფერი, მოულოდნელი შემთხვევისთვისაც თადარიგს იჭერს; შუქი გაითიშა? გენერატორი აქვს, გენერატორს რამე დაემართა? საგანგებოდ სამხედრო ფანარი შეიძინა, მედიკამენტების რეზერვსა და სამედიცინო ინვენტარზე აღარაფერს ვამბობ. ესაა ექიმი ორგანიზატორი და თანამშრომელთაგანაც წესრიგსა და დაკისრებული მოვალეობის ზედმიწევნით შესრულებას ითხოვს.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებშიც, როცა პაციენტს არათუ წამლების, საწვავის მოტანასაც კი სთხოვდნენ სამედიცინო დაწესებულებები, გელა მუხაშავერია პირადი სახსრებით უზრუნველყოფდა კლინიკის გამართულ მუშაობას. მუდამ გვაფრთხილებდა: „პაციენტის ახლობელი ქუჩაში წამლებზე არასდროს გაუშვათ, ეს იგივეა, მოსულ სტუმარს უთხრათ – წადი და დანა-ჩანგალი მომიტანეო“. მოკლედ, იგი ყველგან და ყველაფერში თადარიგის დაჭერის ოსტატია და ხშირად ამბობს, რომ ექიმმა ყოველთვის უნდა განსაზღვროს, როდის რა დასჭირდება და უნდა მოიმარაგოსო. ამიტომაცაა, არ მახსოვს შემთხვევა, მას ვინმესგან რაიმე ნივთი ენათხოვროს.

განსაკუთრებულია ბატონი გელას ურთიერთობა პაციენტებთან – ძალიან ახლობლური და, ამავე დროს, დისტანციურიც. დროის როგორი დეფიციტიც უნდა ჰქონდეს, იგი ფუნდამენტურად იხილავს თითოეულ შემთხვევას და გასინჯვის შემდეგ პაციენტს კონსულტაციის ვრცელ ჩანაწერს ატანს, იმ გაფრთხილებით, რომ ჩანაწერი მომდევნო ვიზიტისთვის შეინახოს. თუმცა, არის შემთხვევები, როცა პაციენტი ამბობს, რომ ჩანაწერი დაკარგა, ან სახლში დარჩა. აი, ამ დროს შეიძლება ნახოთ, როგორი გაბრაზება იცის „აკაკიჩმა“. მისი მოქმედებების და პიროვნული ღირსებების აღსაქმელად ადამიანს სწორად ხედვის და შეფასების უნარი უნდა ჰქონდეს.

ჩემთვის დიდი პატივია, რომ გელა მუხაშავერია მის წარმატებულ მოწაფედ მიმიჩნევს. ვეცდები, არასდროს შევაცვლევინო ეს შეფასება ადამიანს, რომელიც ერთნაირად იცავს საკუთარ და დარგის ღირსებას, ვისთვისაც პაციენტის ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას და ამ რწმენისთვის არასოდეს უღალატია.

საქართველოს კოლოპროქტოლოგიის ასოციაციის დაფუძნება. 2011 წელი, მარტი



გურამ ტატიშვილი



მაია ქარაბაკი



ალექსანდრე ბეთანელი



გელა მუხაშავერია, მაია ქარაბაკი, ანტონ ობოლაშვილი

პროფესორი დათო ლვამიჩავა როცა ასეთი სიყვარულია

გელა მუხამავერიას 1959 წელს შეეხვედი, მაშინ, როდესაც იგი ფიზიკულტურის ინსტიტუტიდან სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე გადმოვიდა. მან მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება ათლექტური აღნაგობით, არეული ქოჩრით, მეტყველი სახით, ხმაურიანი ლაპარაკით და ჟესტიკულაციით. მის გარშემო ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. ხელში მუდმივად რაღაცა ეჭირა, უფრო ხშირად წიგნებიანი ჩანთა, საიდანაც ხანდახან ღვინის ბოთლიც გამოჩნდებოდა. იგი ამით თავის ორიგინალობას არ უსვამდა ხაზს, უბრალოდ, ასეთი ნატურის იყო და დარჩა კიდევაც ასეთად. მისი ურთიერთობა ნებისმიერ პიროვნებასთან განსაკუთრებული პაიოსით ხასიათდებოდა. იგი კითხულობდა ბევრს, იცოდა ბევრი და მრავალი სტუდენტისგან განსხვავებით, ძალიან ბეჯითად მეცადინეობდა. ყოველთვის მზად იყო ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხისთვის და მაშინვე ეტყობოდა, რომ მისგან კარგი ექიმი დადგებოდა...

ინსტიტუტში რომ მივიდოდი, ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, რომ მას ვეძებდი. მისგან ყოველთვის ვიღებდი ახალ, საინტერესო ინფორმაციას, კეთილგანწყობას და სიტბოს. ნელ-ნელა ჩვენ დავახლოვდით. ფეხბურთსაც კი ერთ გუნდში ვთამაშობდით, პურ-მარილზე ხომ ხშირად ერთად ვიყავით და ყოველივე ამან (და ბევრმა სხვა ფაქტორმა) საფუძველი ჩაუყარა ჩვენს მეგობრობას, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია რაც გრძელდება.

ჩვენი დამეგობრება მოხდა უშუალოდ, შეუმჩნეველად და გელა ჩემი ბავშვობის მეგობრებს გაუტოლდა. მას აქვს რაღაც განსაკუთრებული ხიბლი, გულწრფელობა, ყველას მიმართ კარგი განწყობა, რაც აგრეტივად იზიდავს მის გარემოცვას. ის ბუნებით ლიდერია.

გავიდა დრო. დავამთავრეთ ინსტიტუტი და სხვადასხვა გზით წავედით, მაგრამ ერთმანეთი არ დაგვიკარგავს. ყოველთვის მაინტერესებდა თუ როგორ ცხოვრობდა ჩემი მეგობარი. ჩვენი შეხვედრები ხომ ნამდვილი ზეიმი იყო.

გელამ დრო უქმად არ დაკარგა – გაიარა კვალიფიკაცია მედიცინის რამდენიმე დისციპლინაში, როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში და დატვირთული ცოდნით და გამოცდილებით სხვებთან ერთად სათავეში ჩაუდგა მედიცინის ერთ-ერთ უძნელეს განხრას – პროქტოლოგიას. მომავალში ამ დარგში მან უამრავ ნარმატებას მიაღწია. დღეს იგი თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტია და დამსახურებულად ატარებს პროფესორის წოდებას. მე ვიტყვოდი, რომ იგი თავისი საქმის დიდოსტატია, რაც მე ძალზე მახარებს!

მინდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ბავშვობის მეგობრები, რითაც განგებამ დამაჯილდოვა, ჩემი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრები იყვნენ ჭირსა და ლბინში – ყურადღებით, გულწრფელობით, სიკეთით. ჩვენს შორის პატარა ხინჯიც კი არ ყოფილა და დარჩენილ წლებსაც ასეთი სიყვარულით გავატარებთ. ჩემი მეგობრები სხვადასხვა ფენის ოჯახებიდან იყვნენ, რაც არათუ არ გვიშლიდა ხელს ურთიერთობაში, არამედ გვეხმარებოდა კიდევ ერთმანეთთან უშუალო დამოკიდებულებაში და სადაც არ უნდა ვყოფილიყავით – ოჯახში, ქუჩაში, ზღვაზე, მთაში, თეატრში, კინოში, პურ-მარილზე თუ სხვაგან, მათ შორის ჩხუბშიც, გარემოების შესაბამისად სწორად მოქცევას ერთმანეთისგან ვსწავლობდით. უპირველესი ჩვენთვის იყო სიმართლე და პატიოსნება, თავაზიანობა, ერთმანეთის პატივისცემა და დახმარება...

გელა, მოგეხსენებათ, ძირძველი ავლაბრელია. მართალი გითხრათ, მის უბანს ვერელები ცოტა სკეპტიკურად ვუყურებდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ დავმეგობრდით, მე ხშირად მიწევდა გელას უბანში მასთან ერთად ყოფნა და მისი მეშვეობით გავიცანი მისი უბნელი ბევრი პიროვნება, რომლებმაც თავი შემაყვარეს. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ უკლებლივ ყველა, გელას გულისთვის, რომ იტყვიან, მზად იყო წყალში გადავარდნილიყო. მე კი შევითვისე ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანზე მხოლოდ მაშინ გაქვს უფლება იმსჯელო, როდესაც მას საფუძვლიანად გაიცნობ.

ერთ მშვენიერ დღეს მე და გელა „არამიანციდან“, სადაც ლექცია გვექონდა, ფეხით გამოვუყვეით ქუჩას. გზად, „პრაჟექტორი“ იყო – ავლაბრის ერთ-ერთი განთქმული დუქანი. ლექციის მერე მოშიებულები ვიყავით და იმ „პრაჟექტორში“ შევუხვიეთ. დუქანში შესვლისთანავე დაპატიჟებულები აღმოვჩნდით, მასპინძლობა იქ მსხდომმა გელას უბნელებმა ისურვეს... სიტუაცია ძალიან სასიამოვნო იყო. კარგ კახურ ღვინოს ვსვამდით და ერთმანეთს ვეფერებოდით. სუფრა ავლაბრულქალაქურ ყაიდზე მიმდინარეობდა და მეც შევეცადე ფეხი ამეწყო ჩვენი მასპინძლებისათვის და საუბარში აქტიურად ჩავები, რამაც გელას აღფრთოვანება გამოიწვია. მან მითხრა: დათო ჯან! მე შენ ვერელი მეგონე, არადა, მთლად ავლაბრელი ყოფილხარო! გელა თავისი უშუალობისა და კომუნიკაბელობის წყალობით ჩემი ვერელი მეგობრების წრეში „ჩვენი“ („სვოი“) გახდა. იგი განსაკუთრებულად დაუახლოვდა ჩემი ბავშვობის მეგობრებს ნოდარ სამხარაძეს და გოია ცაბაძეს. სწორედ მათთან ერთად არაერთხელ ვყოფილვართ გელას ოჯახში სტუმრად, სადაც გულითადად გვმასპინძლობდნენ გელას მშობლები, უკეთილშობილესი პიროვნებები – დეიდა თამარი და ბიძია კაკო.

თავის სახლში გელა თამადობდა, მისი მშობლები კი, როგორც წესი,

ჩვენთან ერთად ისხდნენ სუფრასთან და ჩვენი მოქცევით ვცდილობდით მათთვის თავი მოგვენონებინა. ერთხელ, იქვე ავლაბრის ბაზარში ნაყიდი საზამთროები მივიტანეთ მუხამავერების ოჯახში, რომლებიც, სამწუხაროდ უმნიშვარი, თეთრები გამოდგა, რამაც ხასიათი ნაგვიზდინა, მაგრამ ბიძია კაკო გვამშვიდებდა, თეთრი კი არის, მაგრამ ჯიშია ეგეთი, საზამთროები ძალიან ტკბილიაო!

არ დამავეინყდება როგორ ეფერებოდა გელა დედას – დედაჩემო! შენ გენაცვალე, დღეს მე თუ კაცი დავდექი, სულ შენი დამსახურებააო! ეს იმდენად ბუნებრივი იყო, რომ თვალეზე ცრემლი გვადგებოდა.

ჩვენს სუფრას კი სულ გელას მეუღლე, მშვენიერი ნელი დასტრიალებდა, რომელიც გულლია მასპინძელი იყო. სამწუხაროდ, იგი აღარ არის, მაგრამ მისი სითბო და სიკეთე მუდამ გვახსოვს.

მე და გელა ძმადნაფიცები ვართ. ეს მოხდა თბილისის საოლქო ჰოსპიტალში 1963 წელს, სადაც ჩვენ სტუდენტობისას ვინექით, მაგრამ მე ამ კურიოზულ და დელიკატურ ისტორიას შემდეგი წიგნისთვის შევინახავ.

გელას საუკეთესო თვისებებზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ამჯერად რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ ჩვენი ურთიერთობიდან:

1963 წელს ინსტიტუტიდან ხუთი სტუდენტი ერთთვისანი სამხედრო მომზადების კურსებზე ახალქალაქის სამხედრო გარნიზონში წაგვიყვანეს. თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ვცხოვრობდით ბრეზენტის კარვებში, სადაც ძალიან ციოდა, განსაკუთრებით ღამით, წვიმის დროს კი ისევე ვსველდებოდით, როგორც გარეთ მყოფები. საკვებიც ძალიან ცოტა იყო და უგემური, რასაც ჩვენ ვერ ვეგუებოდით და ცოტ-ცოტა ფულის შეკრებით მოსახლეობისგან საჭმელს (ძირითადად მობარშულ კვერცხს) ვყიდულობდით. თარჯიმნობას სომხური ენის მცოდნე გელა მუხამავერია გვინევდა. მაგრამ სამწუხაროდ, ფულს ცუდი თვისება აქვს – იგი თავდება და ჩვენც ძალიან მალე გაგვითავდა. თუმცა აქაც ვიპოვეთ გამოსავალი. ახალქალაქში სახლობდა ჩემი მეუღლის მშობლების ახლობელი – ლომსაძეების ოჯახი. ოჯახის უფროსი ბატონი არჩილი ქართული ენის მასწავლებელი იყო („ვეფხისტყაოსნის“ ჩინებული მცოდნე და მრავალმხრივ განათლებული ადამიანი). მასწავლებლობის პარალელურად ოჯახი რომ გამოეკვება, არჩილი, თავის მეუღლე ალათოსთან ერთად მცირე მეურნეობასაც მისდევდა, კერძოდ, მეფუტკრეობას და კარტოფილიც მოჰყავდა. ჰოდა, სწორედ ამ ოჯახს მივადექით. არა მარტო მე და გელა, არამედ თან წავიყვანეთ 5-6 ჩვენი მშვიერი თანაპოლკელიც. ლომსაძეებმა სიხარულით მიგვიღეს, კარგად გამოგვკვებეს და გულწრფელად გვთხოვეს, შემდგომ დღეებშიც მივს-

ულიყავით. ჩვენ, რა თქმა უნდა, ეს მიპატიჟება უყოყმანოდ მივიღეთ, რითაც საკმაოდ აღვიდგინეთ ძალები, ხოლო ლომსაძეების ოჯახის ბიუჯეტი, ალბათ, საგრძნობლად დავაზარალეთ.

მოგეხსენებათ ჯარში, ნერთნის გარდა სხვა ვალდებულებებიც ეკისრებათ ჯარისკაცებს (ჩვენც ხომ ჯარისკაცები ვიყავით), კერძოდ, თითოეულ ჩვენგანს რიგრიგობით ჩვენი ბანაკის ჩაბნელებული ტერიტორიის ყარაულობა გვევალებოდა. ყოველგვარი იარაღის გარეშე, ცივ ღამეში, მარტოდმარტო ყოფნა და ფიზიკობა მოგეხსენებათ, ვერაფერი სიამოვნებაა. ჩემი რიგიც დადგა და მართალი გითხრათ, ძალიან უხალისოდ, თხელ ფარაჯაში გამონწყობილი, ეულად გავეშურე ჩემი მოვალეობის შესასრულებლად, მაგრამ ჩემი მარტოდ ყოფნა დიდხანს არ გაგრძელებულა – აქაც გელა მომეგვლინა მხსნელად და უბრალოდ, კბილებშორის გამოსცრა: ერთად ვიმორიგეთო! ჩვენი ყარაულობა ძალიან მნიარულად დაიწყო – მივადექით ჩვენი სვანი მეგობრების კარავს, საიდანაც ხმამალალი ხმები გამოდიოდა. სვანებმა არჩილ ჯავჯვანის მეთაურობით სათანადოდ მიგვიღეს – გვასვეს ჟიპიტაური, თან ბოდიშობდნენ, სვანური რახი აღარ გვაქვსო; გვაჭამეს შავი პური და ნიორი. ჩვენც მეტი რაღა გვინდოდა! დავემშვიდობეთ გულუხვ მასპინძლებს და მთელი ღამე დავბორიალობდით ჩაბნელებულ ბანაკში და ვუყვებოდით ერთმანეთს ძველ ანეკდოტებს და ასჯერ გაგონილ ამბებს. ასე იოლად გადამატანინა ჩემმა გელამ ის ღამე. მოგვიანებით ჩვენს მორიგეობას ვუნოდე „მე და ღამე... გელასთან ერთად“.

ჩვენი ურთიერთობის მეორე საინტერესო ეპიზოდი რესტორანში ერთ სტუმრობას უკავშირდება. გვანდნენ ჩვენი კურსელი გოგონებიც, ჩვენ, მათი „კავალრები“, ვცდილობდით მათ გამხიარულებას, მაგრამ, რატომღაც არაფერი გამოგვდიოდა. მაშინ გელა მუხამაფრია, რომელიც 100 კგ-ზე მეტს იწონინდა, გავიდა შუა დარბაზში, გააჩუმა მთელი საზოგადოება და მუსიკოსებს „ტუში“ შეუქვეთა. შემდეგ ხმამალლა შესძახა: ალე ჰოპ! და რესტორნის შუა დარბაზში ყველაზე რთული ილეთი, ე.წ. „ფიფლიაკი“ ანუ „სალტო მორტალე“ გააკეთა. პუბლიკა სახტად დარჩა, ატყდა ოვაციები, ყველაზე მეტად ჩვენმა გოგონებმა გაიხარეს და გელა ყველაზე მომხიბლავ და მაგარ მამაკაცად აღიარეს.

გელამ კიდევ ერთი „ტრიუკი“ ჩაატარა. ამ ხუთიოდე წლის წინ, როდესაც მე და ჩემი მეუღლე რესტორანში მეგობრებთან ერთად ჩვენი შუულულების 45 წლისთავს აღვნიშნავდით. ცოტა მოგვიანებით შემობრძანდა ნასვამი გელა და განაცხადა: მეგობრებო! მე ჩემი ძმაცაცი დათო ღვამიჩავა იმდენად მიყვარს, რომ აქვე დავნევი იატაკზე და იგი უნდა გულზე დამადგესო! თქმა და შესრულება ერთი იყო, დანვა იატაკზე

და ვერავითარმა ძალამ ვერ შეძლო გელას აყენება იატაკიდან, სანამ მე ჩემი მეგობრის სურვილი არ შევასრულე. რას არ გააკეთებ კაცი, როცა ასეთი სიყვარულია!

აი, ასეთია ჩვენი გელა, გულწრფელი და ალალი. მასთან ყოფნა საინტერესოა და სასიამოვნო. მადლობა განგებას, რომ ეს შესანიშნავი ადამიანი შემახვედრა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს უფრო იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს, ჩვენი სიყვარული, რაც დღემდე მოგვითანია, არ განელეზულა და არც არასდროს განელდება.



1963 წელი. ახალქალაქი. სტუდენტები სამხედრო მომზადების კურსებზე.

ცისანა შარტავა ღვთისგან ექიმად გაჩენილი

ბატონ გელაზე ბევრი რამ მსმენოდა, მერე ჩემი ოჯახის წევრი მისი პაციენტი გახდა და პირადად გავიცანი. არასოდეს დამავინყდება მისი ცრემლიანი თვალები, როცა გაიგო ჟიული შარტავას და ვიყავი, ეს ვაჟკაცი კაცი ბავშვივით გულაჩუყებული როგორ მეამბორა, მომისამძიმრა და თანადგომა გამომიცხადა. მოგვიანებით ოჯახში მიმინვია, გავიცანი მისი მეუღლე – სანდომიანი და სათნო ქალბატონი ნელი. სასიამოვნო იყო მათთან ყოფნა. ეს იყო ნამდვილი ოჯახური კერა ადამიანთა არაჩვეულებრივი ურთიერთობებით. ამიტომ ადვილად გასაგებია ის ტკივილი, რაც ნელის მოულოდნელმა გარდაცვალებამ გამოიწვია. მე იშვიათად მინახავს მამაკაცის ისეთი გამოხატული დარდი და მწუხარება, როგორსაც გელა ატარებს – სულის შემძვრელი, ღირსეული და რალაცით დიდებულიც.

გაუსაძლისი იქნებოდა მისთვის ნელის გარაშე ყოფნა, რომ არა შვილები, შვილიშვილები და საყვარელი საქმე, მისი ცხოვრების საქმე.

უკვე რამდენი წელია საქართველოს საპატრიარქო გელა მუხამავრიას კლინიკის ყურადღებითა და მომსახურებით სარგებლობს – არაერთი სასულიერო პირი და უპოვარი ადამიანი იყო მისი პაციენტი, მათ სრულიად უსასყიდლოდ დაეხმარა. მახსენდება, ჩვენგან გაგზავნილ სასულიერო პირს მძიმე დიაგნოზი დაუდგინა, ბატონმა გელამ სასწრაფო ოპერაციისთვის სხვა საჭირო პროფილის ქირურგიც თავის კლინიკაში მიიწვია და ერთობლივი ოპერაცია გაკეთდა. როგორც აღმოჩნდა, ეს პირველი ეტაპი იყო და შემდგომში რეკონსტრუქციული, აღდგენითი ოპერაციაც აუცილებელად უნდა გაკეთებულიყო, რაც გარკვეულწილად უნიკალურია და ფინანსებთან დაკავშირებული. ბატონმა გელამ ყველა ხარჯი საკუთარ თავზე აიღო... დღეს ის ადამიანი ცოცხალია და თავს შესანიშნავად გრძნობს. მახსოვს ისიც, ერთი უპოვარი ადამიანი გავეგზავნეთ ბატონ გელასთან, სრულიად უსასყიდლოდ ოპერაცია გაუკეთა და უფრო მეტიც – კლინიკიდან გამოწერისას კონვერტით ფული გადასცა, თავს მოუარე, ეს თანხა გამოგადგებაო...

ამ რამდენიმე დღის წინ საპატრიარქოში ერთი მღვდელი შემვფიქვინა, ბატონი გელას პაციენტი ყოფილა, რომ გაიგო გელაზე წერილს ვწერდი, დამლოცა და მითხრა: მაგ წერილში აუცილებლად ჩანერე, რომ გელა თავისი არჩევანით კი არა, ღვთისგანაა ექიმად გაჩენილი, როგორც ყველა ხელოვანს – მუსიკოსს, მხატვარს, მომღერალს, პოეტს მიეცემა ღვთისაგან ნიჭი, ასევე გელას ექიმობის ნიჭი მომადლა უფალმაო.

ამ რამდენიმე წლის წინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უნმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბრძანდებოდა გელა მუხაშაერიას კლინიკაში მძიმედ ავადმყოფი სასულიერო პირის მოსანახულებლად. მთელი კლინიკა ფეხზე იდგა, ბატონი გელა მოწინებით მოდრეკილი დიდი მამის მადლიან დალოცვას იღებდა. დაე, ამ ლოცვის მადლით ევლოს გელა მუხაშაერიას მთელი ცხოვრება!



ცისანა შარტავა, გელა მუხაშაერია, საქართველოს პატრიარქი, უნმინდესი და უნეტარესი ილია II

ჯუბა ცანავა ორჯერ პროფესიონალი

ჩვენ არც ბავშვობის მეგობრები ვყოფილვართ და არც თანაკლასელები, სრულიად ახალგაზრდებმა, დედაქალაქიდან ქარელში სამუშაოდ ჩასულებმა, გავიცანით ერთმანეთი. თავდაპირველად გელა აგარის საავადმყოფოს ექიმი იყო და ამბობდა, თბილისში ექიმები უჩემოდაც ბევრია, აქ კი ყველა ტკივილით – თავით დანყებული ფეხით დამთავრებული, მე მაკითხავსო. ეს იყო წლები, როცა სამსახურის მერე ერთადერთი გართობა მურმან ბაკურაძის ოჯახში ტელევიზორის საყურებლად მისვლა ან სუფრასთან შეხვედრა იყო. მახსოვს, პატარა კოლოფისოდენა ეკრანზე რა თვალებდაქაჩულები ვუყურებდით მოსკოვში ჩამოსული პელეს თამაშს და მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევას – ტელევიზორის გამომგონებელს ვადიდებდით და ვლოცავდით. მერე დაემეგობრდით, ჩვენმა ახალგაზრდა ოჯახებმა საერთო ენა მალე გამონახეს, მაგრამ უფროსებსაც კარგად გავუგეთ. გელას მამამ, აკაკი ბიძიამ ჩემი ნათლიობა იკისრა და კიდევ უფრო გამტკიცდა ჩვენი ახლობლობა. დარწმუნებული ვარ, გელა მუხამავრიაზე დღეს ბევრი კარგი სიტყვა ითქმება, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი იქნება, რადგან უღალატო და ერთგული ადამიანია, პროფესიონალია მედიცინაში და პროფესიონალია მეგობრობაშიც. მაგრამ მისი ერთი თვისება მინდა აღვნიშნო – იგი საოცრად მომთხოვნია ჯერ საკუთარი თავის და მერე სხვების მიმართაც. თავდაუზოგავად კეთილია და დიდოსტატია ლხინის, ბევრი ლამაზი დღე გვაქვს მოსაგონარი, მაგრამ ნელის გარდაცვალებამ დიდი ტკივილი დაუტოვა. მინდა, ეს მწუხარება იმ თანადგომამ და სიყვარულმა შეუმსუბუქოს, რაც მის მეგობრებს გვეუთვნის მის სანუგეშებლად.

ნანა ცინცაძე ჩემში ჩასახლებული ვაცი

არიან ადამიანები, რომლებიც შენს გვერდით ცხოვრობენ, ყოველ-
დღე ხვდები, ესალმები, გულლია ღიმილსაც არ იშურებ, მაგრამ იცი,
ისინი ვერასოდეს დაიკავენ ადგილს შენს ცნობიერებაში.

ხშირად შენში ის პიროვნებები სახლობენ, რომლებთანაც ყოველ-
დღიური ურთიერთობით არა ხარ განებივრებული, მაგრამ თითოეული
მათგანი შენი თანამგზავრია და უფრო მეტიც – მათ გარეშე ცხოვრე-
ბა იმ განუმეორებელ ხიბლს დაკარგავდა, რომელსაც ასე ვუფრთხ-
ილდებით და ველოლიავებით.

სწორედ ასეთ ადამიანებს მიეკუთვნება ბატონი გელა მუხაშავრია,
ვიდრე მას პირადად გავიცნობდი, მანამდე ვიცოდი, რომ ქალაქში
დადიოდა ვაცი, რომელზეც ლეგენდებს ყვებოდნენ.

გამოგტყდები, რომ პირველი შეხვედრისთანავე მოვიხიბლე მისი ინ-
ტელექტით, პოეზიის სიყვარულით, ქალაქელობით და იმ განსაკუთრე-
ბულობით, რომელსაც დღესაც ყველასაგან გამოარჩევს უფლისგან
ქირურგად კურთხეულს.

მიუხედავად გელას ძლიერი პიროვნებისა, მაინც მიხვდები, რომ
ეს რომანტიული ბუნების ვაცი საოცრად გულჩვილია და არც მის
თვალეზე მომდგარი ცრემლი უნდა გაგიკვირდეს. ამ კაცში სიცო-
ცხლის უსაზღვრო სიყვარული და ის დადებითი ენერჯიაა გაერთიან-
ებული, რომელიც იწვევს უდიდეს პატივისცემას, მოკრძალებას და იმ
სიყვარულს, დამშვიდობებამდე რომ გათქმევენებს, ჩვენ აუცილებლად
კიდევ შევხვდებით ერთმანეთს...

მე ბედნიერი ვარ, უფლება რომ მაქვს დავწერო ეს მოკრძალებული
წერილი იმ ადამიანზე, რომელიც ასე უხდება თბილისს და რომელსაც
ყველას გასაგონად ვეუბნები – მე შენ ძალიან მიყვარხარ!

ვახტანგ ცხადაძე დუბლიორის გარეშე

გელა მუხაშავერია, თუ გინდათ ახლა გაიცნოთ, მის კაბინეტში უნდა შეხვიდეთ. ამ ოთახში რამდენჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ყოველ მისვლაზე თვალს ვერ ვაშორებ მიჯრით გამოფენილ ნახატებს და ფოტოებს. თითოეულის უკან მთელი ისტორიაა. მაგალითად, ჩოხიანი გალაკტიონის ფოტოზე გეტყვით, რომ უნიკალური სურათია. ფიროსმანი, ვაჟა-ფშაველა, ტერენტი გრანელი გიყურებენ კედლიდან და ხედები, რომ აქაურობის მასპინძელს განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებს თითოეულთან. აქ კიდევ ერთი კუთხეა, სევდიანი კუთხე, სადაც გელას თავისი გარდაცვლილი მეგობრების სურათები აქვს გამოფენილი. გელა მეგობრობისთვის გაჩენილი კაცია და მეგობრობის ხსოვნის შემნახავი, მომფერებელი და გამფრთხილებელი, ისეთი, მურმან ლებანიძემ რომ თქვა – გვახსოვდეს ცოცხალი და მკვდარიო...

გელა ლხინშიც სანატრელი კაცია, მახსოვს ჩემი ქალიშვილის ქორნილში იამზე დოლაბერიძე გამოიწვია საცეკვაოდ და ისეთი ჩაახუჭუჭა, რომ ტაში დააქუხა დარბაზმა და ეს ტაში მე მგონი უფრო პროფესიონალ პროექტოლოგ ბატონ მუხაშავერიას ეკუთვნოდა, ვიდრე პროფესიონალ მოცეკვავე ქალბატონ დოლაბერიძეს.

გელა გაჭირვების ტალკვესია, გულიანი ბიჭია და სულ მიკვირს გულის ექიმი რატომ არ არის. ჩვენ, იცით, როდიდან ვიცნობთ ერთმანეთს? მტკვარზე დაკიდული რკინის ხიდი რომ იყო – მუხრანის ხიდი (ახლა ბარათაშვილის ხიდი), მე მინახავს გელა იმ ხიდიდან მტკვარში როგორი სალტოთი ხტებოდა, მახსოვს ისიც, ერთხელ როგორ გამოიყვანა ტალღებიდან დასახრჩობად განწირული ბიჭი.

გელა მუხაშავერია რომ თავისი საქმის პაგანიონია, ამაზე ამ დარგის მცოდნენი უკეთესად იტყვიან, ალბათ, მაგრამ მე ერთი მინდა ვთქვა, ვიდრე ავადმყოფს გასინჯავს, სულ დანერვილებით გამოკითხავს და თან ინერს – სად დაიბადა, მშობლებს რა ანუხებდა, როგორი რეჟიმით ცხოვრობს, რას ქამს, თავიდან ვფიქრობდი, ხომ არ შაყირობს-მეთქი, მაგრამ თურმე ყველას ასეთ დაკითხვას უწყობს. ერთხელ ასეთი მოსმენის შემდეგ, ავადმყოფი გასასინჯად წაიყვანა. მოგეხსენებათ, გელას პროფილით გასინჯვა გარკვეულ უხერხულობებს უკავშირდება და დგას თურმე ეს საცოდავი პაციენტი და ამბობს – ვერ გავიხდიო. გელა გაბრაზებულა, კარები გადაუკეტავს და შარვალი ცალ მხარეს ჩამოუნეწია – ა, ბატონო, ხომ დაგანახე, ახლა შენც დამანახეო და ასე გაუფანტავს ყველა უხერხულობა. ასეთი ბევრი ისტორიაა, ის კი არა, ზოგიერთებმა მისი ისტორიები საკუთარ თავზედაც გადააკეთეს, მაგრამ ვინც გელას იცნობს, ის მის ოუმორსაც ამოიცნობს და მის ხელწერასაც. გელა მუხაშავერია ჩემი თაობის ერთ-ერთი გამოჩენილი თბილისელია, რომელსაც ჯერჯერობით დუბლიორი არა ჰყავს.

ჯემალ ჭკუასელი მესამე თვალი მის ხელშია

მხედველობაში მყავს ერთი უსაყვარლესი ადამიანი, დასტაქარი, ფართო საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პიროვნება და ექიმი გელა მუხაშავერია – ყველასათვის იმდენად უშუალო და ყურადღებრივი, რომ გეუფლება განცდა, შენზე ახლობელი მას ცოტა ვინმე თუ ეყოლება, ეს უკვე მის დიდ ადამიანურ თვისებებზე მეტყველებს, შესანიშნავი ოჯახის შვილმა, მამამ და მეუღლემ დიდი იუმორის პატრონმა ადამიანების დახმარების მიზნით პროექტოლოგია (ბოდიშს ვიხდი! პროექტოლოგიის ხალხური დასახელება დამავინწყდა) საფუძვლიანად შეისწავლა. რასაც დიდი პროფესიონალიზმით, თავდადებით, ადამიანთა მოდგმის სიყვარულით, რწმენითა და დიდი ნიჭიერებით შესანიშნავად ართმევს თავს, იმ დონეზე, რომ ყველა მის პაციენტს აუხილა „მესამე თვალი“.

„სამწუხაროდ“, ბატონ გელასთან მე პირადად „ორგანული“ შეხება არ მქონია, მაგრამ მაინც მიხდება მისი ხშირად შენუხება, როგორც პროტექტორს და უზომოდ მაღლიერიც გახლავართ, რადგან ყველა ის პაციენტი, რომელიც მას მივგვარე, უპრობლემოდ ჯდება სკამზე.

ახლა, ჩემო გელა ბატონო, ისიც ვთქვათ, ხანდახან თოფივით რომ იქუხებ და მერე ნელ-ნელა რომ წყნარდები, თუმცა, არ მეგულება ადამიანი, რომელსაც შენი ხელი მიწვდა (იქ სადაც ჯერ არს) და მაღლიერების გრძნობა არ დაუფლებოდეს.

ამასწინათ ქუთაისში გახლდით, უნებლიეთ ორი ქუთაისელის საუბარს შევესწარი:

- ბიჯო, ამირანა, იყავი თბილისში გელასთან?
- ვიყავი რეზოია, ვიყავი.
- მერე – გაგიკეთა ოპერაცია? – ჩაეკითხა რეზო.
- კი, გამიკეთა.
- ხო იცი, მეც უნდა გავიკეთო მაგ ოპერაცია და ჩვენში რომ დარჩეხ, პატარა ქეც მეშინია.
- რაის გეშინია ბიჯო! მაგისტანა ექიმი მსოფლიოში არაა.
- ხომ ვერ გეიგე რომ გაგიკეთა?
- ოპერაცია, არა მაგრამ, მერე გავიგე, რაც გევიგე!
- რა გევიგე!
- რაი და, ის ადგილი ამოუჭრია, რაშიც ბუასილი მქონდა და ბუასილი ქი დაუტოვებია.
- აუუ, ეგი რა გევიგონე, სად წევიდე ახლა მე? – შენუხდა რეზოია.

– მოი ბიჯო აგერ, იმის მარჯვენას შემოვევლე, მაგის გაკეთებული ოპერაციის მერე მეორეჯერ დევიბადე მგონია და მზეს გაფუსწორე თვალი, – დაამშვიდა ამირანამ.

ძმაო, გელა! შენს ადამიანურ თვისებებზე და პროფესიულ ოსტატობაზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ხომ გახსოვს, მე მომღერალი ვარ და ბევრი ლაპარაკი არ შემიძლია, მოკლედ ვიტყვი.

რა მნიშვნელობა აქვს რას მკურნალობ – გულს თუ სხვა რამეს, მთავარია გიყვარდეს, ვისაც და რასაც მკურნალობ. სიყვარულს კი შენ ვერავინ გასწავლის!



ღირიჟორი

ღილა, საათის ისრები ათს უახლოვდება. კლინიკაში ცხრა საათიდან ყველა თანამშრომელი ადგილზეა, ყველაფერი წესრიგში უნდა იყოს – საოპერაციო, საპროცედურო, პალატები, ზუსტად ათზე კარებთან მანქანა გაჩერდება და დირექტორი გამოჩნდება – კლინიკის ხელმძღვანელი, პროფესორი გელა მუხაშავერია შემოვა ისე, როგორც ოჯახის უფროსები, მამები შემოდიან ხოლმე სახლში და გეუფლება განცდა, ყველაფერი კარგად იქნება... ბატონი გელა ჩვენთვის, კლინიკის თითოეული თანამშრომლისათვის მარტო დირექტორი კი არა, პატრონი და ჭირისუფალია. უყურადღებოდ არ რჩება არც ლხინი და არც არავისი გასაჭირი. ამ რამდენიმე წლის წინ ნუგზარ პაპიძე გარდაიცვალა, ჩვენი ექიმი, კარგი ადამიანი. ყველამ ძალიან განვიცადეთ. ერთ დღესაც სამსახურში მოსულებს კედელზე გაკრული თეთრი მარმარილოს მემორიალური დაფა დაგვხვდა – „ჩვენს კლინიკაში 1983-2007 წლებში მოღვაწეობდა ნამყვანი სპეციალისტი, ექიმი ნუგზარ პაპიძე“. ეს იყო ბატონი გე-



ლასგან თანაგრძნობისა და სიყვარულის პატარა ძეგლი, რომელიც კოლეგის ხსოვნას დაუდგა.

- აბა, როგორ ხართ? - შემოგვძახებს ხოლმე და ამ მოკითხვაში არაა სიყალბის არცერთი მარცვალი. სხვაგან არსად გვეგულება ხელმძღვანელისაგან ასეთი ყურადღებითა და მზრუნველობით განებივრებული და გარემოცული კოლექტივი. თუმცა ყველა ინტერესი იქ მთავრდება, სადაც პაციენტის ინტერესები იწყება და თითოეული თანამშრომლისაგან ისეთივე პასუხისმგებლობას მოითხოვს, როგორიც თავადაა. ვხედავთ, როგორ ემზადება საოპერაციოში შესასვლელად, რადგან არ არსებობს მისთვის რთული და მარტივი ოპერაცია, ყველაფერს ერთნაირი პასუხისმგებლობითა და ერთგულებით აკეთებს, რითიც მაგალითის მიმცემია გარშემომყოფთათვის. ხელები კი ჯადოსნური აქვს, ვისაც უნახავს მისი მუშაობა საოპერაციო მაგიდასთან, დაგვეთანხმება - არცერთი ზედმეტი მოძრაობა. ესაა დირიჟორი კარგად გამეცადინებული ორკესტრის წინ და ყველა უსიტყვოდ უნდა მიუხვდეს რა არის საჭირო ამა თუ იმ სიტუაციაში. ესაა მისი მრავალწლიანი გაკვეთილების უპირობო მოთხოვნა.

ასე მოვდივართ აგერ უკვე რამდენი წელია. გვეამაყება, რომ გამორჩეული პიროვნების და დასტაქარის - გელა მუხაშაურიას ორკესტრში მოვხვდით და მისგან დღემდე ბევრს ვსწავლობთ პროფესიაშიც და ადამიანურ ურთიერთობაშიც.

პროექტოლოგიის ცენტრის თანამშრომლები:
 ლილი ალექსიძე, ლუიზა ბალკოვსკაია, ციალა გვიშიანი,
 მამუკა გრიგალაშვილი, ნელი დემეტრაშვილი,
 მანანა თიბილაშვილი, ლარა იმნაძე, მაია კასრაძე, ეკა მატარაძე,
 იზო მელაძე, ვახტანგ სანაია, თინა სვანიძე-მჭედლიშვილი,
 დალი სოლოლაშვილი, თინა სუნიტაშვილი, გიორგი ტალახაძე,
 ვალიკო ტლაშაძე, ნანა ფხალაძე, დავით ლოლობერიძე,
 უუჟუნა შაველაშვილი, ქეთევან ცანავა, მაია ცხვარიაშვილი,
 ლალი ხმელიძე, მურაზ ხუდოევი, გულიკო ჯინჯინაძე

ამერიკული ზღაპრები

„ამერიკული ზღაპრები“ – ასე ჰქვია დათო ტურაშვილის წიგნს, რომელიც მან ამერიკაში ასდღიანი ლიტერატურული პროგრამით ყოფნის დროს დაწერა. ამერიკაში მწერალს ქართველი ექიმი გელა მუხაშავერიაც გახსენებია. ამ პატარა რომანში ერთმანეთს ებმის რეალური და გამონაგონი ამბები. რადგან ავტორის თქმით, ამერიკაში ზღაპარსა და რეალობას შორის ზღვარი თითქმის არ არსებობს, ეს ამონარიდიც ამ განწყობით შეგიძლიათ წაიკითხოთ.

...დილით პიეტას დაეურეკე და ჩინურ რესტორანთან შემხვდა. მომეჩვენა, რომ ძალიან მხიარული იყო, ან მე ვიყავი იმ დღეს ისეთი სევდიანი, რომ უცებ ეჭვიანიც კი გავხდი. ღიმილით მითხრა კიდეც, რომ ინტერნეტით ყველაფერი გაიგო ჩემი ქვეყნის შესახებ და ისიც იცის, რომ საქართველოში ჯეინ ფონდა იყო ჩამოსული რამდენიმე წლის წინ. უცებ მომინდა, ისეთი რამე გამეხსენებინა, რაც მეც ძალიან გამამხიარულებდა. შეიძლება თავდაცვის ინსტინქტი იყო და არ მინდოდა, რომ პიეტას ჩემი დამწუხრების ნამდვილი მიზეზი გაეგო. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ როგორც კი თქვა, მეც მაშინვე გამახსენდა, რომ რამდენიმე წლის წინ ჯეინ ფონდა მართლა იყო სვანეთში და სამეგრელოში, სადაც ისე გაუმასპინძლდნენ, რომ მესამე დღეს სწორი ნაწილის ბოლო ნაწილში აუტანელი ტკივილი იგრძნო. მეგრელი დიასახლისები მაშინვე მიხვდნენ, რომ მიუჩვეველ ამერიკულ კუჭს უბრალოდ გაუჭირდა ასეთი ცხარე საკვების ათვისება და სტუმარს ურჩიეს გელა მუხაშავერიას მონახულება. ჯეინ ფონდაც ვერტმფრენით სასწრაფოდ გადააფრინეს ზუგდიდიდან თბილისში, სადაც იგი აეროპორტიდან პირდაპირ ბატონ გელასთან მიიყვანეს პროქტოლოგიის ცენტრში და დიაგნოზიც საპატიო სტუმარს მაშინვე დაუსვეს – მესამე სტადიის ჰემოროი. სახელოვანი პაციენტი პირადად გასინჯა მუხაშავერიას მოადგილემ, ქალბატონმა მაია ქარაბაკმა, ხოლო მასთან გასაუბრებას კი, რა თქმა უნდა, ბატონი გელა, თვითონვე აწარმოებდა. დიალოგი რასაკვირველია, ინგლისურად მიმდინარეობდა (ბუნებრივია, მთარგმნელის საშუალებით), თუმცა ჯეინ ფონდამ პირველი სამი სიტყვა ქართულად წარმოთქვა: – ზუგდიდში დედა მომიტყენეს!..

ეს იყო მისი პასუხი ქართველ პროქტოლოგთა პირველ შეკითხვაზე – მაინც რა დაგემართაო და ბატონმა გელა ჩარკვიანმა ეს შეკითხვაც ისეთივე სიზუსტით გადაუთარგმნა ამერიკელ მსახიობს, როგორც ყველაფერი დანარჩენი, რაც მერე გელა მუხაშავერიამ სტუმრის გასაგ-

ონად ბრძანა. მაშინდელ საქართველოში ინგლისურს ჩარკვიანების მხოლოდ ეს შტო ფლობდა მიუხედავად იმისა, რომ იმავე საბჭოთა საქართველოში ჩარკვიანების სხვა შტოც არსებობდა, რომლის წარმომადგენლებიც ძირითადად რუსულს სწავლობდნენ.

ბატონმა გელა მუხამაჟირიამ კი (სანამ ძირითად სათქმელზე გადავიდოდა), ქალბატონი ჯენი ფონდა სტატისტიკური მონაცემებით დაამშვიდა – ეს დაავადება (რომელსაც ქართველი ხალხი შინაურულად ბუასილს უწოდებს) ქართველების უმრავლესობას ანუხებს, მაგრამ ჩვენი ერი ჯერ არ გადაშენებულა და სწორი მკურნალობის შემთხვევაში არც თქვენ გემუქრებათ რამე გართულებათ. მერე კი ცნობილ ამერიკელ სტუმარს მთავარი სათქმელიც დანვრილებით მოახსენა:

ზოგადად, ჰემოროი ხასიათდება მეტად შემანუხებელი კლინიკური მიმდინარეობით, რაც გამოიხატება დაავადების პერიოდულ გამწვავებებში (სისხლდენა, ტკივილი, ქავილი, კვანძების შესიება) და საქართველოს პროექტოლოგიის ცენტრის კლასიფიკაციით, ჰემოროის ოთხი სტადია არსებობს. სხვათა შორის (აქ ბატონმა მუხამაჟირიამ უაღრესად კმაყოფილი სახით მის მიერვე აღზრდილ, იქვე მდგომ ქალბატონ მაია ქარაბაქს გადახედა), ჰემოროის სტადიისა და მიმდინარეობის დადგენა არ არის დაკავშირებული ტკივილთან, თუ გასინჯვას ანარმოებს პროფესიონალი კოლოპროქტოლოგი. ჰემოროი ძირითადად უყალიბდებათ სწორი ნაწლავის თანდაყოლილი სისუსტით დაბადებულ ადამიანებს, მაგრამ საქართველოში ბუასილის (აქ კი რატომღაც ამ ავადმყოფების ისევ ხალხური სახელწოდება გამოიყენა) განვითარებას განსაკუთრებულად უწყობს ხელს ჭარბი წონა, ნაწლავების ტრანზიტორული დარღვევები, ალკოჰოლის განსაკუთრებით დიდი რაოდენობითა და ღორისა და ძროხის ხორცის მიღება ცხარესთან ერთად. ჰემოროის საწყის სტადიებზე შესაძლებელია ეგრეთ წოდებული უსისხლო მეთოდით, მცირეინვაზიური მკურნალობით სასურველი შედეგის მიღწევა, მაგრამ ავადმყოფობის ბოლო სტადია ექვემდებარება აუცილებელ ქირურგიულ ჩარევას და სწორედ საქართველოში შემუშავებული სპეციალური ტიპის ოპერაციით შესაძლებელია ჰემოროის საბოლოო დამარცხება. ამ ადგილას კი ბატონმა გელა მუხამაჟირიამ მოგუდულად ჩაახველა და საქმიანი წინადადებით მიმართა ქალბატონ ჯენი ფონდას – თუ კიდევ ჩამობრძანდებით საქართველოში და ჩვენი პროფილით კვლავ რამე პრობლემები შეგექმნებათ, ოპერაციას ჩვენს კლინიკაში სიამოვნებით გაგიკეთებთო.

აქედან გამაღწევიანა და ამ ქვეყანაში დამბრუნებელი მე აღარ ვარო, – ისე დაბეჯითებით თქვა საპატიო სტუმარმა, რომ მისი ეს ბოლო ფრაზა გელა ჩარკვიანს თანამემამულეებისთვის აღარ გადაუთარგმნია.

ფოტოისტორია



1947 წელი. შუქრი და თამაზ შუბლაძეებთან

* * *



„ეს შატო შუბლაძეა, ჩემი ბავშვობის გამლამაზებელი. ჩემი თანაკლასელი თამაზის მამა. იგი თბილისის ერთ-ერთი რაიონის მილიციის უფროსი იყო, მაგრამ არ ერიდებოდა პოლიტპატიმრის ოჯახთან აკრძალულ ურთიერთობას და ლუკმასთან ერთად მშობლისმიერ სიყვარულსაც გვიყოფდა“, – იხსენებს გელა. მეგობრობამ მერე დედებიც ისე დააახლოვა, რომ თამარ კახიძის და ჟენია ბეთანელის მეგობრობის ამბავი

მთელ უბანს სცოდნია. შუბლაძეების ოჯახი კი ერთადერთი ყოფილა, სადაც გელას ლამით დარჩენის უფლება ჰქონდა. პირველად ამ ოჯახში უნახავს ტელევიზორი და ეამაყებოდა, ამ ფუფუნებით თამამად რომ შეეძლო ესარგებლა.

გელა ახლა იხსენებს შატო ბიძიას, ჟენია დეიდას, თამაზის, შუქრის, რომელთაგან დღემდე ვერცერთი ვერ მოყვა, მაგრამ ალალი და უანგარო სიყვარული მთელ ცხოვრებას უთბობს და უვსებს.



პუბლიკაციები გელაზე

მზია ხეთაგური
გაზეთი „თბილისი“, 1987 წელი

წილბიანი კაცი უწილბოდ

ავადმყოფი გაეწერა, იგი ბედნიერია, კარგად გრძნობს თავს. ორი-ოდე თვის წინ კი... გახსენებაც არ უნდა. მედპერსონალი ღიმილით აცილებს და სთავაზობს ფურცელს, რომელშიც წერია: გმადლობთ ნდობისათვის, რაც თქვენი არჩევანით გამოუცხადეთ განყოფილებას. ჩვენთან, როგორც ყველა სამედიცინო სტაციონარში, მკურნალობა უფასოა. ამიტომ, ნურც საკუთარ თავსა და ნურც თანამშრომლებს ჩააყენებთ უხერხულ მდგომარეობაში რაიმე ანაზღაურების მცდელობით. გისურვებთ ბედნიერ გამოჯანმრთელებას, თუ სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ ამ ბარათზე წერილობით გამოთქვათ თქვენი შთაბეჭდილება“. იგი ცოტა ხანს დაფიქრდა. მერე კალამი აიღო და წერა დაიწყო: „პირველ რიგში, დიდი სურვილი მაქვს, ეს ჩანაწერი და ნებისმიერი ავადმყოფის აზრის გამოთქმა განყოფილების მიერ შემოთავაზებულ ფურცელში, ფორმალურ ხასიათს არ ატარებდეს.

რთული ოპერაცია გამიკეთეს განყოფილების გამგემ გელა მუხაშავერიამ და პალატის ექიმმა ანზორ მჭედლიძემ. თითოეული თანამშრომლისგან მკურნალობის მანძილზე ვგრძნობდი მზრუნველობასა და სიბოძს.

განსაკუთრებით მინდა გამოვეყო განყოფილების გამგის გელა მუხაშავერიას უანგარო და კეთილშობილური თვისებები. დარწმუნებული ვარ, რა პროფესიაც არ უნდა აერჩია მას, დიდ სარგებლობას მოუტანდა ხალხს. იმიტომ, რომ იგი ზედმინევენით პატიოსანი, კომპეტენტური პიროვნებაა. ერთი შეხედვით ამ პათეტიკური სიტყვებით, არა მხოლოდ პირად, არამედ უამრავი ავადმყოფობისა და მათი პატრონების სათქმელს გამოვხატავ“.

მადლიერთა რიცხვი მართლაც რომ დიდია. „ჩემი მხსნელი“, „სიცოცხლის შემნარჩუნებელი“, „მეუღლეს სიცოცხლე დაუბრუნა“, „ძმა გადამირჩინა“, „რა შეიძლება გავცე, რომ ამ კაცის პატივისცემა გადავიხადო?“, „უცნაური ადამიანია, – არავითარი ანაზღაურება! ამდენს კი შრომობს, – განა ერთხელ გვინახავს, დასუსტებული ავადმყოფი თავისი მძლავრი ხელებით რომ აუყვანია და გადაუწვენია საოპერაციო მაგიდიდან სანოლზე“...

...გელას კაბინეტში გალაკტიონის დიდი პორტრეტი კიდია, იგი

ხელგაშლილი, ადგზნებული სახით კითხულობს ლექსებს, იქვეა სამად სამი ედელვაისი – ერთ-ერთი მადლიანი პაციენტის მოკრძალებული საჩუქარი, მეორე კედელზე ერთ ჩარჩოში მოთავსებული ორი გურამის – თიკანაძისა და რჩეულიშვილის ფოტოა. „ორივე გურამი ჩემი თაობის ბიჭები იყვნენ... და-ძმა არ მყავს, ასე მგონია, ძმები მომიკვდნენ“, – სახე უეცრად დაუნაღვლიანდა გელას და მერე წარმოსთქვა: „არსებობს ადამიანის ცხოვრებაში წვიმიანი დღეები, ძალიან წვიმიანი. არა, გარეთ შეიძლება მშვენიერი ამინდიც იყოს, მაგრამ სულში... მარტოობისა და უნუგეშობის ზარს გაჰკონდეს გუგუნი და არაფერი გშველოდეს ასეთ წუთებში პოეზიის გარდა. ვალმერთებ გალაკტიონს, ახლობლად მივიჩნევ ფიროსმანს...“

...გელა მუხაშავერია ყოველ წელიწადს სამასზე მეტ ოპერაციას აკეთებს ავადმყოფისადმი ერთგულებითა და ერთი აუცილებელი ატრიბუტით – ნილბით. მე თავს მცირე ლირიკული გადახვევის ნება მივეცი: რამდენი კაცია ამ ქვეყანაზე სახეზე ნილაბი რომ არასოდეს აუფარებია, მაგრამ მაინც ნილბით დადის. გელა მუხაშავერიას კი ყოველდღე საათობით უწევს ნილბის ტარება, თუმცა მის პიროვნებას არასოდეს დასჭირებია იგი.

**ისტორიკოსი, პროფესორი გოული ალასანი
გაზეთი „თბილისი“, 1995 წელი**

ღირსების გრძნობას გვიბრუნებენ

ყველაზე მძიმე წლების ყველაზე მძიმე განცდა, ალბათ, ადამიანში რწმენის დაკარგვაა. ქრება ის, რაც გაუსაძლისს გასაძლისად ხდის და გვაფიქრებინებს: აი, ცოტაც და... ამ საშინელი უიმედობისა და ვილაცისაგან შევლის მოლოდინში ხშირად გვაკინცდება, რომ ხსნა თითოეულ ჩვენგანშია.

ჩვენთან დღეს ექიმი, ისევე როგორც ბევრი სხვა, რეალურად უბელფასოდ მუშაობს და მისი პირადი მაგალითი ძალას გამატებს.

მობდა ისე, რომ შემთხვევამ ჩემი ოჯახი შეახვედრა ერთ-ერთი საავადმყოფოს ერთ განყოფილებას. ორი კვირის მანძილზე იქ ყოფნამ დაამსწვრია ბოლო წლებში ჩვენს შეგნებაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპი.

რესპუბლიკური საავადმყოფოს პროქტოლოგიურ განყოფილებაში ყველაფერი ავადმყოფზე, კოლეგებზე, ახალგაზრდებზე ზრუნვით სუნთქავს. ძალზე რთულ, თითქმის საველე პირობებში მუშაობენ. აქ დრო წამებით იზომება. ხშირად ადამიანის სიცოცხლისათვის იბრძვიან უსინათლოდ, უმედიკამენტოდ, შიშველი ხელებით, ნერვების უკიდურესი დაძაბვით. 6-7 საათზე შინ არავინ მიდის. ასეა შაბათ-კვირასაც. ამ საქმიან ატმოსფეროს ქმნიან კლინიკის მთავარი ექიმი, პროფესორი ბადურ მოსიცი და განყოფილების გამგე გელა მუხაშავრია. სწორედ მათი მკაცრი ზედამხედველობითა და მომთხოვნელობით, ტაქტიანი და კოლეგიალური დამოკიდებულებით ეუფლებიან ახალგაზრდები სპეციალობას. უფროსები გადასცემენ მათ პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას, ანდობენ ურთულეს ოპერაციებს. ამასთანავე, ასწავლიან უფრო მთავარს – ადამიანურობას. ამ მხრივ, მათ ბევრი აქვთ მისაბაძი. მათი მორალური კოდექსი მხოლოდ ჰიპოკრატეს ფიცით და დერეფანში განყოფილების გამგის ოთახთან გაკრული ათი მცნებით არ ამოიწურება. და სხვებისგანაც, პირველ რიგში იმასვე მოითხოვენ.

ორკვირიანმა ურთიერთობამ დამარწმუნა, რომ ბატონი გელა და ბატონი ბადური, ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნიან, რომლებიც თავიანთ მოქალაქეობრივ ვალს უხმაუროდ და ზედმინევენით ასრულებენ, ისინი ყველაფერს გიკეთებენ და მადლობის გადახდის საშუალება-საც არ გიტოვებენ. მე დღეს მათ და ყველა მათ თანამშრომელს მინდა მადლობა ვუთხრა თუნდაც იმისათვის, რომ მსგავს პიროვნებებთან შეხვედრა ჩვენ, რიგით ადამიანებს, სიამაყის და ღირსების გრძნობას გვიბრუნებს.

დ. მურმანიშვილი

გაზეთი „ქარელის კოლმეურნე“, 1967 წელი, აგვისტო

კურთხეული მარჯვენა

ზუსტად ღამის ორ საათზე დასტაქრის კაბინეტში შემოვიდა ექთანი ზინა გელაშვილი და აუნყა, რომ მიძიმედ დაშავებული კაცი მოიყვანესო. დასტაქარი გელა მუხაშავრია გაეშურა კარისაკენ და იქ, საოპერაციო მაგიდაზე, მოსკოვის სახელმწიფო ცირკის მსახიობი ალექსი სმირნოვი დახვდა. შემთხვევის წყალობით მოტოციკლეტიდან გადმოვარდნილი მსახიობი მიძიმე მდგომარეობაში იყო. მაჯა არ ესინჯებოდა, ყურებიდან გამოდიოდა თავ-ზურგის ტვინის სითხე (ლიქვირი). პირველი პრობლემა იყო სისხლის დენადობის შეჩერება, საამისოდ საჭირო იყო ნემსები, ჟანგბადი, დასტაქრის მარჯვენა...

გელა მუხაშავრია ექვსი დღის განმავლობაში შეუცვლელად თავზე ედგა ტრამვირებულს და არაფერი დაუზოგავს მისთვის. 45 დღის შემდეგ კი სრულიად გამოჯანმრთელებული გააცილა რკინიგზის სადგურამდე.

ეს პირველი შემთხვევა არ არის ახალგაზრდა დასტაქრის პრაქტიკაში. ქართველ მეშაქრეთა დაბის მშრომელებს მან 150 ოპერაცია გაუკეთა.

– თბილისში უჩემოდაც საკმარისად არიან ექიმები, – განაცხადა გელამ, როცა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იქ მუშაობა შესთავაზეს და აგერ 3 წელზე მეტია აგარელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება. შეიყვარა უბრალო ადამიანები და ამიტომაც, რომ დაბის მთელი მოსახლეობა პატივს სცემს გელას, როგორც კურთხეული მარჯვენის მქონეს.

დინჯი, წყნარი, გულკეთილი და უპრეტენზიო გელა აგარელთა საყვარელი ადამიანია.

ეკა ლომიძე,
 უურნალი „გზა“, 2000 წელი

სწორი ნაწლავი ჩემთვის გულის, ტვინის, ფილტვის დონებზე აყვანილი

რესპუბლიკურ საავადმყოფოში ერთი განსაკუთრებული კაბინეტია – ალბათ, ბევრი ჩვენი თანამემამულისათვის კარგად ნაცნობი. პროქტოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელის სამუშაო ოთახზე მოგახსენებთ. თუმცა ამჯერად დაავადებებს და მედიცინას ნაკლებად შევეხებით...

კარს შეაღებ და ძლივს შეიკავებ ენის წვერზე მომდგარ სიტყვებს: „კეთილი იყოს ჩემი ფეხი თქვენს ოჯახში“. დიახ, ოჯახურმა კერამ რომ იცის, ისეთი სითბო დაგხვდება და მერე, როცა გურული „ადესის“ ღვინის სურნელი არა მარტო ყნოსვის რეფლექსებს აგიშლის, – დაგავინცდება, რომ კედლებს მიღმა დაავადებით შეწუხებული უამრავი ადამიანი ხსნას ელის. მათი ერთ-ერთი მხსნელი კი, საქართველოში ცნობილი პროქტოლოგი, თბილისის კოლორიტი, ექიმი გელა მუხაშავერია ჩვენი მასპინძელია. ერთი შეხედვით ჭირვეული, სასტიკად უარობს ყოველგვარ ინტერვიუს. თუმცა ერთგულია თავისივე გამონათქვამის – შენს დიდ თავმოყვარეობას შენივე თავმდაბლობა განაპირობებსო, წამოცდენილ დაპირებას მაინც გვისრულებს და ჩვენთან „ფარხმალდაყრილი“, სწორედ იმით იწყებს, რაც ყველაზე მეტად აწუხებს:

– კაცობა მარტო შარვლის ტარება და ბოხი ხმით ლაპარაკი არ არის – სიტყვის ფასის ცოდნა, გამჭვირვალე ყოფა, უნილბოდ სიარული და სანთელივით დანვის უნარია, შენ უკან მომავალს რომ გზა გაუნათო. თორემ ღვინის სუნი და, მაპატიეთ, რაღაც გამოშვერილი, ტიკსაცა აქვს. ოღონდ ეგ არის, ტიკი არ ხვრინავს და იმას არ იბრალებს, რაც არ არის.

– ბატონო გელა, ეს, ალბათ, „კაი ყმის“ თქვენებური დახასიათებაა.

– ჩემთვის „კაი ყმა“ ილია ჭავჭავაძეა. „ყოველ დღესა შენ თავს ჰკითხო: აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?“ – რას ამბობს, გესმის? – „ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაიკაცობით არის ნაშოენი“. ილია რასაც ფიქრობდა, იმასვე ამბობდა და აკეთებდა. დღეს კი სამწუხაროდ, ბევრის ნდომით ნახდენილი კაცებით აივსო ქვეყანა. კაი ყმა ის არის, ვინც სიყალბეს არ სჩადის, არადა, მაგის დალი დღეს ბევრს აზის.

– და მაინც, როგორი იყო თბილისი? თქვენი თაობის ყველა წარმომადგენელი ამას მისტირის.

– სიყალბე ასე თვალსაჩინო და სამაგალითო არ იყო. პატიოსნებას და

ღირსებას ჰქონდა ფასი. ჩხუბი რომ ჩხუბია, ისიც კაცურად ვიცოდით – უიარაღოდ, მარჯვენის იმედად. ჩემი თაობის კაცია მირანგულ ავსაჯანამ-ვილი, პოეტი. 17-18 წლისანი ვიქნებოდით, ბირჟაზე ვიდექით, რალაცაზე ნაელაპარაკდით. ბირჟას გავეცალეთ, ტაქსიში ჩავსხედით, სანაპიროზე, რიყეზე ჩავედით და იქ დავცხეთ ერთმანეთს. ხელით ვჩხუბობდით, ქვა არ აგვიღია და არ დავგვირტყამს ერთმანეთისთვის, ამოვანთხიეთ ბოლმა, დავასიეთ ერთმანეთი და ჩვენ-ჩვენი გზით ნავედით, მერე კი ისევ ვმეგობრობდით. წინათ უბანში ერთი „ბოზი“ და ორი მორფინისტი შეიძლებოდა ყოფილიყო და მათ შესახებ ყველამ იცოდა. ახლა კი 50 პროცენტი ყველანაირად ხელიდან წასულია...

[...]

– მართლაც უსაზღვროდ ვარ ჩემს პროფესიაზე შეყვარებული. ვამბობ ხოლმე: ო, პროქტოლოგია, მე მუდმივად შენი ტყვე ვარ, ჩემი ახალგაზრდობა და ტალანტი სწორი ნაწილის კედლებში მყუდრობს და ბერდება, ეს ხუმრობით. არჩევანი კი ამ სპეციალობაზე იმან გამაკეთებინა, რომ ახალი დარგი იყო, აუთვისებელი. 1987 წლიდან მოყოლებული, ათასზე მეტი ოპერაცია მაქვს გაკეთებული და სულ მგონია, ბოლო უკეთესი იყო. თავს ვეტყვი ხოლმე – გელა ბერდები და კიდევ რამდენია მოსასწრები და სასწავლი-მეთქი. ყოველი ოპერაცია ახალს ბადებს, ჩემს საკუთარ ხელწერას ვემნი. სწორი ნაწილი ჩემთვის გულის, ფილტვის, ტვინის დონეზეა აყვანილი, ეს არის ორგანო, რომელსაც ყველაზე დიდი ჯაფა ადგას ჩვენს ორგანიზმში. შეიძლება ოპერაციის გარეშეც განიკურნოს პაციენტი, თუ დროზე მიხედავს თავს და ჩვენთან დროულად მოვა, მაგრამ ექიმბაშებთან და „სიაფანდებთან“ სიარული ურჩევნია ხალხს. ამას წინათ ვხედავ ტელეეკრანზე მორბენალ სტრიქონს: „ვარჩენ ბუასილს დაჟინებული ცქერით“ – რა ქვია ამას, ტოო?

[...]

მთელმა საქართველომ იცის ჩემს თავს გადახდენილი კურობები. ხშირად მეგობრულ შარუებს მიძღვნიან ხოლმე „იმ“ ორგანოსთან დაკავშირებით. სტუდენტობისდროინდელი მეგობარი მყავს – თამაზ სანებლიძე, ექიმი, ტელევიზორს უყურებს თურმე, მოხდა ისე, რომ ხან ერთ არხზე ვარ, ხან მეორეზე, ჰოდა გადაირია თამაზი, მირეკავს – ჩაინერე, რასაც ახლა გეტყვიო და ლექსად მითხრა:

„ეკრანზე, როგორც ბელადი,
კურსელებიდან შენ ჩანხარ,
ტრ...ში რომ იყავ შემძვრალი,
ტელეარხშიდაც შემძვრალხარ,
არ დარჩა ერთი ნახვრეტი,
გულდაგულ რომ არ გენახა“.

ნინო ახალაძე
გაზეთი „შანსი“, 1995 წელი

ყველაზე მდიდარი ღარიბი

გელა მუხაშავერია – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი. რესპუბლიკური საავადმყოფოს პროქტოლოგიური განყოფილების გამგე „იგი ესთეტიკა, აღმერთებს ყველაფერ ლამაზს. მის გარშემო არსებულ სამყაროს შემწყნარებლურად უყურებს... აქვს დისციპლინისკენ აშკარად გამოხატული მიდრეკილება. გამორჩეულობის ტრფიალია. სიყვარულში – ერთგული. გრძნობას ისე ეკიდება, როგორც პასუხსაგებ საქმეს, მაგრამ, თუ ცხოვრება არჩევანის ნინაშე დააყენებს – სიყვარული თუ მოვალეობა, როგორც წესი, მოვალეობას არჩევს. ამ ნიშნით დაბადებულთა თვისებებია ინტელექტი, ინტუიცია, ფანტაზია, არტისტიზმი“ – ეს დახასიათება დრუიდების ჰოროსკოპის მიხედვით არის შედგენილი. ისე კი მას ძალიან ბევრი იცნობს, როგორც დასტაქარს, კარგ მეგობარს, ერთგულს და უღალატოს. „მეტის პრეტენზია არც მაქვს, ეკონომიკურად უზრუნველყოფილი არასოდეს ვყოფილვარ, არასოდეს მქონია დიდი ფული, არც აგარაკი, არც დანაზოგი. მარტო ექიმობით, პასუხისმგებლობით, პატიოსნებით, სინდისით, ღმერთი რომ სწამს, ისეთი ექიმობით, მდიდარი ცხოვრება არ გამოდის, მაგისთანა აგერ მე ვარ, გელა მუხაშავერია და ოროთახიან ბინაში ვცხოვრობთ სამი ოჯახი. მე ავადმყოფის ტკივილით ვცხოვრობ. ვიცი, აქ ათასი გაჭირვებული მელოდება და სულ აქეთ მომეჩქარება. არანაირი თანამდებობა არ მჭირდება – მე ექიმი ვარ და მორჩა...“

...სამედიცინო რეფორმა დროის მოთხოვნაა და გარდაუვალია. ექიმს სხვა საფიქრალი არ უნდა ჰქონდეს, გარდა ავადმყოფის მკურნალობისა. ალებ-მიცემობა სახელმწიფომ მოაგვაროს. არასოდეს ვარ ისეთი შეურაცხყოფილი, როცა ვიღაცა ჯიბეში მექისესავით ჩაგიდებს გასამრჯელოს. რეფორმით უპირველესად ექიმობას დაედება ფასი, ბუნებრივად მოხდება გადარჩევა, უნიჭოები ფაქტის ნინაშე აღმოჩნდებიან და საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვეღარ იმუშაებენ, მაგრამ ავადმყოფებიც დაიჩაგრებიან, საიდან მოიტანონ, საიდან გადაიხადონ, სანამ არ შეიქმნება სამედიცინო სადაზღვევო კომპანიები...

კაბინეტში პაციენტი შემოდის, იბოდიშებს და მაგიდაზე წიგნს ტოვებს წარწერით:

„ვითარცა ზეციური გამოცხადება, 12 ივლისი, 12 საათი და 30 წუთი.

ქირურგის ორფეოსს – გელა მუხაშავერიას.

შთაგონებულ მისტიკურ სამყაროში მითიური ღიმილის შემოჭრით აღსრულდა ჩემი განკურნების საიდუმლო მისტერია.

პროფესორი ანზორ გველესიანი“

აი, ამით ვარ ბედნიერი, – ამბობს ბატონი გელა, – ქალაქში გასვლა მიხარია, უამრავი ნაცნობი, ღიმილი, მოსალმება... ავადმყოფები რომ ეწერებინან, ხელებზე მკოცნიან, ამით ვარ მდიდარი, თორემ ამ ქვეყნიდან ვის რა წაუღია...

ვილენ მარდალეიშვილი,

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2008 წელი

პროექტოლოგიის მარკესი

...სულ ავადმყოფთან ტრიალი და ხელში ლანცეტი თქვენს მტერს და ბატონი გელა ქართულ სუფრაზე, ქართულ ნადიმზე უნდა ნახოთ... საგამოფენო დარბაზს ჰგავს მისი კაბინეტი: რუსთაველის, ვაჟას, გალაკტიონის, ფიროსმანის სურათები, თვითონ გადაღებული უამრავ პიროვნებასთან, ყველა მისი პატივისმცემელი და დამფასებელი... ამ ფიქრში მუზა თავისით მოფრინდა და ბიჭოს, სახუმარო-სამეგობრო სტრიქონები ვტყორცნე ცნობილ დასტაქარს:

სამშობლო შენი ჯავრია,
გენცვალე, მუხაშავერიავ,
ხარ გაჭირვების ტალკვესი,
პროექტოლოგიის მარკესი!

ესმა კუნჭულია
„დილის გაზეთი“, 1998 წელი

გელა, სადა ხარ, გელა? –
კითხულობს ყველა და კითხულობენ „ბუასილიანი“
ბელურებიც

იუბილარი, 60 წლის ასაკში – ამ კვარცხლბეკზე თავს კარგად გრძნობს, მიუხედავად დეკემბრის ტემპერატურისა, მუხაშავრია ისევე ცეცხლოვანი გურულია და გურული. შეგეგებებათ, მიგინვეთ, მოგიყვებათ, მოგისმენთ და ამ ტემპერამენტულ დიალოგში რამდენჯერმე გეტყვით: „შენ იყავი ჩემზე კარგად, ჩემზე უკეთესად“ – ამგვარი მიდგომით ბატონმა გელამ კარგა ხნის წინ თავისი საკუთარი 10 მცნება ჩამოაყალიბა და ცხოვრობს ასე ალტრუისტულად, შეგნებულად, კაცურად.

უყვარს გათენება. შეუძლია დილით დაგირეკოთ, მოგესიყვარულოთ, დაგენმაროთ, რაც მთავარია, გიშველოთ, გაგამნეწოთ, რომ არაფერი გაქვთ საშიში, ტრაგიკული და გადაუტანელი. აგისნათ, რომ საჯდომიც და სწორწინლავიც ისეთივე სათუთი და მოსაფრთხილებელი ორგანოებია, როგორც კუჭი, გული, ფილტვი და ყველა დანარჩენი.

პროქტოლოგი ამ ორგანოებზე დიდი მონივნებით ლაპარაკობს. ამის შედეგად კი, იმას მიაღწია, რომ ქართველი კაცის უცნაურ მენტალიტეტს აჯობა და მისი პაციენტები დღეს (ჩახდის) სირცხვილის კომპლექსებით აღარ იტანჯებიან, ეძებენ და პოულობენ გელა ექიმს.

ნუ ეტანებით ცხარეს, მუჟავს და მსგავს „ფეთქებად“ ნივთიერებებს, გაუფრთხილდით სწორწინლავს – ეს ის, თითქმის არალოგიკური და უეფექტო მსოფლიო რჩევაა, რომელიც ცხარეზე შეზრდილ ქართველებს არა და არ გამოგვადგება. იცის ეს გელა ექიმმაც და ამიტომ ხუმრობს: ეს სამხარეო დაავადებაა და ჩვენში თითქმის 97 პროცენტს აქვს, მაგრამ მალავს... ბელურა ხომ გინახავთ, ცაში რომ დაფრინავს, ისიც მეძახის: გელა, სადა ხარ, გელა?! (იცინის).

დიახაც, იმასაც სტკივა და უჭირს...

გელა საავადმყოფოშია იქამდე, სანამდეც მის პაციენტებს სჭირდებათ. არის დღეები, როცა იგი სამსახურში ათენებს და აღამებს. ერთ-გულება, აი, რა არის საჭირო, როცა „შუამავალი ვარ ღმერთსა და ავადმყოფს შორის, როცა ღმერთმა ისურვა ექიმი გამოვსულიყავიო“, – ამბობს ბატონი გელა და საინტერესო საუბარიც გრძელდება:

– ნლები ჩემი სიმდიდრეა, ყველაზე დიდი მასწავლებელი. ნლები გამოცდილებაა და ყველაზე ნაღდი მასწავლებელი.

– თავისუფლება მარტო დროშების ფრიალი არაა, ის უდიდესი პასუხისმგებლობაა ყველას მიმართ.

– კაცი შენიშვნას არ უნდა მიეჩვიო, მაგრამ თუ შეგეშალა, ბოდიშის მოხდაც უნდა იცოდე, თუმცა კარგია, როცა შენიშვნას არ იმსახურებ.

– ბუნებით ალტრუისტი ვარ... არ გინდათ ნილბით ცხოვრება, ჩამოიხსენით...

– რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ.

– მარტო მაშინ ვიტყუები, როცა ავადმყოფს სიმსივნური დაავადება აქვს, მაგრამ პატრონს ყოველთვის სიმართლეს ვეუბნები.

– ჩემთან მოსული პაციენტი უსახსრობის გამო უკან არასოდეს წასულა. ახლა ნახევარზე მეტს უფასო ოპერაციას ვაკეთებთ.

– რატომ არა ვარ ფულიანი? ფული მიყვარს, როცა ჩემი მონაა, თუ ფული გაგიბატონდა, მაშინ კაცი კი არა „მთხლეი ხარ“.

– მაქვს ოროთახიანი ბინა და ვცხოვრობ ჩემს დიდ ოჯახთან ერთად. მყავს ძველი ჟიგული და ვარ ასე. ბევრს ჰგონია, რომ ფულიანი ვარ, მაგრამ არასოდეს მქონია შემნახველი სალაროს ნიგნაკი... მდიდარი კაცი იყო მაკედონელი, მაგრამ არაფერი წაუღია ამ ქვეყნიდან მუხის მაკინტოჟის გარდა.

– რაც შეეხება ჩემს შეცვლას... ადამიანის ტრანსფორმაცია არ არსებობს. აი, ნახერხი ხელმეორედ დაიხერხება? საბოლოოდ ყველა იმას ამჟღავნებს, რაც არის...

– სიყვარული არასოდეს დამკლებია და არც ახლა მაკლია – ყველა ხეს თავის ჩიორა ჰყავს.

– თუ დასავლეთის ცივილიზაციას ბოლომდე აჰყვები, გადაიქცევი „ადამიან-მწარმოებლად“, არადა ქართველი არის და მუდამ „ადამიანი-მოაზროვნე“ იყო.

– დიაგნოზის დასმისას მთავარ სიტყვას ისევ სწორად შეგროვებული ანამნეზი და ტვინი მკარნახობს.

– მთელი ცხოვრება დაძაბული ვარ – საბოდიშოდ არ გამიხდეს საქმე...

– გურული გენების გამო, ფეთქებადი ხასიათი მაქვს.

– სიბერის მეშინია, მაგრამ სიკვდილის არა...

– ტკბილად დაბერების არ მჯერა. ის გელა აღარ ვიქნები, დაჩაჩანაკება არ მინდა!

რა დროს თქვენი დაჩაჩანაკებაა გელა ექიმო... გვაპატიეთ, პაციენტები გელოდებიან.

ელენე ხოზბერიძე
„დილის გაზეთი“, 1996 წელი, ოქტომბერი

რესპუბლიკური საავადმყოფო, სართული მე-11

...არც კი ვიცი სჭირდება თუ არა გელა მუხაშავერიას სახელს და გვარს კიდევ რაიმეს მიმატება. მის კაბინეტში ყველაფერია – ხატებით დანყებული გალაკტიონის სურათით დამთავრებული. ამის მიუხედავად, უპირველესად ეს ოთახი ექიმის ოთახია, სადაც ის კეთილგანწყობა იგრძნობა, რომელიც ავადმყოფისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია – როცა იცი, მოგისმენენ და დაგეხმარებიან. კედელზე სხვა ყველაფერთან ერთად საკუთარი ათი მცნება აქვს გამოფენილი:

*არ მოიტყუო.

*შენ იყავი ჩემზე კარგად, ჩემზე უკეთესად.

*იყავი შენი საქმის პროფესიონალი, ემსახურე მას თავდადებით.

*ზრდილობა – ყველასთან ურთიერთობაში.

*იყავი მპატიებელი

*გაეცი, გააჩუქე უანგაროდ.

*ოჯახი შენი სახე და ნავსაყუდელია, სადაც სულ გელოდებიან და არ დაიგვიანო.

*დაუმსახურებლად ნურავის შეაქებ, ნურც სადღეგრძელოში.

*მთელი ცხოვრება იზრუნე საკუთარ სულიერ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე.

*შურს და ბოროტებას გზა არასოდეს დაუთმო.

უთარილოდ, მთელი ჩემი ცხოვრება. გელა მუხაშავერია.

ეს არ არის ხმამაღალი თვითრეკლამა, ვინც იცნობს ამ სიტყვების ავტორს, მიხვდება, რომ რაც აქ წერია, მართლაც მისი ცხოვრების კრედიოა. დღესაც, გელა მუხაშავერია ავკარგიანი, ხალისიანი, და რაც მთავარია, პროფესიონალია.

ნინო კაპანაძე
 ჟურნალი „გურმანი“, 2009 წელი

ღვინოს თქვენობით უნდა ელაპარაკო

...ჯერ კიდევ 14-15 წლის ვიყავი, ღვინის ნრუპვა რომ დავინყე და მას შემდეგ ვერ მოვიშალე. ქართველისათვის ღვინოსთან ურთიერთობა ტრადიციული რიტუალია. მე ღვინოს თქვენობით ველაპარაკები. მორწმუნე კაცი ვარ და სრული სერიოზულობით გეუბნებით, ღვინო ჩემთვის ნმინდა რამ არის. გადავხედოთ ისტორიას, საქართველოში ქრისტიანობა ნმინდა ნინომ ვაზის ჯვრით შემოიტანა. ანალოგი მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს. სხვა ბევრი წყაროს გაცნობაც მარწმუნებს, რომ ვაზისა და ღვინის სამშობლო არის საქართველო. ჩემთვის ღვინო თილისმასავითაა. ამიტომ, სადაც ვარ, ერთი ბოთლი კარგი ღვინო ყოველთვის თან მაქვს. ხანდახან დაკრძალვაზე მივდივარ, მაგრამ სუფრაზე ვერ ვრჩები, პირჯვარს გადავიწერ და შესანდობარს ჩემი ღვინით შევსვამ... საქართველოში ვაზს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და ძალიან ბევრი ჯიშია შემონახული. ქართულ ეკლესიებს ჯვართან ერთად ხშირად ვაზის რტო და მტევანი ამშვენებს. ცნობილია, რომ ომიანობის დროს, როცა ეკლესიებში შესვლა ვერ ხერხდებოდა, ჯვრისწერა მხოლოდ მარანში იყო დაშვებული.

...ღვინო ნამალივითაა – თუ ზომიერად დალევე, გარგებს, თუ ზედმეტს – განყენს. ღვინოს უნდა მოუარო, პატივი სცე და იმის საშუალებაც უნდა მისცე, რომ სიამოვნება მოგანიჭოს. გადათრობის დიდი წინააღმდეგი ვარ, თუმცა ახალგაზრდობაში მეც მქონია ასეთი შემთხვევები. სხვათა შორის, მაშინ უფრო იცოდნენ ღვინის დაძალევა... ამბობენ, მცხეთელი გოლიათი სანდრო კანდელაკი ოც ლიტრს სვამდაო. ალბათ, გამონაკლისი იყო, მისი ფიზიკური აგებულების გამო.

...ჩემი გამოცდილებით გეუბნებით, თუ ზედმეტი მომივიდა და მეორე დღეს თავი უქეიფოდ ვიგრძენი, ისევ ერთი-ორი ჭიქა ღვინო მშველის. მე ყოველდღიურად ვვარჯიშობ და თითო ჭიქას ისედაც ვსვამ ყოველდღიურად, რადგან ეს საუკეთესო მატონიზებელი და დამამშვიდებელი საშუალებაა, ოღონდ, როცა ღვინოზე და მის სიკეთეზე ვსაუბრობ, მხოლოდ ჯანსაღ, ნატურალურ ღვინოს ვგულისხმობ...

ლია ბარათი

ბატონი გელა, მოგმართავთ საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდისა და ამ ფონდის ინიციატივით შექმნილი ზედაზნის მემორიალური ჯვრის მშენებლობის ჯგუფის მორწმუნე ახალგაზრდობის სახელით. აგერ უკვე მეოთხე წელია, უანგაროდ ვაშენებთ საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა მოსახსენებელ წმინდა ჯვარს. მშენებლობა მიმდინარეობს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის განკარგულებითა და მისი უწმინდესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

გიხდით მადლობას ჯგუფის წევრების უანგარო და მამა-შვილური მომსახურებისათვის. თქვენ არაერთხელ გვიჩვენეთ ჭეშმარიტი ქრისტიანობის მაგალითი, როცა უფასოდ გაუკეთეთ ოპერაციები ჩვენს ახალგაზრდებს.

მადლიერები ვართ და გვახარებს არა მარტო ის, რომ დღევანდელი უსახსრობის პირობებში სრულიად უცხო ადამიანებს იშვიათი უანგარობითა და გულითადობით მოგვექეცით, არამედ უფრო ის, რომ თქვენთვის ასეთი სამსახური ცხოვრების პრინციპს წარმოადგენს და რომ საქართველოს აღორძინების წადილში ჩვენ მარტონი არ ვყოფილვართ. მნიშვნელოვანი ის იყო, რომ არც კი წარმოგვიდგენია თქვენთვის კათოლიკოს-პატრიარქის თხოვნა-მიმართვა აღნიშნული მშენებლობისათვის საზოგადო შესაძლო დახმარების შესახებ, თქვენ ძალდაუტანებლად დაგვეხმარეთ, ამიტომ ჩვენი სულიერი ოჯახისა და მრევლის წევრად გთვლით და ყოველთვის გიხსენიებთ ლოცვებში.

ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ რადგანაც კაცი ჭირისგან დაზღვეული არ არის, ჩვენ კვლავაც იმედი გვაქვს თქვენი კეთილგანწყობისა და გთხოვთ შეძლებისდაგვარად დახმარებას.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაკურთხოთ თქვენს მიერ არჩეული სიკეთის გზაზე. ზედაზნის მემორიალური ჯვრის მშენებელთა სახელით მარადის ღვთის წინაშე თქვენთვის მლოცველნი.

ფონდის პრეზიდენტი
გიორგი კალანდაძე
ოქტომბერი, 1997 წელი

თქვენ იცით მაგის წამალი

ბატონო გელა! ტკივილისაგან გათანგული რომ დავდიოდი თქვენს კლინიკაში, თვალში მომხვდა კედელზე გამოკრული ფრაზები, რომლის კითხვამაც ისე გამიტაცა, რომ სულ დამავიწყდა ჩემი გასაჭირი – ზოგჯერ სიტყვაც კარგი სალბუნო ყოფილა. არაჩვეულებრივ და ორიგინალურ მიგნებად მივიჩნევ თქვენს ამ პატარა გამოფენას, რომელიც ერთგვარად ამზადებს პაციენტს ექიმთან შესახვედრად.

„ჩემი ცხოვრება ტრაგიკულია, რამეთუ ზოგჯერ ტრაკიც გულია“ – ამ ფრაზის ჭეშმარიტებაში დავრწმუნდი მას შემდეგ, რაც თქვენთან ვიმკურნალე და ახლა მეც ლექსად მინდა გითხრათ:

ამ ფრაზებს თვალი რომ მოვკარი, ლამის სიზმარშიც ვამბობდი,
რას ვიფიქრებდი ოდესმე ჩემს ტრაკს თუ ვინმეს ვანდობდი.

მაგრამ თუ გინდათ კვანძები სულ გარეთ არ ვარდებოდეს,
თქვენც ადექით და დროულად, მუხაშავრიას მიმართეთ.

ჩემით მოვსულვარ, ექიმო, ვგავარ მე ახლა ნახვენარს?
მოგანდე ტრაკი, შენ იცი, რა მეთოდებით დახვენავ.

ამბობენ ბუმბერაზი ხარ და არ გყავს ქვეყნად ბადალი,
ტკივილი თუ ვერ ვიგრძენი, შენ იცი მაგის წამალი,


თუკი დროულად შეხორცდა, თუკი ცუდად არ დავიჭერ,
თუკი მუზაზეც მოვედი, ასეთ ლექსს კიდეც დაგინერ!

გელა ექიმო! ახლა, როცა ჭრილობები შეხორცდა და მუზაზეც
მოვედი, დაპირებული ლექსიც გაჩნდა:

მართალს ამბობენ, ნაღდი ხარ,
ოსტატი მჯობნის მჯობნია,
ათი ათასჯერ გაგონილს
ერთხელ ნანახი სჯობია.

ამირან ბარამიძე 2011 წელი





მიმდინარე სტრატეგია

ნანა ცინცაძე

გელას

გ ულში რჩება ტკივილი, მაინც არ მოიწყინო,
ე რთხელ მინდა ორივემ, ცაზე გადავიფრინოთ,
ლ ურჯ ზღაპარში ცოცხლდება ბავშვობა და წარსული,
ა ხლა შენ გადღეგრძელებ ძველი ალადასტურით.
მ ე ვიცი, რომ სიკეთით ამ მინაზე დადიხარ,
უ ხვი თბილისელი და მართლა მოჰიკანი ხარ.
ხ ან ღიმილი გფენია, ხანაც დარდი განუბებს,
ა ქ დაჭრილი არნივი ცრემლად გიჭერს მარნუბებს,
შ ავი შაშვი კრიმანჭულს უგალობებს გურულებს,
ა ხლა უნდა დავლოცო, ვინც სხვებს სურვილს უსრულებს.
ვ ინც რა უნდა ისა თქვას, ქუდი გზურავს კაცობის,
რ ა ვქნა, მაინც შემოგრჩა ის სურვილი ანცობის,
ი ცოცხლე და იხარე, გქონდეს ღმერთის წყალობა
ა რასოდეს დაგტოვოს, ვინც შენთვის იგალობა!

2011 წელი

ქართლოს კასრაძე

შენი იმედი გვაქვს

შენ, სიცოცხლის ანგელოზო,
 მაღლიერნი გშენიან,
 სიყვარულის, სიხარულის
 მეტი რა დაგრჩენია.
 შენგან გადარჩენილები
 სიცოცხლეზე მღერიან,
 როცა შენზე ლოცულობენ,
 ყველა ბედნიერია.
 გადარჩენილთ არმიაში
 ბევრნი შენთან არიან,
 კვლავაც შენი იმედი გვაქვს,
 გელა მუხაშავრია.
 აბა, ყველას უმკურნალე,
 სამშობლო არ გათელონ,
 ჩვენო დიდო დასტაქარო,
 დიდებული ქართველო.

16.01.04.

მზია ხეთაგური საკვირველია, საოცარია...

ექიმსა და შესანიშნავ ადამიანს გელა მუხაშავერიას

საკვირველია, საოცარია:
ქვეყნად რამდენი გარენარია,
მათი შაქარი მარად მწარეა,
ღვარძლის ფოთლები მარადმწვანეა.
მათ გამო ხშირად დილაც ღამეა,
სხვისი სიცოცხლე ერთი წამია,
მათ თავს პანანაც დიდი რამეა,
შენი სიმძიმე ერთი გრამია.

საკვირველია, საოცარია:
ქვეყნად რამდენი კარგი ქალია,
ქვეყნად რამდენი კარგი კაცია,
რომ არც აცხელა, რომ არც აცივა
და თბილი სიტყვა – როცა გტკიოდა,
და თბილი ლუკმა – როცა გშოოდა,
და თბილი ხელი –
როცა გდიოდა სისხლი და ცრემლი
– გამოგიწოდა.

საკვირველია, საოცარია:
რომ იმათ გვერდით სხვებიც არიან,
ვინც წმინდაა და ვინც დიადია,
ვინც მართლა ნაღვლობს ფერმკრთალ
წინამურს,
და ვინც მზადაა, რაც აბადია,
სამშობლოს მისცეს – იგი იწამოს,
და თუ დასჭირდა მთლად საქართველოს,
მართლა მოკვდეს და მართლა ეწამოს!

საკვირველია, საოცარია:
ქვეყნად რამდენი სალოცავია,
რამდენი წმინდა სულის საყდარი.
მაგრამ სინმინდე, თავად სად არის...
მღვდლის ანაფორა რა ძვირად გვიღირს,
თეთრი ხალათიც რამდენს აცვია...
მაინც გავუძლებ მე ყველა ტკივილს
იქ, სად შენსავით ნაღდი კაცია!

ოთარ რამიშვილი

ძმას

გაგრეგია თეთრი თმაში,
ალბათ, ბრძნული აზრითა,
მოგიძღვენი ერთი ლექსი
პოეზიის ბაზრიდან.

ჩვენი ძმობის ნაკვერჩხალი
აგიზგიზდა, ააღდა,
ნავალთ, ხალხი მოგვიგონებს –
დედაქალაქს დააკლდა.

ორი გემრიელი კაცი,
ნამუსით და გონებით,
დიდი მოქალაქენი და
არც არაფრის მქონენი.

მოგილოცავ დაბადებას,
შენ ვერ შეგცვლის ეგ წლები,
ისევ ჭეჭა-ქუხილი ხარ,
მოვარდნილი მენყერი.

გარეგნობით მომხიბვლელი,
ჩქარი, როგორც ქარია,
ძმა, პირველი დოსტაქარი –
გელა მუხამავრია.

1987 წელი

ვინ რა იცის

ვინ რა იცის ვის რა უჭირს, ან ვინ რითი არსებობს,
 ვინ ყაჩაღობს, ტყვია უჭრის, ვინ მიფრინავს მარსზედო,
 ვინ თბილისი მიატოვა და ნავიდა პარიზში,
 დავრჩით მარტო მშიერთ ხროვა, ვინც გადავრჩით ტამიშში.
 ჩვენი ხვალისდელი ბედი სულ ფეხებზე ჰკიდიათ,
 ზოგს გვეძახის მუხათგვერდი, ზოგნიც მორგში მიდიან.
 ზოგი ტირის ხვალ რა ჭამოს, ზოგს კლავს ციებ-ციხელება,
 დავემსგავსეთ ბევრი კამოს, ქაქსაც შევჭამთ ნელ-ნელა,
 იქნებ გელა შენ გვიშველო, ძმაო მუხაშავრია!
 გქონდეს მყუდრო სახლი, ჭერი, პროქტოლოგო რაინდო!
 ტკივილები ამოჭერი, არავინ არ დაინდო!

1997 წელი

მხოლოდ ერთი

მე კი მჯერა, ჩემო გელა,
 მჯერა, გეტრფის ყველა,
 არასოდეს გინერია
 ქვეყნად დაბერება.
 და არ მინდა ქვეყანაზე
 შენი გაბევრება,
 დამერწმუნეთ უნდა გვყავდეს
 მხოლოდ ერთი გელა.
 აგერ, ჩვენი ვაჟა გვიცქერს,
 ილია და გალა,
 შენზე ფიქრმა ჩემო ძმაო,
 მაგრა გადამალა.

1996 წელი

ხუტა ვეკუა

მერე გეტყვი დანარჩენს

სულ სიკეთე დაგებედოს,
ჯანი, რაც მთავარია,
შენს მარჯვენას გაუმარჯოს,
გელა მუხაშავრია!

ვინ დათვალოს, რამდენ ძლეულს
ხელი გამოუნოდე,
შენს ხელობას ჩვენთან ერთად
ღმერთიც ხედავს, იცოდე.

ზეკაცი ხარ, გაგიმარჯოს!
დიდი მადლი შენს გამჩენს;
ფეხზე როცა წამოვდგები,
მერე გეტყვი დანარჩენს!

1997 წელი, ნოემბერი

პაატა ედიშერაშვილი

რატომ უმართლებს

კონკრეტულ კითხვას დაგისვამს,
ზედმეტს ვერ იტყვი, შარია,
ძალიან დიდი კაცია,
ბატონი მუხაშავრია.

ვირტუოზია ნამდვილი
და კაცურ საქმეს აკეთებს,
ზადს ვერ უპოვი წრილობას,
მისგან ნაკვეთს და ნაკერებს.

თმაშევერცხლილი ჭაბუკი
უნევს სუყველას მამობას.
საქმეში იმით უმართლებს
რომ სცხია ღმერთის წყალობა.

2007 წელი

რომან გვენცაძე რატომ მოვედი შენთან

რა ვუყვით რომ ღარიბი ხარ,
არ გაქვს დიდი ქონება,
თავზე ჰყვები პაციენტებს
მთელი შენი ცხოვრება.

შენს საქმეში ვერვინ გჯობნის
და არა გყავს ბადალი,
შენისთანა დასტაქარი
ვინმემ მითხრას სად არის.

კაცობაშიც პირველი ხარ,
ტოლს არ უდებ არავის,
შენი გვარის ნაშიერმა
სულ იმრავლოს მარადის.

ერთიც მინდა გითხრა გელა,
მე არა ვარ პოეტი,
ძალზე მაგრად რომ მიყვარხარ,
შენთან მიტომ მოვედი.

ქეთევან ანჯაფარიძე თითი

ვის ვუმაძლო, რას ვუმაძლო,
ნინ წავიდე? – რითი?
ცხოვრებაში სამაძლობო
დამრჩა ერთი თითი.
დაიჯერეთ, მეგობრებო,
არ გეგონოთ მითი,
რომ აცხოვრებს იუბილარს
მტევნის ერთი თითი.

გივი სიხარულიძე

განა მარტო ბიჭობა,
განა მარტო კაცობა,
მზესთან დიდი ტანდემი
და მთვარესთან ანცობა,
აი, შენი ბიჭობა,
აი, შენი კაცობა.

ვაგლახ, ცხოვრების დიღო ხალისო,
კაცურ კაცობის სუპერ ხარისხო,
შენი შემყურე უცებ იფიქრებ
იქნებ ცხოვრება კიღევ გარისკო.

მანანა თიბილაშვილი იუბილარს

სამოცდაერთსაც უკვე ითვლის გული ფარულად,
როგორ გასულა წლები ასე, საღ გაპარულა,
დათოვლიღ თმებსაც გაუმართავთ ჩუმი მარულა,
წლების სიმრავლე ფეხაკრეფით შემოპარულა.

1998 წელი, 10 დეკემბერი

თამაზ სანებლიძე

გელას

ამ ქვეყანაზე სწორად დადიხარ
 ოფლად ნაწური, შრომით ნაწვალი,
 სწორი კაცი ხარ და სამკურნალოდ
 აგირჩევია სწორი ნაწლავი.
 დაგინვენია, გიმკურნალია,
 გაგინურია ბევრი სანყალი,
 – სწორდი და იარ! – ჩემო ძამია,
 ღმერთის ჩასხმული სუფთა სანვავით!

ბრძენო, ჭკუის კოლოფო,
 ვფიცავ, მართლა მომნიბლე,
 დიდო ფილოსოფოსო,
 ჩემო პარაპროქტიტევ!

რომ შევსცქერი მიკროედემს
 ასე თბილს და სანდომიანს,
 რას მიქვია პროქტოცენტრი,
 სილამაზის სალონია.

ტაკოში თუ რამ შარია,
 მიმართეთ მუხამავრიას.

გულმართალო თბილისელო,
ფაიზალო ავლაბრელო,
ბევრის შვებავ, გადამრჩენო,
კაცო, სათაყვანებელო.

გიყვარს შენი დედა ენა,
გიყვარს შენი საქართველო,
იცი ფასი სიყვარულის,
პურ-მარილის იცი გემო.

გულს ახარებ იუმორით,
ლიმილს გვჩუქნი სასიკეთოდ,
მსურს თბილისი, ეს ბადალში,
შენმა მსგავსმა გააბევროს.

ქალაქს ასე რომ უბნები,
მეგობრებში სანაქებოვ,
ისეირნე ძველ უბნებში
და ჩამუხვლა არ გაბედო.

თემურ პეტრიაშვილი

ჰიპოკრატეს რაც დაპირდი,
აუსრულე კარგად ძალზედ,
მაინც ლექსი მახსენდება
შენს ყოველთვის დანახვაზე.
გიყვარს ლექსი და ლექსივით
„იმ ორგანოს“ ალამაზებ!



ფისო ნავროზაშვილი ცეკვავს დასტაქარი

ცეკვავს დასტაქარი,
გადამსხვრა ქარი,
როკავს მუხა, შავრი,
ააჟღერეთ თარი!
ზარებს გამოჰკარით!
ბორგავს ვითარც მტკვარი,
ბრდღვინავს ვით აფთარი,
დამშვენდება ხმალი,
ულრჭიალებს ძვალი,
მიაგებეთ ცხენი,
მოუხდება ქალი,
მიაგებეთ შუბი,
მიაგებეთ ფარი,
დაუცლია უხვად
მადლის კიღობანი.
ხან – ბრძენი ამქარი,
ხან – ნიკალა მთვრალი,
ხან – გიჟუა შლეგი,
ხან – მკაცრი სარდალი.
დაფართქალებს არწივს
მართვეების ჯარი,
ჩამოასხით ჯამით,
ერთხმად გადაჰკარით!
როკავს მუხა, შავრი,
გადარეკეთ ჯავრი.
ფეხქვეშ გატყდა ქარი,
ზეცა გადახსენით,
ღრუბლის ფთილზე ცეკვავს,
ცეკვავს დასტაქარი.


მკათათვის 3. 2000წ.

ფოტოისტორია



* * *

1941 წელს ფრონტზე წასული მამისგან არცერთი წერილი არ მიუღიათ და არც ვინმე ამბის მომტანი ყოფილა. მხოლოდ 1945 წლის აპრილის ერთ დღეს დედამ პატარა გელას სკოლაში მიაკითხა და მიახარა, უწყება მოვიდა, მამა ცოცხალია და მალე დაბრუნდებაო. მერე იქვე, სამაიას ბაღის ფოტოატელიეში მივიდნენ და ამ სასიხარულო ამბის აღსანიშნავად სურათი გადაიღეს.



კარდიოქრონიკები

წერილი ძიმიტში

ჩემო საყვარელო ავთანდილ!

ჩემთვის უკვე გასაგები იყო შენი ჯანმრთელობის მდგომარეობა თბილისიდან რომ გამოგისტუმრე, მაგრამ მაინც ძნელია შეეგუო იმ სინამდვილეს, რომ შენ აღარ ხარ, მართლაც ნუთი ყოფილა ეს სასწაული ნუთისოფელი. ახლა როგორც კინოფირზე, კადრებივით ვხედავ ერთად გატარებულ დღეებს, მახსენდება შენი კაიკაცობა, შენი სიკეთე და სიყვარული. ჩემი ძიმიტში ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ შენ გნახავდი, დაგელაპარაკებოდი, სიტყვით მოვეფერებოდით ერთმანეთს, იუმორით ამავსებდი, აბა, მასპინძლობა შენი მოგონილი იყო.

ახლა ღამის ოთხის ნახევარია, 1998 წლის 11 იანვარი. ვნერ და ამით შენ გეთხოვები. ღირსეულო შეილიშვილო ალფესისა და კასინესი, გურული კაცის რა განსახიერება იყავი. შენ იყავი ჩვენს კუთხეში იმ დიდი ტრადიციების გამგრძელებელი, რომელსაც ჩვენი ბერძენები ბათლომე, ესაკი, ლაფრენტი, ალფესი, არონი, მელიტო, ლადიკო, გერონტი, ისაკი ემსახურებოდნენ. ძალიან მენანები, მაგრამ ცხოვრების წესიც ეგ ყოფილა. იმედი მაქვს, რომ საჩვენოში კიდევ გაჩნდებიან და გაიზრდებიან შენნაირი სიტყვის და ნამუსის მატარებელი კაცები. გული და თვალები ცრემლით მევსება, ჩემო ავთანდილა! შენ გეთქმის კაცურად ვიცხოვრე და კაცურად ვემსახურე ჩემს სოფელსო, შენ შენი სიცოცხლით სიცოცხლეს გვიადვილებდი და ახლა სიკვდილსაც გაგვიადვილებ. ზეციურ სასუფეველში კი ყველანი ერთად ვიქნებით.

მსუბუქი იყოს შენს გულზე ჩვენი სოფლის თბილი მიწა, ჩემო გულ-ლამაზო ადამიანო!

აკადემიკოს ოთარ მამამთავრიშვილის დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვა

ბატონო ოთარ! ძნელია ახლა უკანასკნელ მომართვაში გამოვხატო ის, რაც თქვენს ნაკვალევს თან დაჰყვებოდა მუდამ. ჩემო საყვარელო ბატონო ოთარ! მე თქვენგან ვისწავლე ქირურგიის ანბანი და არა მარტო მე, ჩემმა თაობამ და ჩემს შემდეგ წამოსულმა მედიკოსებმა. თქვენ იყავით იმედი ახალბედა და გამოცდილი ექიმებისაც. თქვენ უღალატოდ პასუხობდით თქვენი ნიჭიერებითა და დიდი გამოცდილებით გვერდში მყოფთ. მაღლობელი ვარ, რომ 14 წელი თქვენს გვერდით ვიყავი და ვესწრებოდი პროფესიული და კაცურკაცობის გაკვეთილებს. თქვენ საკუთარი ხელნერა გქონდათ, იყავით ნაღდი ქალაქელი, სისხლით ხორცამდე ქართველი, ინტელიგენტი, ერთგული მეგობარი, სასიამოვნო მოსაუბრე, თბილისის მემატყიანე, თავმდაბალი და კეთილგანწყობით გამორჩეული. თქვენით ვხარობდი, ვამაყობდი, უფროს მეგობრად და მასწავლებლად მიემდეგობოდი მუდამ. გემშვიდობები, ბატონო ოთარ, მაღლიერებითა და იმ საყვარულით სავსე, თქვენგან რომ ვისწავლე და მომავალში უთქვენოდ გასავლელი გზაც უნდა გამიადვილოს. ნახვამდის!

1996 წლის 22 თებერვალი

უკანასკნელი წერილი ჩემს პირველ მასტროს

დამირეკეს, ხუტა ბერაია გარდაიცვალაო, გავირინდე, უცებ გამოვშრი და ცრემლებით ამევსო გული. დამენანა, ძალიან დამენანა ქირურგიაში ჩემი პირველი მასწავლებლის ამ ქვეყნიდან წასვლა, თორემ დარწმუნებული ვარ, ოდესმე ჩვენი სულები ზეყანაში აუცილებლად მონახავენ ერთმანეთს.

ხუტა ბერაიამ ჩემს მომავალს ჯერ კიდევ მაშინ დაადგა გვირგვინი, როცა ახალბედა ექიმი ისე დამლოცა, როგორი გულიც ჰქონდა. მას შემდეგ მოვდივარ ამ დალოცვის მაღლითა და კურთხევით.

ჩემი სტუდენტობისდროინდელი ოცნება ქირურგობაზე ოცნებად რომ არ დარჩა, ხუტა ბერაიას დამსახურებაცაა. იგი პირველ მასტროდ მომეწვინა და გზა დამილოცა. დღეს კი მე უნდა დავლოცო და გავაცვილო ამ წუთისოფლიდან. დიდი მაღლობა, ქედს ვიხრი თქვენ წინაშე, ჩემო მასწავლებელო!

2001 წელი, მაისი

ჩემი საკუთარი დათო გოცაძე

დათო 1990-იან წლებში გავიცანი, მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული და ონკოლოგიის საკავშირო სამეცნიერო ცენტრში აკადემიკოს ნ. ბლოხინის სკოლაგაველილი, ჩამოყალიბებული და წარმატებული ექიმის კარიერით რომ დაბრუნდა საქართველოში.

მახსოვს ჩვენი კლინიკის საოპერაციოში დათოს გამორჩეული ტექნიკით ჩატარებული ოპერაციები – არცერთი ზედმეტი მოძრაობა... ჩვენს შორის ურთიერთობის პირველი ძაფი პროფესიული საქმიანობით გაიბა და მერე მამა-შვილურ, მეგობრულ, კაცურ, ადამიანურ ურთიერთობაში გადაიზარდა. მას არ ახასიათებდა, რაიმე მინიშებით ან ორიზად ეთქვა, პირდაპირი და სიმართლის მთქმელი იყო. ამიტომ ერთი პერიოდი, განაწყენების გამო, საქართველოდან წასვლასაც აპირებდა. ვერ გავიმეტე გასაშვებად, მიხედავდა, ჩვენს ქვეყანას მისი უდიდესი პროფესიონალიზმი მოეხმარა, თვითონ კი აქაური ჯანსაღი ურთიერთობები დაენახა. გადაწყვიტე თბილისის გულის ცხოვრებაში შემეყვანა და ამ განწყობით „დინამოს“ ჩოგბურთის კორტებზე მივიყვანე. მალე ეს ადგილი, როგორც ყველა ჩვენგანისათვის, დათოსათვისაც შეხვედრების საყვარელ ადგილად იქცა. იგი, ბევრ კარგ თვისებასთან ერთად, ღმერთს დიდი იუმორის გრძნობითაც ჰყავდა დაჯილდოებული, ამიტომ მისი ფრაზები და ცოცხალი იუმორი უცებ ვრცელდებოდა ქალაქში. მისი ინტელექტი, უშუალობა, თამადაობა ყველას გვახალისებდა და გვაგებდა. მახსოვს, ერთხელ აგული სობაძე კორტებზე წაიქცა და ფეხი იტყინა, ექვანი მოვიდა და დაზიანებულ ადგილს იოდით უმუშავებდა. დათომ უთხრა: იოდი აგულის კი არა მინას ნაუსევით, რომ არ მოინამლოსო. უცებ, იუმორში რაღაცას რომ „მოარტყამდა“, ხუმრობით იტყოდა: ახლა ჩანერეთ, მე რომ აღარ ვიქნები, გამოგადგებათო. ქუთაისში რომ მიდიოდა მშობლების მოსანახულებლად, ჩოგბურთის კლუბს ხალისი და მუხტი ისე აკლდებოდა, რომ ყველა დათოს კითხულობდა და მის დაბრუნებას ელოდა. დათოს ამქვეყნიდან წასვლას კი ასე უდროოდ ვინ იფიქრებდა?!

ქვეყანას მოუყვდა ღირსეული ქართველი, მედიცინას – უნიჭიერესი ქირურგი, ოჯახს – შვილი, მამა, ძმა... მე კი მომიკვდა უპირობოდ შეყვარებული კაცი, ჩემი დათო გოცაძე და მის არყოფნას, ჩემს დიდ მწუხარებას მხოლოდ ამითლა ვაპროტესტებ – დათოს გარეშე ჩოგბურთის კორტებზე აღარ დავდივარ...

2008 წელი

გამოხმაურება ნიგნზე „გიზო ნიშნიანიძე“

უარგონით რომ გითხრა, ჩემო გიზო, შენი „კრიშა“, ლობი და იმუნიტეტი შენი ნიჭი და საწერ-კალამია. ის არის შენი რანტიე, ანუ რიტაც სუნთქავ და სულდგმულობ.

ეს გამოხმაურება, გაბარიტებითაც და შინაარსითაც, შენი ფართომასშტაბიანი ნიგნის გამოსვლას მოჰყვა. ნიგნი გაყიდვაში არც გამოსულა, ისე გაქრა. არადა, ისეთი ნაშრომია, კაცს სამი ცალი უნდა ჰქონდეს: ერთი – სახლში, მეორე – გზაში, მესამე – კაბინეტში.

გიზო ნიშნიანიძე, მართლაც რომ, ნიგნად დაგვიდე მკითხველებს მაგიდაზე.

აღბათ, დრო გავა და შენი თქმისა არ იყოს, როცა ჩვენ ფიზიკურად აღარ ვიქნებით, ეჭვი არ მეპარება, ვერის უბანს უკვე შენი სახელობის უბნად მოიხსენიებენ, თუკი ეს უფლება სოლოლაკმა არ ნაართვა (სადაც ამჟამად ცხოვრობ) და მარტო ვერა და სოლოლაკი?! გიზო, შენ ყველა უბნის პირმშოდ რჩები.

ამ ნიგნით შენ, დიდი გალაკტიონისა არ იყოს, სიცოცხლეშივე გეთქმის – „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“.

შენი ნაწერით ცხოვრებას დაუმორჩილე შენი ემოციები და საკუთარ თავში არ მოკალი ინდივიდუალური მორალი. საესხებელი არაფერი გაქვს არავისგან, შენი ანმყოთი ცხოვრობ. შეცდომებს არასდროს შეჩვევიხარ, პირიქით, გისწავლია სხვის და შენს შეცდომებზე და ქართული ცხოვრების წესში თავისუფლად დააბოტებ.

ინამე უმაღლესი ჭეშმარიტება – ღმერთი და შენ მასსა და შენს შორის სხვა ცდუნებანი არ დაგიყენებია. შენთვის დასაბამიდან იყო სიტყვა. შენ, ჩემო გიზო, სიტყვათა წყობით „გიზო ნიშნიანიძეში“ თბილისის წარსულს, ანმყოსა და ნიჭიერებას გვაზიარე, ნიგნის თაროზე დაგვიდე დიდი, ფუნდამენტური ნაშრომი – ცხოვრების ხე, რომელიც უკვე ჩემს სამაგიდო ნიგნად კი არა, ჯიბის ნიგნად იქცა.

გმადლობთ!

02.01.2000

მთანმინდაზე, ილია ჭავჭავაძის 170 წლის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა

სიკვდილ-სიცოცხლის თემა ამოუწურავია, მაგრამ ზოგი სიკვდილი აშკარად მკვდრეთით აღდგომას ჰგავს. სასიკვდილო ტყვია ესროლეს, მაგრამ ილიას არ დაუტოვებია სიცოცხლე. გარდაცვალების შემდეგ ის დროსა და სივრცეში განუზომელი რჩება. დიდმა აკაკიმ მას მიმართა – „სიკვდილით სიცოცხლე გაიორკვე“-ო.

ილიას წმინდანად აღიარება ბუნებამ და უზენაესმა მოიტანა, რადგან ილია თავად ჭეშმარიტება და სიმართლე, მადლი და მოწყალება, სათნოება და სიყვარულია. ჩვეულებრივ მოკვდავთა სასიკეთო ქმედებებში აშკარად შეიგრძნობა მისი თანამონაწილეობა. ილიას ნიჭი და ხედვა მოიცავს პერიოდს კაცობრიობის დასაბამიდან ვიდრე დასასრულამდე, რაც მხოლოდ წმინდანებს ძალუძთ.

ჩემთვის, როგორც ექიმისთვის, ილია ფიცია, ადამიანებისთვის სიკეთის და საკუთარი საქმის თავგანწირვით კეთების ფიცი.

დიდება უფალს და დიდება წმინდა ილია მართალს.

08.06.07



ტაშისკარის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვების 400 წლის ზეიმზე წარმოთქმული სიტყვა

საქართველოს ოდითგან მტერი ანიოკებდა. ჩემი სამშობლოს მაღლიანი მიწა იზიდავდა უცხო ტომებს და ისინიც მადააღძრულები მოისწრაფვოდნენ მის დასაპყრობად, ქართველთა დასამორჩილებლად, მაგრამ მტერს ფარად ხვდებოდა ჩვენი ერის მაღალი ზნეობა, გამბედაობა, უტყუბი ხასიათი, თავგანწირვა, რაც ბედის ბორბალს წარმატებისაკენ წაღმა აბრუნებდა.

მღვდელი თევდორეს თავდადება დღესაც სულით ხორცამდე სძრავს ყველა ქვეყნარს ქართველს. მან სიცოცხლის ფასად მტერს გზა უქცია – ცხირეთის ციხესა და მეფე ლუარსაბს გაარიდა. იცოდა ყოველი ნაბიჯი სიკვდილს რომ აახლოებდა, მაგრამ ქართველებს ოსმალსთან ბრძოლაში გამარჯვების შანსს აძლევდა... ტაშისკართან ბრძოლა დასრულდა. გამარჯვებას ზეიმობდა დიდი მთავარსარდალი გიორგი სააკაძე, ზეიმობდა ქართლი. მტრისგან აკუნული მღვდელი თევდორეს სხეული კი იმ მიწას ეფინა, რომლის სიყვარულითაც ღვთისა და ერისშვილის თავგანწირვა დაიბადა. მღვდელმა თევდორემ სულის უკვდავყოფის სამარადუამო მაგალითი მოგვცა. ის ქართული ეკლესიის წმინდანია. მართლმადიდებლობა ასულდგმულებდა და ასულდგმულებს ჩვენს ქვეყანას საბედნიერო თუ საბედისწერო წუთებში.

გამარჯვებები, წარმატებები და აღმასვლა არასოდეს მოკლებოდეს ჩემს ქვეყანას!

2009 წელი, 10 ივნისი

სარაჯიშვილი ამას იმსახურებს

მიუხედავად ძნელბედობისა, დროთა კავშირი აღდგა. ძველი იდეოლოგიის მიერ განზრახ მივიწყებულ საზოგადო მოღვაწეთა სახელებს უბრუნდება პატივი და ეროვნული მონივნება. მათ შორის არის დავით სარაჯიშვილი – კაცი მეცენატი, მოაზროვნე, მეცნიერი, მენარმე. ჩვენი წარსულის სიდიადე ასეთი ადამიანების კეთილ საქმეთა ღვაწლითაა გამორჩეული. მათი თავდადებით, უანგარობით ბევრი რამ ერისთვის სასიკეთოდ განხორციელდა.

დავით სარაჯიშვილის მოღვაწეობა თანამედროვეთა პატივისცემითა და მოკრძალებით იყო გარემოცული. საქართველოს ერთგულ და გამორჩეულ შვილებს ის მიაჩნდათ მაგალითად ამქვეყნიურ ყოფაში მოქალაქეობრივი დანიშნულებისა. როცა ის აღესრულა, ვალმოხდელ მოღვაწეს ერმა, სიკეთის მსახურებაში დაღლილ ძვალთა განსასვენებლად დიდუბის ეკლესიის გალავანში მიუჩინა სასუფეველი. ჟამთა სიავემ დავით სარაჯიშვილის და მისი სწორუბოვარი მეუღლის, ქალბატონ ეკატერინე ფორაქიშვილის საფლავსაც დარია მსახვრალი ხელი. ჭირისუფლებმა 1939 წელს დავით სარაჯიშვილის გარდაცვალებიდან სამი ათეული წლის შემდეგ, იძულებით, ცოლ-ქმრის ნეშტი ვაკის სასაფლაოზე გადაასვენეს.

სულ ახლახან შეიქმნა დავით სარაჯიშვილის საზოგადოება, რომელმაც დიდი წინაპრის ტრადიციების გაგრძელება ითავა. თბილისის კონიაკის ქარხანას მისი სახელი დაერქვა და იქვე დაიდგა ძეგლი. ავჭალის გზატკეცილს დავით სარაჯიშვილის სახელი დაერქვა.

დავით სარაჯიშვილის გამზირი იწყება „თემის“ მეტროდან და ალბათ, უპრიანი იქნებოდა, ეს სადგური დავით სარაჯიშვილის სახელს ატარებდეს. მეტროს სადგური ქალაქის დინამიკური არტერიაა და ამდენად, ერის რჩეული შვილის ყოველდღიური ხსენება განუყოფელი ხდება ადამიანის მეხსიერებისთვის.

ახლა ერთი საკითხიც: როცა რუსთაველის პროსპექტზე, დედაქალაქის გულში, დავით სარაჯიშვილის იდეითა და ქველმოქმედებით აშენებული ქაშუეთის ეკლესიის პირველადი ჩანაფიქრით აღდგენა სრულდება, ქაშუეთის ეკლესიის განახლებული კარიბჭე, თითქოს თხოულობს ამგდარის ნეშტს, სრულყოფილი ოჯახის მის სავანეში განსვენებას. ეს აქტი მაღლიერების საწინდარი იქნება, რადგან არ იკარგება კვალი კეთილი, რომელიც მრავალთათვის გზის მაჩვენებელი და ახალ ქველმოქმედებათა საწინდარი იქნება.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
1993 წელი, 22 აპრილი

რაც დრომ შემოგვინახა

ა.ნ. 27 ნოემბრის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული იყო ტერენტი გრანელის საიუბილეო კომისიის გადანყვეტილება პოეტის ნეშტის პეტრე-პავლეს ქართული სასაფლაოდან დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადასვენების შესახებ. მოგახსენებთ ჩვენს გულისთქმას ამ საკითხთან დაკავშირებით.

ისნის ისტორიულ მიწას განგებამ დიდი ბედნიერება არგუნა, თბილისის უძველეს, პეტრე-პავლეს სახელობის ამჟამად მოქმედ სასაფლაოს 1934 წელს მიებარა პოეტ ტერენტი გრანელის ნეშტი.

ისანი დასახლებაა, საიდანაც ვახტანგ გორგასალმა დასაბამი მისცა სრულიად საქართველოს დედაქალაქის არსებობას, სადაც ყოველი ქვა ისტორიული მნიშვნელობისაა და რაოდენ დასანანიცაა, რომ ქართველთათვის აგრერიგად ძვირფას ისნის მიწაზე ჟამთა სიავემ არ შემოგვინახა დიდ წინაპართა საფლავები.

საბედნიეროდ, სიცოცხლეში ეული ტერენტი გრანელის საფლავი დრომ ხელუხლებლად შემოგვინახა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოდესღაც ქართულ, ამ უძველეს მრავალეროვან სასაფლაოს, ტერენტი გრანელის საუკუნო განსასვენებელი პირვანდელ სახეს უბრუნებს.

ისანს (ავლაბარს) პოეტის გადასვენებით რალაც მნიშვნელოვან ნაწილს ხომ არ მოვაკლებთ?

სამშობლო ერთია და განუყოფელი, მისი ყოველი გოჯი ერთნაირად ძვირფასი და სათაყვანებელია ყოველი ქართველისათვის. ტერენტი გრანელს, კოლხს, ბედმა ისნის მიწა არგუნა. განა ჩვენთვის დიდი ბედნიერება არ არის, რომ ჩვენი მიწის ყოველი გოჯი პირნათელი და სულნათელი წინაპრების ძვლებითაა განათებული? ტერენტი გრანელის გადასვენებით პანთეონში ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში დაკრძალულ მოღვაწეთა საფლავების დაკარგვისა და მოვლის პრობლემას ხომ არ ვიადვილებთ?

ტერენტი გრანელის პოეტურ ნიჭს, ჩვენმა დრომ მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ნიჭი და მისია არგუნა, დედაქალაქში მიმდინარე ძველი უბნების რესტავრაცია – რეგენერაციით, ტერენტი გრანელის პირვანდელი საფლავის შენარჩუნებით, თბილისის ძველ უბანს სიძლიერეს და დიდებას შევმატებთ.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“
1987 წელი, 11 დეკემბერი

ბატონ საშა ბეთანელის 80 წლის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა

მინდა მივესალმო ქართული ქირურგიის დიდ მაესტროს – ბატონ საშა ბეთანელს, უდიდესი თაყვანისცემა მინდა გამოვხატო მის მიმართ და მივულოცო 80 წლის იუბილე. ძალიან, მიხარია, რომ ბატონ საშას დღესაც ისეთივე დიდი იმედით და სიყვარულით ვუყურებ, როგორც 33 წლის წინ, როცა მქონდა ბედნიერება მივხმარებოდი მას ოპერაციაზე. ეს ხდებოდა ქარელში. ბატონმა საშამ პილოროსტენოზის გამო კუჭის რეზექცია გააკეთა ადგილობრივი ანესთეზიის პირობებში 55 წუთში. ეს იყო ჩემთვის, დამწყები ქირურგისთვის, დადებითი ემოციების ვალსი, რამაც მიმაჯაჭვა მის პიროვნებას, მის სახელს, როგორც შუქის მანათობელს, ლამპარს ქირურგიაში.

დიახ, მასწავლებელი ბევრი გვეყოლია და გვეყავს ახლაც, მაგრამ მასწავლებელი ის კი არ არის, ვინც გასწავლის, არამედ ის – ვისგანაც სწავლობ. ჩემთვის ეს ბატონი საშა ბეთანელია. მის პიროვნებაში შერწყმულია დიდი პრაქტიკოსი ქირურგი, დიდი მეცნიერი და დიდი მასწავლებელი, ასეთი უნიკუმები საქართველოში ნაკლებად გვეყავს, მიმოვიხედოთ... მწარე სიმართლე სჯობია ტკბილ ტყუილს... ამ ფრაზას არ განვაერთობ და ფრწილებს არ გავხსნი, რადგან დღეს ქართული ქირურგიის დღესასწაულია და კარგი განწყობა უნდა შევინარჩუნოთ. ბევრს დაუსვამს ჩემთვის შეკითხვა – რა არის ბედნიერებაო... მიპასუხია, მაგრამ ბოლომდე კმაყოფილი არ დავრჩენილვარ; ახლა კი შემოძლია ვთქვა ხმამაღლა – ბედნიერებაა, რასაც ბატონი საშა ბეთანელის განვლილი გზა ჰქვია, მისი დაბადებიდან დღემდე... ის არის პიროვნება, რომელიც ღირსეულად ატარებს იმ ტვირთს, რასაც ღმერთსა და პაციენტს შორის შუამავლობა ჰქვია; ცოცხალი ენციკლოპედია, ერუდიტი, თავმდაბალი, ქართული ქირურგიის გალაკტიონი... ეს ყველაფერი ბატონი საშა ბეთანელის პიროვნების ძალიან მოკრძალებული შეფასებაა. სიკეთე და სიყვარული არ მოგკლებოდეთ, ბატონო საშა, კვლავ გვეიმედებით თქვენი დიდი გამოცდილებით, პროფესიონალიზმითა და ერთგულებით.

2000 წელი, ივნისი

დიდო ბატონო ჭაბუა!

ღვთის ნებით, კვლავ მომეცა საშუალება მოგინახულო, მოგეფერო და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მოგილოცო, მოგილოცო ისევ ჯვრით.

ჩემო საყვარელო ადამიანო! მე გინამე როგორც დიდი ქართველი მამულიშვილი ღირსეულად განვლილი წლებით, რომელსაც განსაცდელი არ დაჰკლებია, მაგრამ იყო დიდი სიყვარული და აღიარებაც. თქვენი „დათა თუთაშხია“ ჩემთვის სანიგნეთისა და ადამიანური ურთიერთობების ბაირალია.

ჩვენ თითქმის ერთი თაობის თბილისელები ვართ და უამრავი რამ გვაქვს მოსაგონარი კარგი, თუმცა ამ გადასახედიდან წლებმა ბევრი ტკივილი და დარდიც მოგვიტანა... მიუხედავად ამისა, მინდა კიდევ ბევრი წელი მეგულებოდეს ჩემი და მთელი საქართველოს ჭაბუა ამირეჯიბი ამ წუთისოფელში.

2011 წელი, 24 აპრილი

„პროექტოლოგიის ანგელოზების“ ავტორს!

არიან ადამიანები, რომლებიც თავს გამახსოვრებენ და არასოდეს სვამ კითხვას რატომ? ეს ისე, ბუნებრივად ხდება და თუ საკუთარ თავს ჩაეკითხები, გააანალიზებ, მიხვდები, რომ ასეთი ადამიანები განსაკუთრებული აურის მატარებლები არიან თავიანთი მრავალმხრივობით, ნიჭიერებით, ზნესრულობით. ასეთად ვიცნობ კვანტალიანების დიდი ქართული გვარის წარმომადგენელს ჯემალ კვანტალიანს. მიყვარს და მახსოვს თავისი უშუალობით, გულისხმიერებით, თანაგრძნობით და გამორჩეული შემოქმედებით. მინდა ბედნიერება, ჯანმრთელობა, ქვეყნის გაძლიერება და სიკეთე ვუსურვო და ბოლოს, როგორც პროექტოლოგიურ თემაზე შექმნილი ორიგინალური ნაშრომის ავტორი, დავაჯილდოვო ოქროს ჯვრითა და ყელსაბამით!

2011 წელი, მაისი

თურქ კოლეგებთან შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვა

მაქვს პატივი, მოგესალმოდ და აღვნიშნო დღევანდელი დღის მნიშვნელობა სამედიცინო სფეროში ქართულ-თურქული ურთიერთობის განვითარების გაღრმავების საქმეში. ამგვარი ურთიერთობა განსაკუთრებული მნიშვნელობისა და დიდი ღირებულების მატარებელია, როცა კოლეგები მედიცინის მიღწევებს, დიაგნოსტიკური და მკურნალობის უახლეს მეთოდებს პირადი პრაქტიკით წარმოადგენენ და კვალიფიკაციის ამაღლებას და ექიმ-სპეციალისტთა გაცვლა-გადაცვლას გვთავაზობენ. ეს შეხვედრა პირადად ჩემს სამუშაო დარგზე – კოლორექტული ქიურგის მიმართულებაზე არ არის გათვლილი, მაგრამ ეს არის ორი ქვეყნის მედიკოსთა თანამშრომლობის ორმხრივი სურვილი, რომელსაც სიამოვნებით ვუერთდებით და ეს ურთიერთობა შევეცდებით მომავალში ჩვენი დარგის განვითარების კუთხითაც წარვმართოთ. სამეცნიერო სტატიების მომზადება, გამოცდილების გაზიარება ერთნაირად საინტერესო იქნება ორივე მხარისთვის. ახლახან ჩვენ საკუთარ ოპერაციულ მეთოდებზე ვრცელი სტატია გამოქვეყნდა ევრაზიის კოლორექტული ტექნოლოგიების სამეცნიერო ჟურნალში, რომელიც იტალიაში გამოიცა.

და ბოლოს, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მიიდა მივესალმო ჩვენი შეხვედრის ერთ-ერთ ძირითად სტუმარს, თვალსაჩინო ექიმს ისმეთ დინდარს (მიქელაძეს), ძირძველ ქართველს, საქართველოს მოსიყვარულეს და დამფასებელს. რამდენიმე წლის წინ მისი პაციენტი გახლდით და საკუთარ თავზე გამოვცადე მისი პროფესიონალიზმი, გულისხმიერება და კეთილშობილება.

ბატონო ისმეთ! თურქებთან ერთად ჩვენც ვამაყობთ თქვენით, გვიხარია თქვენი სტუმრობა თბილისში, სადაც ერთდროულად შეგიძლიათ მასპინძელიც კი იყოთ, ამის უფლებას თქვენი ფესვები და თქვენი საქართველოს სიყვარული ნამდვილად განიჭებთ.

2010 წელი. 04 მარტი

სამედიცინო დანესებულებების საიმედოობა პაციენტსა და ექიმის საერთო ამოცანაა

ექიმისა და პაციენტის დამოკიდებულებას „ჰიპოკრატეს ფიციდან“ გაეროს მიერ მიღებულ დეკლარაციამდე ხანგრძლივი ისტორია აქვს. აქ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ისტორიულ ეპოქებს და მათგან გამომდინარე კულტურულ ნიუანსებს. მთავარი სხვა, დროის მიმართ უფრო მდგრადი ეთიკური კატეგორიებია.

ბოლოდროინდელი სამწუხარო ინციდენტების ფონზე, რომელთაც მავან ექიმთა მიერ პროფესიული ეთიკის უგულვებელყოფა დაადასტურა, „ახალი 7 დღისთვის“ ძალზედ სასიამოვნო იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ გელა მუხაშავერიას სურვილი, გამოეხატა საკუთარი აზრი ექიმისა და პაციენტის ურთიერთობების შესახებ.

სამედიცინო დარგის გამართული მუშაობა ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის მუდმივ ინტერესთა სფეროში შედის. შესაბამისად, აქტუალურია ექიმმა თუ არაექიმმა გააცნობიეროს, რა პრობლემებს ვაწყდებით ამ მხრივ და როგორ უნდა მოვაგვაროთ ისინი ქართული მედიცინის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით. საჭიროდ მიმაჩნია აქცენტების გაკეთება შემდეგზე:

პაციენტსა და მის ნათესავებთან კონსტრუქციულ საუბარზე სამედიცინო პერსონალმა დრო არ უნდა დაზოგოს. მკურნალობის არასასურველი შედეგი ყოველთვის დიდ ფსიქიკურ დარტყმად დარჩება ახლობლებისთვის, მაგრამ სამედიცინო რისკებთან დაკავშირებით მათი წინასწარ გაფრთხილება და აუცილებელი ინფორმაციის დინამიკურ რეჟიმში მიწოდება გაფანტავს ეჭვებს კვალიფიციური სამედიცინო დახმარების დაგვიანებით აღმოჩენის შესახებ. როცა მკურნალობის ყველა ეტაპზე ექიმთა მოქმედებაში გამჭვირვალობაა დაცული, ახლობელთა მხრიდან სიტუაცია ძირითადად ობიექტურად ფასდება და ნათელი ხდება, რომ მკურნალობის მიმე შედეგი არანაკლები ტრაგედიაა ექიმისთვის.

გეგმიურ სიტუაციებში საკმარისი დრო არსებობს მოსალოდნელ გართულებებზე საუბრისთვის. სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემთხვევებშიც, მაგ.: სასწრაფო გადაუდებელი ქირურგიული ჩარევისას, ოპერატორთან შეთანხმებით, საჭიროა გარეთ მომლოდინე ახლობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება, რაც თავის მხრივ უნდა გააკეთოს კვალიფიციურმა პირმა.

სავალალო სიტუაციას ქმნის შემდეგი გარემოებები: ა) ექიმი

ვერ საზღვრავს რა გართულებებია მოსალოდნელი და, შესაბამისად, ვერ იძლევა გაფრთხილებას მათ შესახებ; ბ) ექიმი შეგნებულად არ საუბრობს გართულებებზე, რათა არ „დააფრთხოს“ პაციენტი და დაითანხმოს ის მკურნალობაზე; გ) ზოგიერთი გართულების განვითარების მცირე ალბათობის მოტივით ექიმი არ ამახვილებს მასზე ყურადღებას. მოვლენათა არასასურველი განვითარების შემთხვევაში მოულოდნელობის ეფექტის გამო პაციენტის ახლობლები აგრესიულები ხდებიან, რაც ბუნებრივი ადამიანური რეაქციაა; დ) ექიმი არ იჩენს სათანადო ყურადღებას პაციენტის მიმართ და უკვე განვითარებულ გართულებასთან შებრძოლება უჭირს.

დასახელებულ შემთხვევებს არცთუ იშვიათად ვხვდებით საქართველოში და ეს სამედიცინო სფეროს დისკრედიტაციას იწვევს.

ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობა ძირითადად ნაცნობ-მეგობრებთან არკვევს, ვინ არის „კარგი ექიმი“. ჩვენი ღრმა რწმენით, პაციენტს და მის ახლობლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ კონკრეტული სამედიცინო დანესებულების რეიტინგს და ამგვარად გადანიჭონ საკუთარი მკურნალობის საკითხი. ინფორმაცია, მაგ.: მინიმუმ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული წარმატებული თუ წარუმატებელი მკურნალობის შემთხვევების შესახებ შეიძლება განთავსდეს როგორც ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების სპეციალურ ვებგვერდზე, ისე თავად კლინიკაში – თვალსაჩინო ადგილზე.

პრობლემას ქმნის ის გარემოებაც, რომ ბევრ ექიმს არ აქვს სათანადო პროფესიული დონე, განიოს მისთვის და მისი კლინიკისთვის ნებადართული მოცულობის სამედიცინო დახმარება.

სამედიცინო დანესებულებების საიმედოობის შესანარჩუნებლად ან ასამაღლებლად: ა) კლინიკას უნდა ხელმძღვანელობდეს მაღალი პროფესიული დონის ექიმი, რომელსაც ავტორიტეტი აქვს როგორც თანამშრომლებს, ისე პაციენტებს შორის; ბ) თუ კლინიკაში მუშაობს არასათანადო კვალიფიკაციის ექიმი, კლინიკის ხელმძღვანელმა ის უნდა გაათავისუფლოს ან ობიექტურად განუსაზღვროს, რეალურად რა სირთულის სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა აქვს; გ) რთულ სიტუაციებში კლინიკის ხელმძღვანელი თითოეული თანამშრომლისთვის რეალურ დასაყრდენს უნდა წარმოადგენდეს; დ) სამედიცინო პერსონალმა უნდა იცოდეს, როდის რა საკითხი უნდა შეუთანხმოს კლინიკის ხელმძღვანელს, რათა არ დაირღვეს როგორც მათი, ისე პაციენტის და მისი ახლობლების ინტერესები; ე) კლინიკის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს გამჭვირვალობა, როგორც საკუთარ, ისე თანამშრომელთა მოქმედებაში; ე) დანესებულების თითოეული თანამშრომელი უნდა ზრუნავდეს არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ ზოგადად კლინი-

კის საუკეთესო კუთხით წარმოჩენაზე; ზ) სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაში სირთულეების სრულ აღმოფხვრამდე კლინიკის ხელმძღვანელმა უნდა შექმნას შესაბამისი პირობები მოსახლეობის გაჭირვებული ფენის თუნდაც გეგმიური მკურნალობისთვის; თ) კლინიკის ხელმძღვანელი მუდმივად უნდა ატარებდეს საკუთარი დანებსებულების სამედიცინო საქმიანობის ერთგვარ აუდიტს, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება კლინიკის „შიდა პოლიტიკის“ სწორი წარმართვა.

სამედიცინო საქმიანობის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განაპირობებს გამართული პათოლოგანატომიური სამსახური. თუმცა, ბოლო ათეული წლებია საქართველოში პრაქტიკულად აღარ იკვეთება გარდაცვლილი პაციენტები. აღარ ტარდება პათოლოგანატომიური კონფერენციები. მოსახლეობას აუცილებლად უნდა განემარტოს, რომ პათოლოგანატომიური გაკვეთების ჩატარების გარეშე სამედიცინო დარგის განვითარება მკვეთრად ფერხდება და რომ სიკვდილის ზუსტი მიზეზის გარკვევა როგორც ექიმის, ისე მათი საერთო ამოცანაა.

გაზეთი „ახალი 7 დღე“,
2006 წლის თებერვალი-მარტი

კოტე ყუბანეიშვილს, მისებურ მოტივზე!

მე თავიდანვე გიტანდი,
გახდი მსოფლიო გიგანტი!

მართალი – როგორც ფშაველა,
სულ ცოტა ფულის მშავნელა.

მე ვერ მოვეწყე მაგაზე,
„ზატო“, ვარ ლექსის მადაზე.

შენს ლექსს არასდროს, კოტეჯან,
არ დასჭირდება გაკრეჭა.

გაზაფხული ხარ ლექსისა,
მე თუ ცოტა რამ მესმისა.

პოეზიის ხარ თამადა,
გეაროს მუდამ აღმადა.

საქართველოს ეროვნული კრების მონვევის ინიციატორებს!

ქალბატონებო და ბატონებო!

2006 წლის 11 ივლისს, 14 საათზე, მივიღე თქვენს მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელიც ასეა დასათაურებული: „ქართველ მოღვაწეთა, საქართველოს ეროვნული კრების მონვევის ინიციატორთა დეკლარაცია“.

დიდი პატივისცემით გპასუხობთ:

სამწუხაროდ, მე, ჩემი სპეციალობა – ექიმობა, შინაგანად მიკრძალავს სხვადასხვა სახის სამოქალაქო პროტესტში მონაწილეობას; ღრმად მწამს, რომ ექიმის მხრიდან საჯარო პოლიტიკური გამოსვლები არ არის გამართლებული, რადგან მისი და პაციენტის შეხედულებები შესაძლოა, სრულიადაც არ დაემთხვეს ერთმანეთს; რაც, თავის მხრივ, პაციენტის ფსიქოლოგიას გარკვეულწილად ცვლის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არცერთ პარტიაში არ შევესუღვარ, არც მთავრობას „ჩავჯდომივარ ნავში“ და არც ოპოზიციას. არ არსებობს ტელევიზიით ან მასმედიის საშუალებებით გაკეთებული ჩემი თუნდაც ერთი პოლიტიკური განცხადება. ამჟამადაც ვერ ვღალატობ საკუთარ მწინამსს, ანუ – „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.

ექიმებს დაკისრებული გვაქვს ერთი და მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია – ვიყოთ შუამავალი ღმერთსა და პაციენტს შორის. შესაბამისად, ვსაქმიანობ მხოლოდ ერთ „მოედანზე“, რომელსაც საავადმყოფო ჰქვია. სამოქალაქო ღირსების მოპოვების და შენარჩუნების ერთ-ერთი ყველაზე რთული პოლიგონი სწორედ ჩვენი სივრცე გახლავთ და ის არ იძლევა თუნდაც უმცირესი დროით სხვა პოზიციებზე გადართვის უფლებასა და საშუალებას. თუმცა, არასდროს ვიტყვი უარს ჯანდაცვის სფეროს გარდაქმნის პროცესებში მონაწილეობაზე, რაშიც, ისევე და ისევე, საკუთარ მოედანზე მიღებული გამოცდილება დამეხმარება.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით თქვენთან ვერ ვიქნები. დიდ ბოდიშს მოვიხდით ჩემთვის კარგად ნაცნობი ბატონებისა და ქალბატონების წინაშე. ასევე, დიდ ბოდიშს მოგიხდით ყველა დანარჩენს, ვინც დეკლარაციას აწერს ხელს. არ ვეთანხმები თქვენს ერთადერთ განცხადებას – „ჩვენთან მხოლოდ ის არ მოვა, ვისაც ამ პრინციპის ეშინია“; ვფიქრობ, გელა მუხამაზერის მიმართ სიტყვა „შიში“ შეუსაბამოა. პოლიტიკურ ასპარეზზე ჩემი გამოუსვლელობის მიზეზი ერთადერთი იყო და იქნება – საკუთარი პროფესიით სრულად ვარ ოკუპირებული.

ღრმა პატივისცემით, ცენტრის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გელა მუხამაზერია

11.07.2006, 16 საათი

ნანა ცინცაძეს – ახალი ამღერების იმედით

თბილისი ადამიანის გულივით თბილი და მგრძობიარეა, უცებ გამოარჩევს და აიტაცებს ყველა სტროფსა თუ მელოდიას, რომელიც მას მიუძღვნეს, მისი სიყვარულით შექმნეს და მერე ქუჩიდან ქუჩაში, სახლიდან სახლში, ფანჯრიდან ფანჯარაში ისმის ჰანგები... მღერიან და ხშირად ვერავინ გეტყვით, თუ ვინ შექმნა ლამაზი მელოდია ან ვინ დაწერა ლექსი ამ სიმღერისთვის. ემღერებათ და მორჩა!

ნანა ცინცაძე იმ ადამიანთა წრეს ეკუთვნის, ვისაც ღმერთმა ლექსის წერის უფლება მისცა. პროფესიით ექიმი ქალბატონის ამღერებულ ლექსების მუსიკალობაც, ჩემი აზრით, მისი ძირითადი პროფესიის – ექიმობის გავლენითაც უნდა იყოს ნაკარნახევი, რადგან იგი შუამავალია ღმერთსა და პაციენტს შორის.

ახლახან გამოვიდა ქალაქური სიმღერების კრებული „სევედიანი მუხამბაზი“ და გულწრფელად ვიტყვი, არ მეგონა, თუკი ამდენი ცნობილი სიმღერის ტექსტების ავტორი ნანა ცინცაძე იყო. თითოეულ სტროფს თბილისის გამორჩეული ხიბლი დაჰყვება – „თბილისი ქვეყნად არავის ჰგავსო“ – ასე მღერიან ერთგან ნანას ლექსს და გრძნობ, ქალბატონი თავისი სინაზით და კდემამოსილებით თბილისის სიყვარულში ბევრს გასჯობრებია...

ბოლოს კი ნანამ ერთი დიდი სევდის გასაქარვებლად არაჩვეულებრივი ტექსტი დაწერა ახალგაზრდა ოლიმპიელის, ნოდარ ქუმარიტაშვილის გარდაცვალების გამო. ამ სიტყვებს უცრემლოდ ვერ მოისმენს კაცი.

ნანას შეუძლია ზუსტად ისე გადმოსცეს განცდები, რომ შენ არაფერი დაგიტოვოს სათქმელი და ხვდები, შენს წინ მშვენიერი ლექსი დაბადებულა. ნანას ახლა ჩემი თაობის ერთი გამორჩეული კაცის, ჯანო გიორგაძის სტრიქონებით მინდა მივმართო: „მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია თვალში ცრემლი ამოაშრო, რა ვქნა, სულ სხვაგვარად გალობ, საქართველოს შავო შაშვო...“ დანარჩენს კი მჯერა, მისი ამღერებული ლექსებიც მშვენივრად ამბობენ. მინდა ერთი ვუსურვო, ღვთის ნებით, სულ მალე ნანა ცინცაძეს მთელი თბილისისა და საქართველოს ამღერების ჰიმნი შექმნას!

ფოტოისტორია



* * *

1955 წელი. თბილისში ბიჭები და გოგონები ცალ-ცალკე სკოლაში სწავლობდნენ. ამ დროს ვაჟთა 87-ე და ქალთა 111-ე სკოლის მეთერთმეტეკლასელებმა გადაწყვიტეს ახალ წელს ერთად შეხვედროდნენ და დოდო ჯორჯაძის ოჯახში შეიკრიბნენ. აკორდეონით, სიმლერიითა და დიდი მხიარულებით გაითენეს. დილით კი ავლაბარში, თეატრის წინ, სკვერში გამოვიდნენ და 1955 წლის პირველი დღის სამახსოვროდ ეს სურათი გადაიღეს.



მხატვარი ჯემალ კვანტალიანი

მხიარული და უხერხული აბები

იხსენებს გივი მარგველაშვილი:

ნუგეში

გელა ქარელში მუშაობდა. ერთ დღეს შვილებმა ხანშიშესული მამა მიუყვანეს გასასინჯად. გელამ გასინჯა შაქრო პაპა, წამლები გამოუნერა, მოუფერა, აკოცა და დაამშვიდა, კარგად იქნებო. გაგიჟდა მონუცი, ასეთი კარგი ექიმი, კაცი დაებერდი და ჯერ არ შემხვედრიაო. გელამ ასაკი ჰკითხა. 83 წლისა ვარ, მაგრამ სიცოცხლე კიდევ მინდაო. – კიდევ დიდხანს იცოცხლებ პაპა, ისე ვატყობ, მიქელ-გაბრიელს უკვე გაექეციო – ეხუმრა გელა.

გელას პოეზია უყვარს და როგორც ვიცი, ლექსებს თვითონაც წერს. ჰოდა, როცა შაქრო პაპა მეორედაც მოიყვანეს, გელამ სანუგეშებლად პატარა ლექსი დაახვედრა:

„ისე გაექეც მიქელ-გაბრიელს,
რომ ვერასოდეს ვერ დაგიჭერენ,
უკვე წელიწად ნახევარია,
საიქიოში არებს გინერენ“.

რატომ არ მკურნალობს გელა მხატვრებს

გელას უახლოესმა მეგობარმა, ცნობილმა ოფთალმოლოგმა, ივა ბერაძემ ერთ მხატვარს თვალისჩინი შეუნარჩუნა. მხატვარმა თვალის გუგაში ივას პორტრეტი ჩაბატა და მადლიერებისა და პატივისცემის ნიშნად ექიმს მიართვა. გელამ რომ ეს ამბავი გაიგო, პროქტოლოგიურ განყოფილებაში დიდი აბრა გააკრა წარწერით:

„მხატვრებს არ ვმკურნალობთ!!!“

ერთადერთი

საოპერაციოს მედდა ლალი თხელიძე იხსენებს: ოპერაციის შემდეგ პაციენტმა თვალი გაახილა, გელა ექიმს აინტერესებდა, თუ რამდენად იყო ნარკოზიდან გამოსული და ჰკითხა:

– აბა, კარგად შემხედე, რამდენი ვარო. პაციენტმა შეხედა და უპასუხა:

– გელა ექიმი ერთადერთია!

პიანინო

სამოცდაათიანი წლები იყო. ბახტრიონზე მეგობრის ახლად აშენებულ ბინაში პროფესორ ამირან მორჩილაძის იუბილეს აღნიშნავდნენ. ექიმების გარდა ბევრ ცნობილ ადამიანთა შორის იყო პოეტი ბელა ახმადულინაძე. ლხინის კარგი პირი უჩანდა. – მივიხედ-მოვიხედე და არანაირი მუსიკალური ინსტრუმენტი არ გვქონდა ეშხში შესულ მოქეიფებს ლხინის „გასაფორმებლად“, – იგონებს გელა მუხაშავრია. – ჩუმიად ავდექი და სართულებს ჩამოვყევი. მესამე სართულზე კარი ქალბატონმა გამიღო, მივესალმე, ვუთხარი ვინც ვიყავი და გიტარა ვთხოვე.

– არა, გიტარა არა გვაქვს, – გულწრფელი სინანულით მითხრა ქალბატონმა.

– არც პიანინო გაქვთ? – თავს არ ვანებებ.

– კი, პიანინო გვაქვს...

– ქალბატონო, ჩვენ ზევით, მეხუთე სართულზე ვქეიფობთ, ცინუკი დადინია სუფრასთან და ინსტრუმენტი არა გვაქვს რომ ვიმღეროთ, გვათხოვებთ თქვენს პიანინოს? – ქალი ჯერ დაიბნა...

– როგორ გათხოვოთ? – მკითხა გაკვირვებულმა.

– ერთი წუთით, კარს ნუ დაკეტავთ და თხოვება სულ ადვილია, – ვუთხარი. ბიჭებს დაუუძახე და 5 წუთში პიანინო სტუმრებით სავსე ოთახში შევაგორე...

ოტელო

ერთი მეგობარი მყავს, ცაბუ კილაძე, ხშირად ვსტუმრობდით. ერთხელაც სოფლიდან ოთხმოცდაათს მიტანებული მამა, ევგენი ესტუმრა ნობათით დატვირთული. ცაბუმ სუფრა გააწყო და ახლობლები მიგვიპატიჟა. მოვილხინეთ. შუა ქეიფში ჩემი მრავალჯერ აპრობირებული ნომერი ოტელოს ცეკვა გამახსენდა და მოვინდომე სიურპრიზად ამ შეკრებაზეც შემესრულებინა, – იხსენებს გელა მუხაშავრია. – გვერდით საძინებელ ოთახში შევიპარე, ტანზე გავიხადე და ტრუსიკისამარამ შემოსახვევის ძებნა დავინწყე, სიბნელეში დავინახე სანოლზე თეთრი ზენარი, ხელის ნავლება და ყვირილის გაგონება ერთი იყო – ცაბუ-აააააააააა, მიშველე მამაა!!!!!!! ოთახში შემოცვივდნენ, შუქი აანთეს და რას ხედავენ, ვდგავარ ტრუსიკისამარა შუა ოთახში და სანოლიდან თავზესაბანაფარებული დაზაფრული ევგენი იძახის – მომამორეთ, მომამორეთ აი გადარეული კაცითიიიი! ა, ასე ჩამივარდა იმ დღეს ოტელოს ნომერი, მაგრამ გადარეული მე კი არა, მგონი, თვითონ დარჩა ბატონი ევგენი, რომელიც კარგა ხანს ოტელისტოს მეძახდა.

სტროფანტინი

სამუშაო დღე მთავრდებოდა, ის იყო, გელა სახლში უნდა წა-სულიყო, რომ ახლობელი მივარდა და სთხოვა, მიშველე, გელა ექიმო, ჩემი ნათესავია ცუდად, აქვე ცხოვრობს და იქნებ გამყვეო. გელამ სამედიცინო ჩანთას ხელი დაავლო და უკვე 5 წუთში პაციენტთან იყო. ახალგაზრდა ქალი ხალიჩაგადაფარებულ ტაბტზე იწვა თავგადაგდებულად. სახეზე სულ აღმური გადასდიოდა, წნევა გაუსინჯა და ნორმაში ჰქონდა, მავა – აჩქარებული, ჩანდა, ქალი რალაცას ნერვიულობდა, რა მოგივიდა? – უკითხავს გელას, ცუდად ვარ, ექიმო, ცუდად, და თვალთ რალაცა ანიშნა. ექიმი მიხვდა, ქალი რალაცას ვერ ამბობდა, მიუბრუნდა იქვე მდგომ შეწუხებულ ქმარს და უთხრა, სასწრაფოდ აფთიაქში გაიქეცი და სტროფანტინი მომიტანე, სტრო-ფან-ტი-ნი! ქმარი გაიქცა თუ არა აფთიაქში, ტაბტისქვეშ რალაც გაფხაკუნდა და იქიდან სახეშეშლილი კოსტუმიანი კაცი გამოძვრა, ლამის მუხლებზე შეახტა ექიმს და სახლიდან უკანმოუხედავად გაიქცა...

მერე თურმე გელა კარგახანს შაყირობდა, ცოლი ავად თუ გაგინდათ, ექიმს წამალზე არ გაეგზავნოთო.

სხვისი ქმარი

ერთ დღეს კლინიკაში რაიონიდან პაციენტი ჩამოვიდა. შევედივარ საკონსულტაციო ოთახში და ვხედავ, სავარძელზე მოუნესრიგებელი, მოკლედ პროქტოლოგიური გასინჯვისთვის მოუმზადებელი ქალბატონი წევს. მართალი გითხრათ, ძალიან გაებრაზდი, რა არის ქალბატონო, მე კარდიოლოგი ხომ არ ვარ, თავი რატომ არ მოინესრიგე-მეთქი...

- ექიმო, ჩემი ქმარი... – დააპირა რალაც ეთქვა.
- სადაა შენი ქმარი? – ვეკითხები გაბრაზებული.
- გარეთ მელოდება.

იქვე საოპერაციოს ექთანს ემა ვერულაშვილი იყო და ვუთხარი:

- გააღე ერთი კარი და ამის ქმარს დაუძახე... ოთახში „ტელ-ეგრეიკიანი“ კაცი შემოვიდა და დაბნეული კედელთან აიტუზა.

- მოდი აქ, ახლოს მოდი, – კაცი მოვიდა და უკვე თითქმის ჩხუბით ვეუბნები:

- შეხედე, რა არის ეს, რა არის?
- ვთქვაააა ექიმო, ვთქვააააააა?

ამ დროს ქალმა თავი წამოწია და ამოილულულა:

- ექიმო, მაგი არაა ჩემი ქმარიიიი.



მისალმება

გელას კაბინეტის კარი ძვირფას ქურქში გამონყობილმა ლამაზმა ქალბატონმა შეუღლო

- გამარჯობა, გელა ექიმო!
- გამარჯობა, მობრძანდით.
- თქვენთან ვარ დაბარებული, ვერ მიცანით?
- ვერა!

- ლალი ვარ (შეეცადა ქალი, თავი გაეხსენებინა) თქვენ ოპერაცია გამიკეთეთ რ თვის წინ და ახლა კონტროლზე მოვედი, არ გახსოვართ?

- არა, მაგრამ რა პრობლემაა, ხომ დაგიბარეთ და გაგსინჯავთ.

მალე პაციენტი სავარძელზე მოთავსდა, გელამ დახედა თუ არა „იმ არემარეს“, გახარებულმა შეუძახა, ოოოოო, ლალი, შენ ხარ? კაი გამარჯობა შენი, მშვენივრად გამოიყურები!!!

რა უფრო უნდა გნეყინოს

გელას პირველად შევხვდი სუფრაზე, - იხსენებს გიორგი ლუღუ-შაური. ერთმანეთი გავიცანით და საუბარიც მალე ავანწყვეთ. გელა ჯერ „თქვენობით“ მომმართავდა, მერე, ერთმანეთს რამდენჯერმე რომ მივუჭახუნეთ, „შენობაზე“ გადავიდა, უცებ შემხედა და მითხრა:

- შენობით რომ მოგმართავთ, ხომ არ გნეყინს, შე ჩემა?

ლოგიკური პასუხი

გელამ ერთ მის თანასოფელელს ოპერაცია გაუკეთა. ავადმყოფი მეორე დღეს წამოდგა. გელა ექიმმა გრძელი კორიდორის ბოლოში თვალი მოკრა პაციენტს და ვინაიდან ოპერაცია ნარმატებულია, როცა კუჭის მოქმედება აღდგება, შორიდან გასძახა:

- რა ქენი გურულო, მოისაქმე?
- არა, გელა ექიმო, ჯერ ვერ გეცი მაგდენი პატივი, - დაუბრუნა ლოგიკური პასუხი ახლად ნაოპერაციევმა.



ბრაზიანი

გელამ კახეთიდან ჩამოსული პაციენტი გასინჯა და მეორე დღისთვის გამოკვლევაზე დაიბარა, თან ჩანაწერი გაატანა – 5 საათის შემდეგ არაფერი შეტამო, აფთიაქში იყიდი აბუსალათინის ზეთს, დალევ და დილით ორჯერ გაინმინდ კუჭს. ცოტა ხანში პაციენტი ისევ შემოვიდა და იკითხა:

- ექიმო, ვერ გავიგე, კუჭი როგორ გავინმინდო?
- რა გავება მაგას უნდა, ოყნით გაინმინდე, შე კაი კაცო.
- ჰო, კარგი, – ნავიდა პაციენტი და მალევე ისევ კაბინეტში დაბ-

რუნდა

- გელა ექიმო, აი, მთლა კარგა კიდე ვერ გავიგე, რა უნდა ვქნაოოო?
- აი, მომისმინე, კლიზმა იციიი?
- ჰოოო, ვიცი.
- ჰოდა, ადექი და ხვალ დილით ორჯერ გაიკეთე ტრაააკში, გაი-

გეე?

- აა...

გარეთ გამოსული პაციენტი ცოლს მიუბრუნდა და უსაყვედურა:

- ნამო, ნამო, იმდენი კითხვები დამასმეინე, რომ მგონი ექიმი ძალიან გავაბრაზეთო.

სრული პასუხი

- ერთხელ სუფრასთან სახეგადაბინტული ქალბატონი მოგვიჯდა, - იხსენებს გია მათეშვილი – ჩანდა, ცხვირის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული. გელას სიახლოვეს აღმოჩნდა და რომ გაიგო ექიმი იყო, გამოლაპარაკება სცადა:

- ექიმი ბრძანდებით?
- დიახ, ქალბატონო.
- სად მუშაობთ?
- რესპუბლიკურ საავადმყოფოში.
- რა სპეციალობით?
- ქირურგი გახლავართ.

- რისი? – აგრძელებს დაკითხვას ქალბატონი. გელამ უკვე ერთი ტონით ხმას დაუნია, ქალბატონისკენ გადაიხარა და დაინტერესებულს სრული პასუხი გასცა:

- ქალბატონო, ნოპე ვარ ტრაკიდან.



მე იმ დღეებს ვერ ვივინყებ...



ოჯახი



დედასთან



მამიდაშვილ
მამუკა გობრონიძესთან



ლამარა და ნათელა ხუხიებთან



ქეთო და ქსენია მამიდეებთან



თანატოლებთან



სტუდენტობა







სტუდენტური
კულტორია





აკაკი მუხაშავერია ძიმიტში თანასოფლელებთან



მთანმინდის პარკში





ზამთრის კვირაღღე





1982 წელი. ლიკანი. კოკი მეგრელიშვილი, გელა მუხაშავერია, ავთო კეთილაძე, გურამ გალოგრე, მამია მეგრელიშვილი



თბილისური დასტა



ამირან ანთაძე, გელა მუხაშვერია, გივი თალაკვაძე, ნელი სხირტლაძე, მურმან შელია, ნინო შელია



დათო გოცაძის 50 წლის იუბილეზე



იური ელიაშვილთან



ვაკო, ნინო, აკაკი ახალაძეები, გია და გელა მუხაშველიები



ომარ კობალაძესთან,
თამაზ გაბუნიასთან და
ზაურ ფანჩულაძესთან



ლიხაური. მამიდაშვილებთან – მამუკა და ვალიკო გობრონიძეებთან



2011 წელი, 24 აპრილი. აღდგომა. ჭაბუა ამირეჯიბთან



2009 წელი. რუსთაველის თეატრი. მუხრან მაჭავარიანის იუბილეზე. გია და გელა მუხაშავერიები, გედი გელბახიანი, ნუციკო ტატიშვილი



გურამ სალარაძე, დიდი და პატარა გელა



ნათლულ ნინო ქოიავასთან



ეთერ და ლიზა ბაგრატიონებთან



თენგიზ ახმეტელთან



ეთერ კაკულიასთან



ვაჟა აზარაშვილთან

ფოტოისტორია



* * *

ლანჩხუთში, სოფელ შუხუთში მამიდის ოჯახი გელას განსაკუთრებულად ყვარებია, მაგრამ მერე, ბიჭობაში გული იქით იმიტომაც მიუწევდა, რომ ბიქტორ ბიძია (ფირცხალაიშვილი) ეგულეობდა, ვაჟაკობით და ძლიერებით გამორჩეული. ცხენები, თოფ-იარაღი უყვარდა და გელაც ამით იყო მოხიბლული. „სულ მასთან ყოფნა მინდოდა, ჭალაში უბელო ცხენებზე მსვამდა და გულ-მუცელი გამონაყული მქონდა“, – იხსენებს გელა. ამიტომ პირველი ექიმობის ხელფასი რომ აიღო, წავიდა და ბიქტორ ბიძიას ცხენის უნაგირი და აღკაზმულობა უყიდა.

ერთ დღეს სოფელში ფოტოგრაფს ჩამოუვლია და ასე შემორჩა ბიქტორ ბიძიასთან და მის მეზობლებთან გადაღებული სურათი გელას ფოტოალბომში.




შვილიშვილი ორჯერ შვილია და ორჯერ უფრო საყვარელი.
გელა

ნაბრამი



გია, თამრიკო,
გელა-ლევანი, ანი და ნია






სტუმრად ბაბუასთან

საშინაო დავალება
 ჩემი ბაბუა
 მე ორი ბაბუას სასწილი შეჯიბრება ჯდას
 და დავანტყ. ამიტომ ხუთშობილი ვედა
 ბაბუა ვეღვრის შეგახს

ჩემი ვედა ბაბუა ყველაზე მაგარი
 ბაბუაა შიდა მსოფლიოში, ხასაც თხოვ
 ყველაფერს აგისხედებს.

ხოცა დედანთან. მივდივარ ყოველთვის
 გვიმასწონს დედა ხანადით და გაბაბით
 მას იტყობის ფაქტებს აქვს დამ ჰოცა
 გახივ ხასათოვთა შესტყობება სოღმე
 ასე ხაც ნედი ბებია მოყვ და
 ხ შინადს დამსტყობოდის

ვედა ბებია ვახვიშობს და ვაგაბი
 ყუნთობიც აქვს, ნედი სიკვდილამდე
 ცრინის თამაშობდა ჩემთვისაც. ორდოა
 მსაგებობა, მაგარი კახიკები დედაყვან
 ახდა ვედას შვილი ძაღლი "ქეჩი" ჰქონდა
 ჩვენ ძაღლი ვედაყვანს. ის ვოგობა





კახა, ნათია, თათია და ნიკა



წერილი 60 წლის ბაბუას

გელა, გისურვებ ყველაფერ კარგს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და სხვა ბევრ კარგ რამეს, რაც შენ გინდა, ყველაფერი აგსრულებოდეს. იყავი სულ ბედნიერი. შენ ბევრი კარგი თვისება გაქვს: ერთგულება, კარგი მეგობრობა. მომწონს ასეთი ბაბუა რომ მყავს. მე ასე ვფიქრობ, პატარა რომ იყავი, გინდოდა ექიმი ყოფილიყავი და ერთ დღესაც გახდი ექიმი. შენ გაჭირვებულ და ავადმყოფ ადამიანებს ეხმარები, ძალიან მომწონს შენი სამსახური და მინდა მეც ექიმი გამოვიდე. ყველა სხვა დღეებიც ამ დღესავით საყვარელი იყოს შენთვის.

თათია, 1998 წელი, 10 დეკემბერი

P.S. ასე მიულოცა 60 წლის იუბილე ბაბუას 8 წლის თათია მუხამაზერიამ.

ბავშვობის სურვილი აუსრულდა და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ახლახან კი ოჯახიც პროფესიით ექიმ დათო ღოღობერიძესთან შექმნა.



2011 წელი, 11 ივნისი. თათიას და დათოს ქორწილი

ბოლოთქმა

არასოდეს მიფიქრია, რომ ჩემზე წიგნი დაინერებოდა, მაგრამ, რადგან ღვთის ნებით ესეც ხდება, უსათუოდ უნდა გამეხსენებინა ის ადამიანები, ვისგანაც ცხოვრების გზაზე ღირსეული თანადგომა და სიკეთე მივიღე, ასეთები კი ნამდვილად არ მაკლდა და თითოეულს ჩემი ბიოგრაფიის ნაწილად მივიჩნევ. შერმადინ ბუხრაშვილი, ავთო კეთილაძე მარადისობაში გადავიდნენ; ნიკო მაისურაძე, მერაბ გიორგაძე, ნოდარ ყუბანეიშვილი, უშანგი ბედიაშვილი, იური ელიაშვილი, თენგიზ კიკალიშვილი, გივი გელაძე დღემდე გვერდით მყვანან. ყველას ჩამოვთვლიდი, მაგრამ ჩემი ურთიერთობა თითოეულ მათგანთან ცალკე წიგნის თემაა. ადამიანები, რომლებიც ზოგი ბავშვობიდან მომყვება, ზოგი სოფლიდან, სკოლიდან, ჩემი განუყრელი, სტუდენტობაში შექმნილი ძმები, დეზად მიჩნეული ქალბატონები, ჩემი უფროსი და უმცროსი კოლეგები, ჩემი მომკითხავები და გულშემატკივრები. ეს წიგნი მათმა სიყვარულმა და გულითადობამ გაამთლიანა. თითოეულის მადლიერი ვარ. და თუკი ერთი გონიერი კაცის ნათქვამს დაეფუჯვრებთ – მადლიერება ტვირთია და ყოველი ტვირთი უნდა მოიხსნაო – მე მოვიხსენი ეს ტვირთი და თქვენს წინ დავალაგე! კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას!

მადლობას გიხდით ამ წიგნის ჩაკითხვისთვისაც!

გელა მუხაშავრია

სარჩევი

გელა მუსხაშვილი – ნიღბიანი კაცი უნიღბოდ

წინათქმა – რატომ იყურება გელა ტყისკენ	5
საგვარეულო სიგელი მუხამაერიათა	7
გენეალოგიური ხე	8
მშობლები	9
ნელი	21
სოფელი	27
ქალაქი	35
ექიმი	41
გამოქვეყნებული ნაშრომები	47
რეცენზია გელა მუხამაერიას და მაია ქარაბაკის წიგნზე „პროქტოლოგია“	50
სახლი	51
გელას აფორიზმები	57
მარსელ პრუსტის ანკეტა	61
პოლიფონიური ანამნეზი	63
ამერიკული ზღაპრები – ამონარიდი დათო ტურაშვილის წიგნიდან	138
პუბლიკაციები გელაზე	141
მიძღვნილი სტროფები	157
კარდიოქრონიკები	169
მხიარული და უხერხული ამბები	187
ფოტოგალერეა – მე იმ დღეებს ვერ ვივინყებ... ..	195
ნაგრამი	209
ფოტოისტორიები	40, 56, 98, 140, 168, 186, 208
ბოლოთქმა	214

ISBN 978-9941-0-3731-3



9 789941 037313